

ნინო დარსაველიძე

ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და
მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივნისი, 2012 წელი

საავტორო უფლება © 2012 წელი, ნინო დარსაველიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნინო დარსაველიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

19 აპრილი 2012წელი

ხელმძღვანელი:	_____	თ. კილაძე
რეცენზენტი:	_____	მ. ჯულაყიძე
რეცენზენტი:	_____	გ. ამყოლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2012 წელი

ავტორი: ნინო დარსაველიძე

დასახელება: “ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში

ფაკულტეტი: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 19 აპრილი 2012წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომი „ეკონომიკური მდგრადობის შეფასება სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი ფირმების ანტიკრიზისულ მართვაში“ შესრულებულია ქართულ ენზე, მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 163 გვერდს, შედგება შესავლის, ორი ნაწილის და დასკვნებისაგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

ნაშრომის შესავალში დასმულია საწარმოთა ფინანსური მდგრადობის შეფასების და მათი მასიურად გაკოტრების დაძლევის პრობლემა, რამაც განაპირობა საკითხის აქტუალობა. ამ ნაწილში წარმოდგენილია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, ასევე ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ ნაწილში სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შესწავლილია ეკონომიკური მდგრადობის არსი, განხილულია ტერმინი „გაკოტრება“ და მისი გამომწვევი ფინანსური მიზეზები. ახსნილია, რომ საქართველოში საწარმოთა ხშირი გაკოტრების შემთხვევები, ძირითადად საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო პირობების დაუზვეწელობითაა გამოწვეული. ახსნილია, რომ სერიოზული შეფერხებებია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საქმეში, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოთა ფინანსური რესურსების მოცულობაზე. აღნიშნული პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყანაში უმუშევრობის დონესთან, რაც განაპირობებს მოსახლეობის დიდი ნაწილის არამსყიდველობითუნარიანობას.

გარდა ამისა, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მცირე მოცულობა, დაბალი ხარისხი და მაღალი საწარმოო დანახარჯები განაპირობებს საწარმოთა დაბალ რენტაბელობას და ზოგიერთ შემთხვევაში ზარალიანობასაც.

დაბალი რენტაბელობისა და ზარალიანობის შედეგად საწარმოთა საკუთარი საბრუნავი საშუალებები მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთმა მათგანმა კი მთლიანად დაკარგა, რის გამოც საგრძნობლად დაეცა საწარმოთა ფინანსური ავტონომიის კოეფიციენტი (0.5-ზე ქვევით), რაც უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების მოზიდვაზე.

აღნიშნულის შედეგად საწარმოთა ფინანსები კრიზისულ მდგომარეობაშია, მათ არ გააჩნიათ საკმაო სახსრები საწარმოთა საქმიანობის განხორციელებისათვის, ინვესტიციებისათვის, კრედიტით სარგებლობისათვის.

აღნიშნულის გამო, მრეწველობის დარგში პირველი რიგის ამოცანაა საწარმოთა ფინანსების განმტკიცება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაცია. ამ აქტის განხორციელებისათვის აუცილებელია საწარმოში კრიზისული დიაგნოსტიკის ჩატარება.

საწარმოთა წარუმატებლობის პროცესი და საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების გადაზრდა გაკოტრებაში მიმდინარეობს ეტაპობრივად, რომელთა დახასიათებაც დაწვრილებითაა მოცემული ნაშრომში. საწარმოს წარუმატებლობის ეტაპები არ ხასიათდება ზუსტად გამოკვეთილი დროით, რადგანაც ნებისმიერ ეტაპზე საწარმოს წარუმატებლობას აქვს თავისი

სპეციფიკა.

ცხადია, ნებისმიერი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს ბაზარზე, ყოველთვის ექცევა მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ქვეშ, რომელთაც უნარი შესწევთ გამოიწვიონ ეკონომიკური მდგრადობის დაკარგვა და წარუმატებლობის განვითარება. წინამდებარე ნაშრომში საუბარია მაკრო და მიკრო გარემოს ფაქტორების ზემოქმედების მექანიზმებზე. შესწავლილია და დახასიათებულია ასევე საწარმოთა წარუმატებლობის შიდა ფაქტორები: საწარმოო, ორგანიზაციულ-მმართველობითი, ფინანსური და კომერციული.

ნაშრომში წარმოდგენილია წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების პროცესში ფინანსური მხარდაჭერის როლი და წყაროები. დახასიათებულია წარუმატებელ საწარმოებში ინვესტიციების სპეციფიკა. ყურადღება გამახვილებულია წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების ძირითად მიმართულებაზე - რესტრუქტურიზაციაზე. აქვე გადმოცემულია სამეწარმეო საქმიანობის რეორგანიზაციის ძირითადი მიმართულებები.

დისერტაციის მეორე ნაწილში მოცემულია საქართველოს სატრანსპორტო სისტემის და მანქანათმშენებლობის დარგის განვითარებისა და მისი ტენდენციების ზოგადი დახასიათება. გაანალიზებულია აღნიშნულ სფეროებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა 2006-2010 წლებში.

როგორც ირკვევა, აღნიშნულ პერიოდში ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთზიდვის მოცულობა გაიზარდა 61.8%-ით, მგზავრთა რაოდენობის გადაყვანა კი 22.9%-ით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები სტაბილურად იზრდებოდა 1996-2006 წლების პერიოდში, ხოლო უკანასკნელი სამი წლის (2006-2008) განმავლობაში მათ შეინარჩუნეს სტაბილურობა. უფრო მეტიც, ტვირთზიდვის მოცულობა 2008 წელს 2006 წელთან შედარებით შემცირებულია 888.4 ათასი ლარით, ხოლო მგზავრთა გადაყვანის რაოდენობა კი - 16.5 მლნ. კაცით.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მანქანათმშენებლობის დარგში ისევე, როგორც საქართველოს მთელს მრეწველობაში და მთლიანად ეკონომიკაში მძიმე ვითარება შეიქმნა. დარგი მართვის ღრმა კრიზისს განიცდის.

1991 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს მანქანათმშენებლობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამ პერიოდიდან თანდათანობით შემცირდა წარმოების მოცულობა. 2008 წელს მან შეადგინა 1991 წლის 15.3%, თუმცა 1996-2008 წლების პერიოდში წარმოების მოცულობა გაიზარდა 5.1-ჯერ. მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 6.9%-მდე დაეცა, რაც დარგის დაბალ განვითარებაზე მიუთითებს.

აღნიშნავთ, რომ სამეწარმეო გარემოს მაღალი არასტაბილურობის პირობებში არსებობენ უამრავი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეურნე სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, საწარმოს წინაშე მდგომ გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს შორის იმყოფება ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკური სისტემის ფორმირება, რომლის დახმარებით საწარმო შეძლებს დროულად აღმოაჩინოს და

წინასწარი მმართველობითი გადაწყვეტილებების მეშვეობით აიცილოს წარუმატებლობის პროცესის ჩასახვა და შემდგომი განვითარება. ნათელია, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარების ეფექტურობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დროულად იქნება აღმოჩენილი მოახლოებული წარუმატებლობის ნიშნები და რამდენად კვალიფიციურად იქნება განსაზღვრული მიმდინარე უარყოფითი პროცესების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ფინანსურ დიაგნოსტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზის საკითხებს. ფინანსური ანალიზის მიზანია საწარმოს მაქსიმალური მომგებიანობის მიღწევის რეზერვების გამოვლენა. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი შეფარდებითი ანალიტიკური კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე.

ეკონომიკური ლიტერატურის მიმოხილვისა და სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენში" ჩატარებული ფინანსური ანალიზის საფუძველზე სრულყოფილი სახით მოცემულია ფინანსური ანალიზისათვის საჭირო მაჩვენებლების და კოეფიციენტების სისტემატიზაცია, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

I ჯგუფი - წინასწარი ანალიზი:

1. გადახდისუნარიანობა;
2. წმინდა საბრუნავი აქტივები;

II ჯგუფი - საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი:

1. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
2. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;

III ჯგუფი - საქმიანი აქტივების ანალიზი:

1. აქტივების ბრუნვადობა;
2. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა;
3. მატერიალური მარაგების ბრუნვადობა;
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;

IV ჯგუფი - ფინანსური მდგრადობის ანალიზი:

1. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი;
2. ფინანსური დამოუკიდებლობის (ავტონომიის) კოეფიციენტი;
3. ფინანსირების კოეფიციენტი;
4. მანევრირების კოეფიციენტი;

V ჯგუფი - საწარმოს შემოსავლიანობის ანალიზი:

1. რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა;
2. აქტივების რენტაბელობა;
3. საბრუნავი აქტივების რენტაბელობა;
4. ინვესტიციების რენტაბელობა;
5. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

დისერტაციაში წარმოდგენილია ორგანიზაციაში კრიზისების მართვის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსების მართვის

სისტემაში პრობლემების, სუსტი ადგილების გამოვლენაზე, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობის არასასურველი ფინანსური მდგომარეობის და სხვა ნეგატიური მაჩვენებლების მიზეზებს წარმოადგენენ.

ნაშრომში დახასიათებულია ეკონომიკური მდგრადობის მათემატიკური მოდელები, რომელთა გამოყენება საქართველოში თანამედროვე პირობებში ვერ ხერხდება, ამდენად ჩვენ გამოვიყენეთ პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისათვის სტატისტიკის თეორიაში არსებული კორელაციის კოეფიციენტები, კერძოდ, ე.წ. „პირსონის“ კორელაციის კოეფიციენტები, რომლითაც შესაძლებელი გახდა ს.ს. „ელმავალმშენში“ პროდუქციის თვითღირებულების პარამეტრებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა და მათი მოქმედების გაძლიერება უარყოფითი სიმპტომებისა და დადებითების გასაძლიერებლად.

ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებულია ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებები და მიმართულებები, კერძოდ:

- ხარჯების შემცირება;
- ორგანიზაციაში ფულადი სახსრების შემოსულობების ზრდა;
- კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურის ჩატარება;
- ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა;
- საწარმოს რეორგანიზაციის ან რესტრუქტურის ჩატარება.

Abstract

The thesis work “The estimation of economic stability during the crisis management of transport and machine-building firms” is implemented in Georgian language, contains 163 printed pages, consists of introduction, two parts and conclusion, with attached list of bibliography and applications.

In the introduction of the work the problem of enterprises’ financial stability estimation and of overcoming of their large-scale bankruptcy is set up, that stipulates the topicality of the issue. In this section the current state of problem’s study, research goals and objectives, as well as the scientific novelty of the work, its theoretical and practical importance are represented.

In the first part of the work on the basis of special literature review is studied the essence of economic security (stability), also is considered the term “bankruptcy” and financial reasons causing it. It is explained, that the frequent cases of enterprises’ bankruptcy in Georgia are basically caused by the imperfection of conditions necessary for the development of market economy. It is also explained, that there are serious obstacles concerning the realization of manufactured products that has a negative effect on the volume of enterprises’ financial resources. Mentioned fact is in direct relation with the unemployment level in the country, that is the reason of low purchasing capacity of the greater part of population.

Besides, the small volume of production of outputs and its sale, low quality and high production expenses cause the low profitability of enterprises and sometimes even their disadvantageousness (operating at a loss).

As a result of low profitability and disadvantageousness the own current assets of enterprises are significantly reduced, some of them are completely lost, and because of it the coefficient of enterprises’ financial autonomy is sensitively decreased (below 0,5), that has a negative impact on the attraction of investments.

As a result of above mentioned the business finances are in critical state, they have no sufficient assets for implementation of business activity, as well as for investments and credit use.

Due to abovementioned, the primary objective in the field of industry is the strengthening of business finances and stabilization of state finances on this basis. With the purpose of accomplishment of this task carrying out of crisis diagnostics of enterprise is necessary.

The process of enterprises’ failure and growth of enterprise’s normal functioning into the bankruptcy runs stage by stage, characteristics of which are given in the presented work. Stages of enterprises’ failure is not characterized by exactly determined time, since any stage of enterprises’ failure has its specific character.

The role of financial support in the process of unsuccessful enterprise’s recovery, as well as its sources are represented in the work. Specific character of investments in the unsuccessful enterprise are characterized. Attention is focused on the basic directions (i.e. on the restructurization) of unsuccessful enterprise’s recovery. Basic directions of business activity reorganization are stated here, too. In the second part of the thesis work is given the general description of the development of transport system and machine-building field and its tendencies in Georgia. The existing economic situation in 2006-2010 in the mentioned fields is analyzed.

As it turned out, during mentioned period of time the volume of carriage by the all kinds of transportation means has increased by 61,8%, while passengers

transportation has increased by 22,9%. While it should be noted that these indices has consistently increased in the 1996-2006 period, however in the course of the last three years (2006-2008) they preserve stability. Moreover, volume of carriage in 2008 is reduced by 888,4 thou. GEL in comparison with 2006, while volume of passengers transportation – by 16,5 mln. men.

From 1991 up to our days the state of Georgian machine-building industry is drastically deteriorated. Since that period of time volume of output is gradually reduced. In 2008 it comprises 15,3% of the indices of 1991, however in the 1996-2008 period volume of output has raised 5,1 times. The share of machine-building in the total volume of industrial output dropped down to 6,9% that testifies the low level of development for this field.

It should be noted that under conditions of considerable instability of business environment there are a lot of factors having impact on the financial condition of economic agents. Proceeding from this fact, among the basic tasks to be solved, that face enterprise is the formation of diagnostic system of economic status, by means of which the enterprise will be able to timely discover and to get rid of origination and further development of the process of failure thanks to preliminary management decision. It is clear that efficiency of carrying out of such measures is completely depended on that how timely will be discovered the signs of approaching failure and how masterfully will be determined the basic factors causing current negative processes.

The particular importance in the financial diagnostics of economic status of the enterprise is attached to the issues of financial analysis of business activity. The goal of financial analysis is the revelation of reserves for achievement of maximum extent of enterprise's profitability. Relative analytical coefficients, reflecting financial condition of the enterprise, are widely used in practice, and they show us cause-effect relationship established in the system of financial indicators and effect of these dependencies on the financial condition of the enterprise.

On the basis of economic literature review and carried out financial analysis of joint stock company "Elmavalsheni" the systematization of indices and coefficients necessary for financial analysis is given in the perfective aspect, that looks as follows:

I group – preliminary analysis:

1. paying capacity
2. net current assets

II group – analysis of enterprise's accounting liquidity

1. current liquidity coefficient
2. fast liquidity coefficient.

III group – analysis of business assets:

1. assets turnover;
2. current assets turnover;
3. material assets turnover;
4. debit debts turnover.

IV group – analysis of financial security:

1. financial stability coefficient
2. financial independency (autonomy) coefficient;
3. coefficient of financing;
4. coefficient of maneuvering.

V group – analysis of enterprise's profitability:

1. profitability of sold production
2. assets profitability

3. current assets profitability;
4. investment profitability;
5. owner capital profitability.

The methodology of crisis management diagnostics in the organization is represented in the thesis work, that will promote the revelation of problems and weak spots in the financial management system, representing the reasons of undesirable financial condition of the organization's activity and other negative indices.

The mathematical models of economic security (stability) are described in the work, application of which is not capable under present condition in Georgia, that's why we use current correlation coefficients of the theory of statistics for determination of production's self-cost, namely so-called "Pirson's" correlation coefficient, with the use of which the determination of basic factors acting on the parameters of production's self-cost in the JSC "Elmavalmsheni" becomes possible, as well as the amplification of their effect in order to overcome negative symptoms and to strengthen the positive ones.

In the end of the work the key activities and directions of crisis management improvement are established, namely:

- reduction of expenses;
- increase in influx of financial assets into the organization;
- carrying out of credit debt's restructurization;
- determination of organization development strategy;
- carrying out of enterprise's reorganization or restructurization.

შინაარსი

შესავალი	16
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	
1.1. ეკონომიკური მდგრადობის არსი, მნიშვნელობა და პრობლემები თანამედროვე ეტაპზე	22
1.2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის შეფასება, მასზე მომქმედი ფაქტორები და ანტიკრიზისული მართვა	37
1.3. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების საინვესტიციო ასპექტები და რესტრუქტურისაცია	56
თავი II. შედეგები და მათი განსჯა	
2.1. საქართველოს სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი საწარმოების ზოგადი დახასიათება	73
2.2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკა და მდგრადობის მაჩვენებელთა გამოყენება ს.ს. "ელმავალმშენის" მაგალითზე	80
2.3. ორგანიზაციაში კრიზისების მართვის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია .	114
2.4. ეკონომიკური მდგრადობის მათემატიკური მოდელირება	130
2.5. ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები	144
დასკვნა	155
გამოყენებული ლიტერატურა	160
დანართები	164

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ს.ს. „ელმავალმშენებელი“-ს პროდუქციის თვითღირე- ბულება 2001-2010 წ.წ.	138
ცხრილი 2. ს.ს. „ელმავალმშენებელი“-ს პროდუქციის თვითღირე- ბულებაზე მოქმედი ფაქტორების სიდიდეები 2001- -2010წ.წ.	138
დანართები	
ცხრილი 1. საქართველოს ტრანსპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები	164
ცხრილი 2. დასაქმების ზრდის დინამიკა 1996-2008წ.წ. საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში	166
ცხრილი 3. სატრანსპორტო სისტემის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში	166
ცხრილი 4. მშპ-ის ზრდის ტემპი სატრანსპორტო სისტემაში პროცენტულად წინა წელთან	167
ცხრილი 5. მანქანათმშენებლობის პროდუქციის ხვედრითი წილი მრეწველობის საერთო პროდუქციაში	167
ცხრილი 6. უ.ბივერის მაჩვენებელთა სისტემა გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის	168
ცხრილი 7. საწარმოთა დაჯგუფება კრიტერიუმების მიხედვით ფინანსური მდგომარეობის შეფასება	169
ცხრილი 8. ს.ს. „ელმავალმშენებელი“-ს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები 2006-2010 წლებში	170
ცხრილი 9. ს.ს. „ელმავალმშენებელი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის საწყისი მონაცემები 2006-2010 წ.წ.	171
ცხრილი 10. ს.ს. „ელმავალმშენებელი“ -ს მიმდინარე ლიკვიდობა 2006-2010 წ.წ.	174
ცხრილი 11. ს.ს. „ელმავალმშენებელი“ -ს სწრაფი ლიკვიდობის და აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტები 2006- 2010წ.წ.	175
ცხრილი 12. ს.ს. „ელმავალმშენებელი“ -ს აქტივების ბრუნვადობა 2006-2010 წ.წ.	176
ცხრილი 13. ს.ს. „ელმავალმშენებელი“ -ს დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა	177

ცხრილი 14. ს.ს. “ელმავალმშენებელი” -ს მარაგების ბრუნვალობა 2006-2010 წლებში	177
ცხრილი 15. ს.ს. “ელმავალმშენებელი” -ს ავტონომიურობის, ფინანსური მდგრადობის, ფინანსირების კოეფიციენტები 2006- 2010 წ.წ.	178
ცხრილი 16. ს.ს. “ელმავალმშენებელი” -ს ინვესტირების მაჩვენებლები 2006-2010 წ.წ.	179
ცხრილი 17. ს.ს. “ელმავალმშენებელი” -ს შემოსავლიანობის ანალიზი 2006-2010 წ.წ.	180
ცხრილი 18. ს.ს. “ელმავალმშენებელი” -ს ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი	181
ცხრილი 19. საწარმოს მოგების დონის და დინამიკის ანალიზი	182
ცხრილი 20. საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების ძირითადი მექანიზმები, რომლებიც შეესაბამებიან მისი განხორციელების ძირითად ეტაპებს	182

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. საწარმოს წარმატებლობის(გაკოტრების) სისტემა	28
ნახ. 2. საწარმოს წარმატებლობის რეგულირების მექანიზმები	32
ნახ. 3. საწარმოს წარმატებლობის განვითარების პროცესი	39
ნახ. 4. წარმატებული საწარმოს გაჯანსაღებისათვის საჭირო ინვესტიციები	59
ნახ. 5. საკუთარების სუბიექტის რესტრუქტურირება	67
ნახ. 6. მეწარმის რესტრუქტურირება, რომელიც ორგანიზებას უკეთებს საწარმოს საქმიანობას	68
ნახ. 7. საწარმოს საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეების კომპლექსური რეორგანიზაცია	71
ნახ. 8. საწარმოებს შორის არასტაბილურობის დონეები	84
ნახ. 9. გარე სუსტი სიგნალების პირობებში ფირმის გადაწყვეტი- ლების მიღების თანმიმდევრობა	86
ნახ. 10. ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტი	95

მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომის დროული შესრულებისათვის მადლობას ვუხდის სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს პროფ. ო. გელაშვილს, აგრეთვე სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენის“ ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლებს იმ დახმარებისათვის და შენიშვნებისათვის, რომელიც მათ გამიწიეს სტატისტიკური მასალების შეგროვებაში, მათ ანალიზსა და დამუშავებაში.

ასევე მადლობას მოვახსენებ მეცნიერ-ხელმძღვანელს ქ-ნ თ.კილაძეს მეთოდური ხელმძღვანელობისათვის და ჩემი ნაშრომის საგულდაგულოდ გასწორებისათვის

შესავალი

თემის აქტუალურობა. ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორე სისტემაზე გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სისტემური კრიზისი. შესაბამისად მის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საწარმოო სფეროში სტაგნაციისა და საწარმოების მასიურად გაკოტრების დაძლევა. ამ პრობლემის გადაწყვეტამ იმ საწარმოთა ლიკვიდაციით, რომელთაც ვერ შეძლეს ადაპტაცია ახალ ეკონომიკურ გარემოში, შესაძლებელია გამოიწვიოს ეკონომიკური პოტენციალის ნგრევა და მომავალი განვითარების მატერიალური წინაპირობების მოშლა.

დღეს საქართველოს საწარმოებისათვის აქტუალური ამოცანაა არა გაკოტრებული საწარმოების ლიკვიდაცია, არამედ კრიზისის დაძლევის პრობლემა იმ საწარმოთა საქმიანობაში, რომლებიც შეძლებენ ჩამოყალიბდნენ საბაზრო პრინციპებით და ჩაერთვნენ ეროვნული ეკონომიკის სისტემაში. შესაბამისად, საწარმოო სექტორის რეფორმირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გაკოტრებულ საწარმოთა სანაცია და მათი ეკონომიკური მდგრადობის აღდგენის ამოცანა.

ანტიკრიზისული მართვა საქართველოს საწარმოების მეურნეობრიობის ახალ პირობებთან ადაპტაციის ეფექტური ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები გამოიყენება რაციონალურად და ეფექტურად.

"აღორძინებამდე" პერიოდში მკაცრი იდეოლოგიისა და თეორიული კვლევების შეზღუდულობის გამო შეუძლებელი იყო ქვეყნის საწარმოების დეგრადაციის მიზეზების დასაბუთება, მათი გაკოტრების ობიექტური კანონზომიერებების გამოვლენა და მათი დაძლევის ადექვატური ხერხების შემუშავება.

საქართველოს კანონი გაკოტრების შესახებ გაკოტრებას განსაზღვრავს როგორც გადახდისუუნარობას, თუმცა თავად გადახდისუუნარობის ფაქტი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოვლენების ურთიერთკავშირის შედეგი.

მეურნეობრიობის სუბიექტის ეკონომიკური მდგრადობის შეფასება

ანტიკრიზისული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია, რომლის დიაგნოსტიკა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებები გაკოტრებული საწარმოს ფუნქციონირების შესაძლებლობის შესახებ, შევიმუშავოთ მისი ეკონომიკური მდგრადობის აღდგენასა და ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებები.

როგორც ჩანს, ანტიკრიზისული მართვის პრობლემა კომპლექსური მიდგომით განხილვის აუცილებლობას საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს არჩეული საკვლევი თემის აქტუალობას.

კვლევის საგანია საწარმოთა გაკოტრების, მისი გაჯანსარების საკითხები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საწარმოთა ფინანსური მდგრადობის საკითხების შესწავლაზე.

სადისერტაციო თემის შესაბამისად უმთავრესად გამოკვლეულია და შეფასებულია ეკონომიკური მდგრადობა საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს "ელმავალშენის" მაგალითზე, შესწავლილია ეკონომიკურ მდგრადობაზე მომქმედი ფაქტორები.

დისერტაციაში განხილულია და გაანალიზებულია ეკონომიკური მდგრადობის შეფასების მომქმედი სისტემა და მისი სრულყოფის მიზნით დაზუსტებულია და შემოთავაზებულია მდგრადობის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემა, ასევე შემოთავაზებულია ანტიკრიზისული მართვის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია.

სადისერტაციო კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები .
სადისერტაციო კვლევის მიზანია საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების შემუშავება.

კვლევის მიზნის შესაბამისად დისერტანტმა დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობაზე მომქმედი ფაქტორების შესწავლა და გამოვლენა;

2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის კომპლექსური დიაგნოსტიკის ჩატარება კონკრეტულ მაგალითზე;

3. ანტიკრიზისული მართვის დიაგნოსტიკის მეთოდის შემუშავება;

4. მეთოდური დასკვნებისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე საწარმოს ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა.

კვლევის ობიექტია საქართველოს მანქანათმშენებლობის საწარმოები.

დისერტაცია შედგება ორი თავისაგან. **პირველ თავში** დისერტანტმა გამოავლინა და ჩამოაყალიბა გაკოტრებულ საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ძირითადი პრობლემები და მასზე მომქმედი ფაქტორები.

მეორე თავში დახასიათებულია სატრანსპორტო და მანქანათმშენებელი საწარმოები. გაანალიზებულია ს.ს. "ელმავალმშენის" საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკური მდგრადობის მაჩვენებელთა გამოყენებით ჩატარებულია მდგრადობის დიაგნოსტიკა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ორგანიზაციაში კრიზისის მართვის დიაგნოსტიკის მეთოდის შემუშავება. აქვე ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების გამოყენების საშუალებით შემოთავაზებულია ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების გზები.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გაკოტრების თანამედროვე ასპექტები უკანასკნელ პერიოდამდე მხოლოდ ფრაგმენტულადაა გამოკვლეული. ამ თემაზე უცხოელი ავტორების მიერ გამოქვეყნებულია ცალკეული მონოგრაფიები და სტატიები. აღნიშნული საკითხის კვლევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგ ავტორთა შრომები: ვ.შევჩენკო, ე.კოროტკოვი, ს.ბელიაევი, ვ.კოშკინი, ბ.რაიზბერგი ნ.მაზური, ვ.შაპირო და სხვ. აღსანიშნავია ასევე ქართველ სწავლულთა ნაშრომები: რ.კაკულია, ლ.ბახტაძე, გ.თუთბერიძე, ა.სისვაძე, დ.იაკობიძე და სხვ.

წინამდებარე ნაშრომი ანტიკრიზისული მართვის თეორიულ კვლევაში ხარვეზების შევსებისა და ამ სფეროში რთული ამოცანების რეალიზაციის პრაქტიკული მიდგომების მცდელობაა. წარუმატებელ

საწარმოთა გადარჩენა საჩქარო საქმეა, ამიტომ თანამედროვე ეკონომიკური პროცესების შესახებ ცოდნის სისტემატიზაციისათვის სპეციალისტებს შეუძლიათ გამოიყენონ წინამდებარე ნაშრომის დასკვნები.

ნაშრომის სიახლე და პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც ხასიათდება როგორც დისერტანტის პირადი წვლილი, მიეკუთვნება შემდეგი:

- სისტემატიზირებულია მეცნიერულად და პრაქტიკულად გამომუშავებული ანტიკრიზისული მართვის შესახებ კონცეპტუალური აზრები და განსაზღვრებები, კერძოდ:

ა) ერთის მხრივ, ანტიკრიზისული მართვა არის განზოგადებული ცნება, იგი მმართველობითი მეცნიერების ახალი მიმართულებაა და დაკავშირებულია იმ მეთოდებისა და ხერხების შესწავლასთან, რომელიც შესაძლებლობას იძლევა თავიდან ავიცილოთ გაკოტრება; მეორეს მხრივ, იგი მიკროეკონომიკური პროცესია და კონკრეტული საწარმოს მიმართებაში ანტიკრიზისული პროცედურების რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას წარმოადგენს;

ბ) საწარმოთა გაკოტრება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომლის ჩამოყალიბებასა და რეგულირებაში სახელმწიფო გადამწყვეტ როლს თამაშობს, რისთვისაც საკანონმდებლო სისტემას იყენებს;

გ) ანტიკრიზისული რეგულირების სისტემა მოიცავს ელემენტთა ერთობლიობას, როგორცაა: ნორმატიულ-სამართლებრივი, ანტიკრიზისული პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა, საწარმოს მდგომარეობის მონიტორინგი, მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების მიღება, მათი შესრულების კოორდინაცია და ორგანიზაცია, სტიმულირების სისტემის შემოყვანა და სხვა.

- განსაზღვრულია საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის რეალური მდგომარეობა, თანამედროვე ტენდენციები და მასზე მოქმედი ფაქტორები;

ნებისმიერი საწარმო ფუნქციონირებს ბაზარზე და ყოველთვის ექცევა მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ქვეშ, რომელთაც უნარი შესწევთ გამოიწვიონ ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვა და

წარუმატებლობის განვითარება. ეს ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: გარეშე, რომელზედაც მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ან მისი გავლენა შეზღუდულია (მაკროგარემო) და შინაგანი, რომელიც ყალიბდება თვით საწარმოს საქმიანობის შედეგად (მიკროგარემო);

დაზუსტებულია საწარმოთა ეკონომიკური მდგრადობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კომპლექსურად, შემოთავაზებული სისტემა მოიცავს ხუთ ჯგუფს:

- 1 ჯგუფი- წინასწარი ანალიზი;
- 2 ჯგუფი- საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი;
- 3 ჯგუფი- საქმიანი აქტივობის ანალიზი;
- 4 ჯგუფი- ფინანსური მდგრადობის ანალიზი;
- 5 ჯგუფი- საწარმოს შემოსავლიანობის ანალიზი.

– შემუშავებულია საწარმოში ანტიკრიზისული მართვის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია, სისტემური მიდგომის ფარგლებში ჩატარებული კრიზისული დიაგნოსტიკა შესაძლებლობას იძლევა უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ გამოსაკვლევ ობიექტის შესახებ. შესაძლებლობას გვაძლევს მინიმალური დანახარჯებით შეფასდეს რისკები, ფინანსური მდგომარეობა და გაკეთდეს პროგნოზები მომავალი განვითარების ტენდენციებზე;

– ჩატარებულია ს.ს. "ელმავალმშენის" ეკონომიკური მდგრადობის მოდელირება. ჩვენს მიერ მოყვანილი კორელაციური გამოკვლევით და რეგრესიული ანალიზით შესაძლებელია სს"ელმავალმშენში" პროდუქციის თვითღირებულების პარამეტრებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა და მათი მოქმედების გაძლიერება უარყოფითი სიმპტომების შესამცირებლად და დადებითის გასაძლიერებლად, კერძოდ გამოვლინდა, რომ წარმოების ეფექტიანობაზე აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე მაღალი დონით მოქმედებს მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულება და წლიური წმინდა მოგება.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა. კვლევის

თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი შედეგების გამოყენება შესაძლებელია საწარმოთა გაკოტრების პრობლემის შემდგომი შესწავლისათვის და გაღრმავებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. დისერტაციის მასალები შესაძლებელია გამოიყენონ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის საწარმოებმა მათი ეკონომიკური მდგრადობის განსაზღვრის თვალსაზრისით. ასევე კვლევის მასალები შეიძლება შეტანილ და გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის და მაგისტრების სალექციო კურსში და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 163 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ორი ნაწილის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან. ნაშრომში წარმოდგენილია 22 ცხრილი, 10 ნახაზი და 8 დანართი. მთლიანად ნაშრომი შედგება 192 გვერდისაგან.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ეკონომიკური მდგრადობის არსი, მნიშვნელობა და მისი შეფასების მეთოდები

ნებისმიერი ორგანიზაცია თავისი დაარსების მომენტიდან მრავალი სახის პრობლემებს აწყდება, რომლებიც პროვოცირებენ მწვავე კრიზისს და შედეგად უარესდება სამეურნეო საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები როგორებიცაა: ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, რენტაბელობა, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა, ფინანსური მდგრადობა. მწვავე კონკურენციის პირობებში მეურნეობრიობის საბაზრო ფორმები აკოტრებენ ცალკეულ სუბიექტებს ან დროებით გადახდისუნაროს ხდიან მათ. კრიზისი საწარმოს მისი სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოექმნას. ეს ეტაპებია: იდეის დაბადება, პროექტირება, დაგეგმვა, მშენებლობა, საწარმოო სიმძლავრეების ათვისება, ფუნქციონირება, განვითარება, დაცემა, დახურვა ან რეორგანიზაცია.

როდესაც საწარმო იწყებს თავის საქმიანობას, როგორც წესი, ბაზარზე უკვე მოქმედებენ ფირმა-კონკურენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბაზარზე გარკვეული ნიშის დაკავება, სავაჭრო მარკის პოზიციონირება მარტივი არ არის. მრავალი საწარმო კონკურენციას ვერ უძლებს და კოტრდება. ამ საკითხების რეგულირებაში უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებების სისტემის შემუშავებას, რომლებიც ითვალისწინებენ შეღავათიანი კრედიტების გაცემას, გადასახადებიდან დროებით განთავისუფლებას.

საწარმოთა გაკოტრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა მრეწველობის სფეროსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებამდე მრეწველობის სფერო ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო იყო. მთელ ბიუჯეტში მისი წილი 50%-ზე მეტს შეადგენდა. მასზე მოდიოდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 36.7%, ეროვნული მეურნეობის

მთელი ძირითადი ფონდების 32.8% და საბრუნავი საშუალებების 34.3%. მრეწველობაში დასაქმებული იყო 500 ათას მუშაკზე მეტი [1].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ 1997 წლის ბოლოს არ მუშაობდა სამრეწველო საწარმოთა საერთო რიცხვის 36.7%, 1998 წლის ბოლოსათვის უმოქმედო საწარმოთა რაოდენობამ საერთო რიცხვის 37.6% შეადგინა. ამავე სამსახურის მასალებით თუ 1998 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 3581 სამრეწველო საწარმო, 2008 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2798 ერთეულამდე. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში დასაქმებულთა საშუალოწლიური რიცხოვნობა 120.7 ათასი კაციდან შემცირებულია 85.7 ათას კაცამდე, სამწუხაროდ ტენდენცია გრძელდება დღემდე [2].

მრეწველობის საწარმოებში წარმოებისა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის მკვეთრად შემცირებამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ ფინანსურ სფეროში წარმოქმნა ისეთი ახალი მოვლენა, როგორცაა საწარმოს გაკოტრება.

გაკოტრება იტალიური სიტყვაა და ნიშნავს "გატეხილს". გაკოტრების ქვეშ იგულისხმება ფულადი სახსრების უქონლობის გამო მოვალის უუნარობა, დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააბრუნოს ვალები, ანუ როდესაც მისი პასივები აჭარბებენ მის აქტივებს [3].

გაკოტრების შინაარსი ლათინური "კონკურსიდან" მოდის, რაც პირთა თავმოყრას ნიშნავს. იგულისხმება კრედიტორების თავმოყრა ერთი მოვალის წინააღმდეგ. დღევანდელი გაგებით "გაკოტრებას" შეესაბამება "გადახდისუუნარობა" და "ვალაუვალობა" [4].

გაკოტრება იურიდიული აქტია, მაგრამ მას საფუძველად ფინანსური მიზეზები უდევს, რომელთა შორისაა [5]:

1. კორპორაციის ფინანსური მდგრადობის სერიოზული დარღვევა, რომელიც ხელს უშლის მის სამეურნეო საქმიანობას;

2. დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კორპორაციის ფულადი ნაკადების მოცულობათა საგრძნობი დაუბალანსებულობა;

3. კორპორაციის გადახდისუუნარობის გახანგრძლივება, რომელიც გამოწვეულია მისი აქტივების დაბალი ლიკვიდობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები არაერთხელ ყოფილა მეცნიერული მსჯელობის საგანი. მართალია ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები გაატარა, მაგრამ ბევრი საკითხი კვლავ გადაუჭრელია. უფრო მეტიც, მიღწეული არ არის სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება. ხშირია საწარმოთა გაკოტრების შემთხვევები, რაც ძირითადად საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო გარემო პირობების დაუზვეწილობით აიხსნება.

სერიოზული შეფერხებებია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საქმეში, რაც უარყოფითად მოქმედებს საწარმოთა ფინანსური რესურსების მოცულობაზე. აღნიშნული პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყანაში უმუშევრობის დონესთან, რაც განაპირობებს მოსახლეობის დიდი ნაწილის არამსყიდველობითუნარიანობას. ასე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თუ დასაქმებულთა რაოდენობა 2002 წელს აღირიცხებოდა 2104.2 ათასი კაცი, 2008 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 186.4 ათასი კაცით და შეადგინა 1917.8 ათასი კაცი.

გარდა ამისა, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მცირე მოცულობა, დაბალი ხარისხი და მაღალი საწარმოო დანახარჯები განაპირობებს საწარმოთა დაბალ რენტაბელობას და ზოგიერთ შემთხვევაში ზარალიანობასაც.

დაბალი რენტაბელობისა და ზარალიანობის შედეგად საწარმოთა საკუთარი საბრუნავი საშუალებები მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთმა მათგანმა კი მთლიანად დაკარგა, რის გამოც საგრძნობლად დაეცა საწარმოთა ფინანსური ავტონომიის კოეფიციენტი (0.5-ზე ქვევით), რაც უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების მოზიდვაზე. აღნიშნულის შედეგად საწარმოთა ფინანსები კრიზისულ მდგომარეობაშია, მათ არ

გააჩნიათ საკმაო სახსრები საწარმოთა საქმიანობის განხორციელებისათვის, ინვესტიციებისათვის, კრედიტით სარგებლობისათვის. აღნიშნულის გამო, მრეწველობის დარგში პირველი რიგის ამოცანაა საწარმოთა ფინანსების განმტკიცება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაცია. ამ აქტის განხორციელებისათვის აუცილებელია საწარმოში კრიზისული დიაგნოსტიკის ჩატარება.

როგორც ირკვევა ქვეყანაში გამწვავდა საწარმოთა გადაუხდელობის პრობლემა, გაიზარდა წარუმატებელი საწარმოების რიცხვი, საწარმოთა დიდი ნაწილი გაკოტრების და ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. სწორედ ამ პერიოდში, 90-იან წლებში დამკვიდრდა ტერმინი "ანტიკრიზისული მართვა". იგი შემოვიდა სამეცნიერო და პრაქტიკულ ბრუნვაში, ფიგურირებს წიგნებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების სათაურებში, მაგრამ ამასთან ერთად ვერ მიიღო მკაფიო განმარტება. ერთის მხრივ, ანტიკრიზისული მართვა ხასიათდება როგორც განზოგადოებული ცნება, რომელიც ნიშნავს მმართველობითი მეცნიერების ახალ მიმართულებას და რომელიც დაკავშირებულია იმ მეთოდებისა და ხერხების შესწავლასთან, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან თავიდან ავიცილოთ გაკოტრება [6]. მეორეს მხრივ, იგი განიმარტება, როგორც მიკროეკონომიკური პროცესი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ საწარმოს მიმართებაში ანტიკრიზისული პროცედურების რეალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას [7]. ანტიკრიზისული მართვის მიზნები და ამოცანები წარუმატებელი საწარმოების მიერ არსებითად ტრანსფორმირდება ეკონომიკური რეფორმების მსვლელობისას. დრომ აჩვენა, რომ ანტიკრიზისული მართვის ორიენტაცია არბიტრაჟულ პროცედურებზე, რომელსაც მიყვავართ წამგებიანი საწარმოების გაკოტრებამდე, მესაკუთრის ცვლილებამდე, საკუთრების აუქციონზე გატანამდე და მის ტრასტში გადაცემამდე, ვერ წყვეტს წარმოების წამგებიანობის პრობლემებს, მაგრამ ამ მოქმედებებს შეუძლიათ ლიკვიდაციამდე მიიყვანოს საწარმოების თითქმის ნახევარი, რაც გამოიწვევს არაწინასწარ განსაზღვრულ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს.

90-იანი წლების მეორე ნახევარში სიტუაციამ დაამტკიცა, რომ საწარმოების წარუმატებლობის გადალახვა შეიძლება მხოლოდ მისი მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის, აგრეთვე საწარმოო და ფინანსური მართვის ხარისხის გარდაქმნის მეშვეობით. სხვაგვარად რომ ითქვას - წარუმატებელი საწარმოების გაჯანსაღება მიიღწევა მათი რესტრუქტურის გზით ურთიერთდაკავშირებული სისტემური გარდაქმნების საფუძველზე. აღნიშნულ გარემოებათა დაკავშირებით, წარმოდგენები ანტიკრიზისული მართვის შესახებ სულ უფრო შორდება მის შესახებ წარმოდგენებს მესაკუთრის შეცვლისა და გარე მართვის შემოღების სასამართლო წესის ფორმით. უფრო რაციონალურია წარუმატებელი საწარმოების ანტიკრიზისული მართვა კრიზისის დაძლევის ღონისძიებების გზით, არაეფექტური ფუნქციონირების ფაქტორების თავიდან აცილებით.

უკანასკნელ დროს ქართულ ეკონომიკაში წარმოების მიმართებაში ინოვაციის სახით გამოდის გაკოტრების ინსტიტუტი.

საწარმოთა გაკოტრება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი იარაღია, რომლითაც სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოების სისტემის გამოყენებით საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომ წარუმატებლობის, როგორც ეკონომიკური მოვლენის გაგება უნდა აისახებოდეს ეკონომიკური სისტემის რეგულირების კანონმდებლობით გამაგრებულ მექანიზმში [8].


წარუმატებლობა, როგორც ეკონომიკური მოვლენის გაგება ნიშნავს, რომ გაკოტრების ფორმირებადი სისტემის ფარგლებში საჭიროა გამოიყოს როგორც მაკროეკონომიკური, ასევე მიკროეკონომიკური მიზნებიც. მაკროეკონომიკური მიზნები დაკავშირებულია მთელი ეროვნული მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნასთან, ეროვნული წარმოების ახალი სისტემის ფორმირებასთან საბაზრო მოთხოვნილების შესაბამისად. მიკროეკონომიკური მიზნები კი დაკავშირებულია ცალკეული საწარმოს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფასთან ინდივიდუალური წარმოების

სახით. რამდენადაც ნებისმიერი საწარმო წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია სხვებთან მთელი რიგი პირდაპირი და უკუკავშირებით, ამიტომ მაკროეკონომიკური ამოცანების რეალიზაცია არ შეიძლება განხორციელდეს მიკროეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად და პირიქით. გაკოტრება მიკრო-ეკონომიკურ დონეზე (კონკრეტული საწარმოს დონეზე) მოწოდებულია ჩამოაყალიბოს წარუმატებლობის რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ასახავს წარუმატებელი საწარმოს პრობლემების შესაძლო და ოპტიმალური გადაწყვეტის ძირითად პრინციპებსა და ხერხებს. წარუმატებლობის რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი არის ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულნი არიან ერთის მხრივ საწარმოს გაჯანსაღებისათვის მაქსიმალურად კეთილსასურველი პირობების შექმნაზე, ხოლო მეორეს მხრივ - საწარმოს აბსოლუტურ წამგებიანობის შემთხვევაში - მისი ლიკვიდაციის ცივილური პროცესის გატარებაზე [9]. გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა და პროცედურები დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია დამუშავებულია და ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის.

საზღვარგარეთ, გაკოტრება - სამეწარმეო ცხოვრების ნორმაა, იგი არ იწვევს "კატასტროფაში მოყოლილის" შეგრძნებას, მაგრამ იძულებულს ხდის უფრო ეფექტურად უხელმძღვანელოს, უკეთესად იფიქროს, სწორად იმოქმედოს. ყოველწლიურად გაკოტრების მსხვერპლი აშშ-ში ხდება 90 ათასი ფირმა; გერმანიაში - 15-16 ათასი, კანადაში - დაახლოებით 10 ათასი, ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ქვეყნებში, რომლებშიც საბაზრო ეკონომიკა ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების განვითარების საფუძველს, დამუშავებულ იქნა "გაკოტრებისა და საწარმოების ხელშეწყობის სისტემა", რომელიც თავის თავში მოიცავს რიგ ლოგიკურ მიზეზ-შედეგობრივ, ორგანიზაციულ და მეთოდურ სტრუქტურებს, რომელთა უზრუნველყოფაც ხდება ხელისუფლების

სახელმწიფო ორგანოების მიერ (ნახ. 1).

გაკოტრების ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული რევოლუციამდელ საქართველოში. იმ პერიოდში საქართველოს სისხლის სამართალი განასხვავებდა ცნებებს წარუმატებლობას და გაკოტრებას. წარუმატებლობა გამოდიოდა როგორც გვარეობითი ცნება, ხოლო გაკოტრება მისგან გამოყოფილ სახეობით ცნებას წარმოადგენდა. იმ პერიოდის იურისტების ტერმინოლოგიით მევალის წარუმატებლობა შეიძლება ყოფილიყო "უიღბლო", "გაუფრთხილებადი", ან "ავზრახული", ან "ბოროტზრახული" [10]. წარუმატებლობა უიღბლოდ აღიარდებოდა მაშინ, როდესაც მევალე გადახდისუუნარო ხდებოდა არა საკუთარი ბრალეულობით, არამედ გაუთვალისწინებელ გარემოების გამო, მაგალითად, სტიქიური უბედურების, საომარი მოქმედებების დაწყების ან მოვალის წარუმატებლობის გამო. "უიღბლო" წარუმატებლობის შემთხვევაში გამოწვეული გაკოტრება არ ექვემდებარებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მიერ იყო დადგენილი "გაუფრთხილებელი" ან "ავზრახული" წარუმატებლობის ნიშნები, გაკოტრებისათვის პირი მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.



ნახ. 1. საწარმოს წარუმატებლობის (გაკოტრების) სისტემა

საქართველოში სამართლებრივი ბაზის ფორმირების საწყისი ეტაპს, რომლებიც არეგულირებენ საწარმოების ხელმოკლეობის საკითხებს, წარმოადგენდა 1992 წლის 8 სექტემბერს მიღებული საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი "საწარმოთა გაკოტრების შესახებ", თუმცა აღნიშნულ დოკუმენტს არ ჰქონია პრაქტიკული გამოყენება. იგი გაუქმებულ იქნა 1997 წლის 1 იანვარს. უნდა ითქვას, რომ იგი "მკვდრადმოხილ" კანონად მოგვევლინა. მისი გამოყენებლობის ფაქტი აიხსნება არა იმდენად იმ პერიოდში ქვეყნად არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით, არამედ უფრო იმით, რომ გაკოტრების 1992 წლის დეკრეტი გაკოტრების სამართლის ევროპულ სტანდარტებს ჩამოუვარდებოდა. გაკოტრების დეკრეტი, როგორც ნორმატიული აქტი, შორს იდგა თავისი სრულყოფილებისაგან, ვინაიდან იგი შემუშავებულ იქნა სხვა ქვეყნების პრაქტიკის განზოგადების გარეშე. მას საფუძვლად დაედო რუსეთის ფედერაციის ანალოგიური სახელწოდების კანონპროექტი, რომელიც მოკლებული იყო თეორიისა და პრაქტიკის ანალიზს. უფრო მეტიც, ნორმატიულ აქტად ქცეული ქართული დეკრეტი რუსული კანონპროექტის შეკვეცილი ვარიანტი იყო. და მაინც 1997 წლის 1 იანვრამდე კანონი რჩებოდა ერთადერთ ნორმატიულ აქტად, რომელიც არეგულირებდა საწარმოების წარუმატებლობასთან დაკავშირებული პროცედურების გატარების წესრიგს და იგი პრაქტიკულად არ მოქმედებდა. ამ პერიოდში სამართლებრივი ვაკუუმის არსებობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქვეყანაში ხორციელდებოდა საკუთრებითი ურთიერთობების მასიური რეორგანიზაცია, მრავალი საწარმოს პრივატიზაცია. მათ მიმართ გაკოტრების პროცედურის გამოყენება ნაადრევი იყო.

1997 წლის შუა პერიოდისათვის დასრულებულმა ძირითადმა ღონისძიებებმა შექმნა ობიექტური წინაპირობები გაკოტრების მექანიზმის არსებობისათვის და შესაბამისი ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნისათვის. საპასუხოდ მიღებულ იქნა ახალი კანონი "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ". თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ნათელი

გახდა, რომ წარუმატებლობის რეგულირების პრაქტიკაში ჩაშვებული მექანიზმი ვერ წყვეტდა მის წინაშე დაყენებულ ამოცანებს. ანტიკრიზისული რეგულირების ფორმირებული სისტემის დაბალი ეფექტურობის ძირითად მიზეზთა რიცხვს განეკუთვნებიან შემდეგი:

1. კანონმდებლობა გაკოტრების შესახებ წარმოადგენდა აბსტრაქტულ მოდელს, რამდენადაც იგი არ გახდა ქართული საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული პირობების პროდუქტი, არ იყო რეალური პრაქტიკული დამუშავებები და მოცემული მექანიზმის ფუნქციონირების პრაქტიკა.

2. მმართველი კორპუსის მიერ უსიამოვნო გრძნობებისა და ფსიქოლოგიური მიუღებლობა გაკოტრების პროცედურის მიმართ საწარმოში.

3. იმ ტიპის მეწარმეთა არარსებობა, რომლებიც ეფექტურად უხელმძღვანელებდნენ წარუმატებელ საწარმოებს.

4. რეალური სახელმწიფო დახმარებისა და ინვესტიციების ფართო ზემოქმედების არარსებობა, საწარმოების გაჯანსაღების პროცესის დაწყებისათვის.

5. კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

საერთო ეკონომიკური სიტუაციის მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ქვეყანაში და მოქმედი კანონმდებლობის აშკარა ხარვეზებმა იძულებული გახდა კანონმდებლები წარუმატებელი საწარმოების მიმართ ახალი კანონი მიეღოთ. გაკოტრების შესახებ არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, კანონში "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", თითქმის ოთხწლიანი პრაქტიკული გამოცდილებისა და ამ პერიოდში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობის საფუძველზე 2001 წლის 10 აპრილიდან კანონში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები. გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იყო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება. მეორე რიგში, ეკონომიკური ინტერესების დაკარგვის შიშით ხელმძღვანელებისა და მესაკუთრეების სტიმულირება, რათა განავითარონ წარმოება და შექმნან კონკურენტული

პროდუქცია, რომლებიც თავის მხრივ ხელს შეუწყობენ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. გაკოტრების თავიდან აცილებას (რეალიზდება გაკოტრების შესახებ კანონის პროცედურებით), რომლებიც მიმართულია მოვალის გადახდისუნარიანობის აღდგენაზე საწარმოს ვალის, ქონების, საკუთარი კაპიტალის რესტრუქტურისა და საშუალებებით;

2. მოვალის ქონების ჩართვას (დაბრუნება) ბიზნესის სფეროში (გადახდისუნარიანობის აღდგენის პროცედურებს დამატებული სალიკვიდაციო პროცედურები);

3. ეკონომიკის გადარჩენას არაეფექტური ბიზნესისაგან (სალიკვიდაციო პროცედურები);


4. კრედიტორებზე ზარალის ანაზღაურებას (სალიკვიდაციო პროცედურებს დამატებული გადახდისუნარიანობის აღდგენის პროცედურები).

კანონში შევიდა დაზუსტება "წარუმატებლობის" ცნების განმარტებაში. წარუმატებლობა განიხილება როგორც - კრედიტორების მოთხოვნის სრული მოცულობით დაკმაყოფილების შეუძლებლობა. ამას გარდა ცნებები "წარუმატებლობა" და "გადახდისუნარობა" ერთმანეთისაგან გამოყვეს.

წარუმატებლობის დაძლევა და შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენა, მოითხოვს განსაზღვრულ ექსტრაორდინალურ ურთიერთობათა ფორმირებას ეკონომიკაში, წარუმატებელი მეურნეობის სუბიექტებსა და მაკროეკონომიკის სისტემებს შორის. ამ ურთიერთობების რეალიზაციის განხორციელება შეიძლება "საწარმოთა გამოჯანსაღების" პროცესის ჩარჩოში მათი სანაცით (სანაცია - Sanatio ლათ. სიტყვა - მკურნალობა, გამოჯანსაღება).

"გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონში 2001 წლის 10 აპრილს შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით პრინციპიალურად მიღებულია ახალი საკანონმდებლო აქტი გაკოტრების შესახებ. მან ამ სფეროში შემოიტანა ახალი სამართლებრივი ცნებები, შეცვალა გაკოტრების წარმოების ადრინდელი პროცედურები. აღნიშნული აქტის შესაბამისად

შეიცვალა წარუმატებელი საწარმოების რეგულირების მექანიზმიც (ნახ. 2). გარდა ამისა, იგი სამეურნეო სუბიექტს საშუალებას აძლევს გააგრძელოს თავისი სამეურნეო საქმიანობა იმ პერიოდშიც კი, როდესაც მის მიმართ ახორციელებენ გაკოტრების პროცედურებს.



ნახ. 2. საწარმოს წარუმატებლობის რეგულირების მექანიზმები

კანონში ნოვაციას წარმოადგენს გაკოტრების პროცედურა - ფინანსური გაჯანსაღება. მისი დანიშნულებაა მოვალის გადახდისუნარიანობის აღდგენა დავალიანების დაფარვის გრაფიკის შესაბამისად. ეს პროცედურა საარბიტრაჟო სასამართლოს განსაზღვრულობით შემოიტანება. პირველად გაჩნდა ცნება "ადმინისტრაციული მმართველი", რომელიც ახორციელებს ფინანსური გაჯანსაღების პროცედურებს. მისი მოვალეობაა კონტროლი განახორციელოს ფინანსური გაჯანსაღების გეგმის შესრულებაზე, დავალიანების დაფარვის გრაფიკზე და კრედიტორების მიმდინარე მოთხოვნებზე დავალიანების დროულად დაფარვაზე, ე.ი. მოთხოვნებზე, რომლებიც წარმოიქმნა საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილების შემდეგ მოვალის გაკოტრებულად ცნობის შესახებ.

როგორც ირკვევა, საწარმოთა გადახდისუნარიანობა, წარუმატებლობა და გაკოტრება საქართველოს ეკონომიკაში გაჩნდა 1992 წლიდან, ამდენად ეს საკითხები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესაწავლილი, რის გამოც წარმოიქმნა მრავალი სხვადასხვა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი წარმოდგენები, განმარტებები და მსჯელობები აღნიშნული საკითხის ირგვლივ. კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონში გამოყენებული "ვალაუვალობა" და "გაკოტრება" როგორც სინონიმები ორი სხვადასხვა ცნებაა, საწარმოთა ორი სხვადასხვა მდგომარეობაა.

"ვალაუვალობა" არის ეკონომიკური შესაძლებლობის დაკარგვა. იგი ხასიათდება შიგა და გარე წონასწორობის (დისბალანსი) დარღვევით და საწარმოებს არ აძლევს საშუალებას მიაღწიოს მდგრად მდგომარეობას. "ვალაუვალობა" არის საწარმოს "ავადმყოფობა" და აქ აუცილებელია "ორგანიზმის განკურნების" ოპერატიული ღონისძიებების მიღება.

"გაკოტრება" არის საწარმოს ეკონომიკური შესაძლებლობის სრულად დაკარგვა (აბსოლუტური ვალაუვალობა), როდესაც მისი საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელია და ეკონომიკურად არამიზანშეწონილია. საწარმოს საქმიანობის გაგრძელების შეუძლებლობა ის არის, რომ მას არ გააჩნია შანსი აღიდგინოს თავისი გადახდისუნარიანობა. საწარმოს

საქმიანობის გაგრძელების არამიზანშეწონილობა განპირობებულია მისი სოციალური მნიშვნელობის, ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალების, საბაზრო მიმზიდველობისა და მის მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის არ არსებობით. "გაკოტრება" ნიშნავს "დალუპვას" და დალუპული ორგანიზმის მკურნალობაზე საუბარი უაზრობაა. ასეთი საწარმო ექვემდებარება ლიკვიდაციას და კრედიტორთა მოთხოვნების თანაბარზომიერად დაკმაყოფილების მიზნით მის გაყიდვას. გარდა ამისა, ცნებები "ვალაუვალობა" და "გადახდისუუნარობა" არაიგივურია. საწარმოს გადახდისუუნარობა ერთ შემთხვევაში არის "ვალაუვალობის" შედეგი, რომელიც შეიძლება დადგეს სხვადასხვა დროს, მეორეში - "ეკონომიკურად ჯანსაღი" საწარმოს გადახდისუუნარობა შეიძლება განაპირობოს გარე ფაქტორებმა: მყიდველთა მხრიდან ანგარიშსწორების დაგვიანებამ, საბანკო გზავნილების შეფერხებამ. საზოგადოების ფინანსური მექანიზმის მოუწესრიგებლობამ და ა.შ. ვალაუვალობის დაძლევა და შესაბამისად ეკონომიკური მდგრადობის აღდგენა მოითხოვს განსაზღვრულ ექსტრაორდინალურ ურთიერთობათა ფორმებს ეკონომიკაში, ვალაუვალ მეურნეობის სუბიექტსა და მაკროეკონომიკურ სისტემებს შორის. ამ ურთიერთობების რეალიზაციის განხორციელება შეიძლება საწარმოთა სანაცით. ცნება "სანაცია" არ უნდა გავაიგივოთ მხოლოდ გადახდისუნარიანობის აღდგენის ცნებასთან. პირველი გულისხმობს საწარმოს მდგომარეობის ცვლილებას, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემის ელემენტის ცვლილებას. მეორე - მეწარმის ორგანიზებული წარმოების მდგომარეობის ცვლილებას. თუმცა მეწარმის ფინანსური მდგრადობის დარღვევა არის გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების საფუძველი. სანაცია აუცილებლად არ გულისხმობს შესაბამისი მეწარმის გადახდისუნარიანობის აღდგენას. უფრო მეტიც, სანაცია არ გულისხმობს რომ საწარმო აუცილებლად დარჩება წინა მეწარმეს და მესაკუთრეს, რამდენადაც მისი ძირითადი მიზანია - საწარმოს შენარჩუნება როგორც სამეურნეო ერთეული და როგორც ასეთი, მისი საწარმოო

საქმიანობის მდგრადობის პოტენციალის შექმნა, თუკი მის საწარმოო-ტექნიკურ პოტენციალზე არის საზოგადოებრივი მოთხოვნა [11].

ზოგიერთი ავტორის აზრით (ვ.შევჩენკო, ვ.გრიშევი, ე.ტორკანოვსკი) სანაცია არის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის აღდგენისა და ვალაუვალობის ფაქტორების ნეიტრალიზაციაზე, რომელიც ერთის მხრივ, არის ქონებრივი კომპლექსი და ხასიათდება ორგანიზაციულ-ტექნიკური მთლიანობით და გარკვეული პროდუქტის წარმოების მდგრადობის ფუნქციით, ხოლო მეორეს მხრივ - მაკროეკონომიკური ფუნქციაა, რომლის ფარგლებშიც საწარმო ორგანიზდება და ფუნქციონირებს. აღნიშნული თითოეული მხარე თავისთავად ძალზე რთულია და ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავების დროს დეტალურ ანალიზს საჭიროებს. ასე, თუ გაჯანსაღებას დაქვემდებარებულ საწარმოს განვიხილავთ, როგორც ეკონომიკური ურთიერთკავშირების სუბიექტის ორგანიზაციულ ფორმას, მაშინ აქ მნიშვნელოვანია გავანალიზოთ ისეთი მომენტები, როგორიცაა: ვინ არის საწარმოს ქონების და მისი საწესდებო კაპიტალის მესაკუთრე, რა ადგილი უკავია მეწარმეს საკუთრებით ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც განსაზღვრავს საქმიანობის მიზნებს, როგორ ნაწილდება ფუნქციები მართვის სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის. რაც შეეხება საწარმოს, როგორც საწარმოო-ტექნიკურ კომპლექსს, აუცილებელია ვალაუვალობის წარმოქმნაში გამოვავლინოთ ისეთი მახასიათებლების როლი, როგორიცაა: გამოსაშვები პროდუქციის სტრუქტურა, ფიზიკური კაპიტალის მოცულობა, მისი ელემენტური და ტექნოლოგიური სტრუქტურა, ტექნოლოგიის გამოყენება, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვა ტექნიკური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს, როგორც სამეწარმეო და საწარმოო-ტექნიკური ერთიანი სტრუქტურის მიმართ ასეთი ორადი მიდგომა პრინციპულია საწარმოს მეცნიერული ანალიზის ჩასატარებლად.

საწარმოების სანაცია ორ შემთხვევაში ტარდება:

1. კრედიტორების მიერ გაკოტრების შესახებ საქმის აღძვრამდე,

როდესაც საწარმოები კრიზისული სიტუაციიდან თავის დაღწევისთვის თავიანთი ინიციატივით მიმართავენ გარედან დახმარებას (სასამართლომდელი სანაცია);

2. როდესაც სანაციის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს საარბიტრაჟო სასამართლოს.

სასამართლომდელი სანაციის სტადიაში განხორციელებული ანტიკრიზისული მართვის ძირითადი მიზანია საწარმოს არსებულ დონეზე შეჩერება და გაკოტრების არ დაშვება. საწარმო ახორციელებს თავისი საქმიანობის ყველა ფუნქციონალური სფეროს ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსურად შეფასებას და მისი შედეგების საფუძველზე ცდილობს თავიდან აიცილოს გაკოტრება. რისთვისაც შეიმუშავებს და განახორციელებს საწარმოს რენტაბელურად მუშაობის რეჟიმზე გადაყვანის ღონისძიებათა სისტემას. სანაციის მიზანი ითვლება მიღწეულად თუკი შიდა რეზერვების ანდა გარედან ფინანსური დახმარების ხარჯზე შესაძლებელი გახდება საწარმოო საქმიანობის ნორმალიზება და მოვალე საწარმოს გაკოტრებულად არ გამოცხადება და მისი ქონების გაყიდვა აღარ იქნება აუცილებელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- საწარმოთა გაკოტრება ეს არის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომლის ჩამოყალიბებასა და რეგულირებაში სახელმწიფო გამაძლევეტ როლს თამაშობს, რისთვისაც საკანონმდებლო სისტემას იყენებს;

- ანტიკრიზისული რეგულირების სისტემა მოიცავს ელემენტთა ერთობლიობას, როგორცაა: ნორმატიულ-სამართლებრივი, ანტიკრიზისული პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა, საწარმოს მდგომარეობის მონიტორინგი, მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების მიღება, მათი შესრულების კოორდინაცია და ორგანიზაცია, სტიმულირების სისტემების შემოყვანა და სხვა, რომლებიც ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაში იმყოფება. თითოეული ელემენტის ფუნქციონირება საჭიროებს შემდგომ გააზრებას და დამუშავებას;

- კრიზისის შესახებ წინასწარი გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური

ზომები, რომლებსაც ანტიკრიზისული პროცესების რეგულირებისას სახელმწიფო გამოიყენებს, მრავალფეროვანია.


1.2. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის შეფასება და მასზე მომქმედი ფაქტორები

საბჭოთა კავშირში წარუმატებლობის პრობლემები არ არსებობდა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლით, ამიტომაც ფირმების გაკოტრება შეუძლებელი იყო მისი წარუმატებლობის მიზეზით. ფირმები, რომლებიც გაკოტრების ზღვარზე იყვნენ მისულები, ინვესტიციებით სარგებლობდნენ, მიუხედავად იმისა, შეძლებდნენ თუ არა ფუნქციონირებას მომავალში ეფექტურად.

მეურნეობრიობის საბაზრო სისტემაში გეგმიანი ეკონომიკისაგან განსხვავებით, წარუმატებლობა აღიქმება როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. ამასთან ერთად, საბაზრო ატმოსფერო ხელს უწყობს მეურნეობის ყოველი ცალკეული სუბიექტის ეფექტურობის ზრდას, რომლის კრიტერიუმიცაა გამოდის მოგება. წამგებიანი ფირმები კოტრდებიან და ადგილს უთმობენ მომგებიანებს. მეწარმეებს გააზრებული აქვთ, რომ საწარმოების ან ბიზნესის შესაძლო კრახის დიდი ალბათობა საბაზრო მენტალიტეტის განუყოფელი ნაწილია. უცხოური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბიზნესში ყველა ახალი წამოწყების 75% განიცდის კრახს პირველ რამოდენიმე წელში, ამიტომ გაკოტრების სიტუაცია ტიპიურია ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკაში. ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში საწარმოთა ფუნქციონირება ხორციელდება თავიანთი ფუნქციების რეალიზაციის მეშვეობით, რომლებიც ყალიბდებიან სამი ძირითადი ელემენტის მეშვეობით: საწარმოების საქმიანობის მიზნები, მისი შინაგანი ცვლადები და გარე სფერო. ამასთან, საწარმოს ეფექტური ფუნქციონირება, როგორც მისი მდგრადი მდგომარეობის და მუდმივი განვითარების აუცილებელი პირობა, მიიღწევა აღნიშნული ელემენტების ოპტიმალური შეთანაწყობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოებრივი მოთხოვნილებების

დაკმაყოფილება შეიძლება განვიხილოთ როგორც ნებისმიერი საწარმოს საქმიანობის საზოგადოებრივი მიზანი, ეს არის მისი "მისია" ეკონომიკურ სისტემაში, ხოლო მისი "ლოკალური" მიზანია მიღებული მოგების სიდიდე, რომლის ეფექტიანობის დონე მეტყველებს როგორც საწარმოს მიერ თავისი საზოგადოებრივი მიზნის მიღწევაზე, ასევე თვით საწარმოს სიცოცხლისუნარიანობაზე სამეურნეო სისტემაში. შიდა და გარე გარემო უშუალოდ ურთიერთზემოქმედებენ, ამ პროცესის ხარისხობრივი მხარე არსებით გავლენას ახდენს საწარმოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულებაზე. გარე გარემოცვა გამოდის ელემენტის სახით, რომელიც აყალიბებს მოთხოვნას ეკონომიკურ სისტემაში და განსაზღვრავს თავად საწარმოს მუშაობის ეფექტიანობას, აფასებს მისი საქმიანობის შედეგს - ბაზარზე წარდგენილ საქონელს, რაც მიღებულია როგორც საწარმოს შინაგანი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე. ეს მახასიათებლები გამუდმებით იცვლებიან გარე გარემოცვის მოთხოვნების შესაბამისად. ჰარმონიული კავშირების არარსებობა განაპირობებს საწარმოს შეუსაბამობას ეკონომიკური სისტემის მოთხოვნებთან და განაპირობებს მის წარუმატებლობას. საწარმოს ეკონომიკური სიძლიერე არის ეკონომიკური სისტემის ელემენტების ხარისხის, რაოდენობისა და მათი ურთიერთკავშირის ერთობლიობა, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეში. ეკონომიკური სიძლიერე შეიძლება რეალიზებული იქნას როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ასევე გარდამავალი ეკონომიკის პირობებშიც. თავისი არსით იგი განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობას, რომლის საფუძველია საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების წონასწორობისა და დაბალანსებულობის კონცეფცია [12]. კონკრეტული სამეურნეო სუბიექტისათვის ეკონომიკური სიძლიერე ეს არის საწარმოს (ფირმის) მართვის ისეთი დონე, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს იფუნქციონიროს ბიზნესში. ეს არის მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მის მდგრად სიცოცხლისუნარიანობას. საწარმოს

ფუნქციონირების მდგრადობის დარღვევა ყოველთვის არ არის მისი წარუმატებლობის მიზეზი, საწარმოს წარუმატებლობას ადგილი აქვს იქ, "სადაც დარღვევები იძენენ თვითგანვითარებად ხასიათს და საწარმოს მდგრადობის ფუნქციის აღდგენამ ამ სისტემაზე საწარმოს საკუთარი შესაძლებლობებით ზემოქმედების გზით შეიძლება არ მოიტანოს საჭირო ეფექტი" [13]. კვლევები ადასტურებენ, რომ "აღმოცენების მომენტიდან" წარუმატებლობის პროცესების განვითარება ხდება სპირალისებურად, რომელიც თანდათან აღწევს საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში, ახდენს მისი მუშაობის პარალიზებას და არღვევს ფუნქციონირების არსებულ და მოქმედ მექანიზმებს. წარუმატებლობის განვითარების პროცესი და საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების გადაზრდა გაკოტრებაში მიმდინარეობს ეტაპობრივად (ნახ. 3)



ნახ. 3. საწარმოს წარუმატებლობის განვითარების პროცესი

პირველი ეტაპი - საწარმოს "დაავადების წინა პერიოდი". იგი ხასიათდება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტების მნიშვნელოვანი პარამეტრების ქრონიკული დარღვევებით. კერძოდ, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციის დაკარგვა, შემცირება ან წარმოების

მოცულობის საგანგაშო შემცირება; საბაზრო პოტენციალის მნიშვნელოვანი დანაკარგები (კონკურენტების შემადგენლობაში, კლიენტურაში, პროდუქციის ასორტიმენტში არახელსაყრელი ცვლილებები); საწარმოო საქმიანობის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში არსებული პრობლემები. ძირითადი საწარმოო ფონდების, შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემცირება საშუალო დარგობრივ დონეზე დაბლა. ამ დროს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არამდგრადია. საშუალო დარგობრივი გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები ხასიათდებიან შემცირების არასასურველი ტენდენციით. დაბანდებული კაპიტალის უკუგების ეფექტიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირდება.

მეორე ეტაპი - საწარმოს "დაავადება" ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის პარამეტრების უმეტესობის ქრონიკული დარღვევებით. წარმოებული პროდუქციის ბაზარზე მკვეთრად გამოხატული წარუმატებლობა (ბაზრის წილის შემცირება, პროდუქციის რეალიზაციაში გადაუჭრელი პრობლემები, კონკურენტების პოზიციების გაძლიერება, პრობლემები კლიენტურასთან). პრობლემებია საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდებით, ნედლეულით, მასალებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში. წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგიები არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ძირითადი ფონდები, მასალები და შრომითი რესურსები გამოიყენება არაეფექტურად. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, ფინანსური პოტენციალი პრაქტიკულად ამოწურულია. არ არსებობს დაბანდებულ კაპიტალზე უკუგება. საქმიანი აქტივობა მნიშვნელოვნად ეცემა.

მესამე ეტაპი - საწარმოს "კრიზისი", ხასიათდება იმით, რომ ყველა ფუნქციონალური შემადგენლის მრავალი მაჩვენებლის მნიშვნელობა აღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას: ბაზარზე ფირმის პროდუქციაზე მოთხოვნის არარსებობა, ბაზრის საკუთარი წილის დაკარგვა. ძირითადი ფონდების არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მათი არაეფექტიანი გამოყენება. ტექნიკური და ტექნოლოგიური წარუმატებლობა, მოძველებული

მოწყობილობა და ტექნოლოგია, მათი განახლების შესაძლებლობების არარსებობა, ფინანსური პოტენციალის არარსებობა. დაბანდებული კაპიტალის უკუგება მიაღწევს მკვდარ წერტილს და ცდება მას. სახეზეა აშკარა ზარალი. ფინანსური არამდგრადობის უკიდურესი ფორმაა გადახდისუუნარობა, რაც გამოიხატება საწარმოს უუნარობაში შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე [14].

მანამ, სანამ საწარმოს წარუმატებლობა თავის განვითარების მხრივ არ მიაღწევს მესამე ეტაპს, როცა იგი უუნარო ხდება შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები ეკონომიკის სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე, წარმოქმნილი ყველა პრობლემა თავს იყრის საწარმოს შიგნით. იმ მომენტიდან როცა საწარმო თავს ვეღარ ართმევს წარმოშობილ ვალდებულებებს, მოქმედებაში ერთვებიან საბაზრო ეკონომიკის მიერ გამომუშავებული მექანიზმები, რომელთა ფარგლებში საწარმო ვალდებულია იფუნქციონიროს ბაზარზე სანამ სრულად არ დააკმაყოფილებს ყველა წარმოშობილ ვალდებულებებს კრედიტორების წინაშე. მესამე ეტაპი დამამთავრებელი ეტაპია იურიდიულად დადასტურებული საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებული ფაქტი, საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ. საწარმოს წარუმატებლობის განვითარების სამი ეტაპი არ ხასიათდება ზუსტად გამოკვეთილი დროით, რამდენადაც ნებისმიერ ამ ეტაპზე საწარმოს წარუმატებლობას აქვს თავისი სპეციფიკა. ასე მაგალითად, რიგი საწარმოებისათვის მეორე ეტაპი შეიძლება დაიწყოს პრაქტიკულად პირველი ეტაპის პარალელურად, და ზოგან კი ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წელი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ნებისმიერი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს ბაზარზე, ყოველთვის ექცევა მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ქვეშ, რომელთაც უნარი შეწევთ გამოიწვიონ ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვა და წარუმატებლობის განვითარება. ეს ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: გარეშე, რომელზედაც მას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს, ან

მისი გავლენა შეზღუდულია და შინაგანი, რომელიც ყალიბდება თვით საწარმოს საქმიანობის შედეგად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები, რომელთა მიხედვით მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს მდგომარეობაზე, არის ეკონომიკური ფაქტორები: კერძოდ, შემოსავლების დონე, საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე. დანარჩენები, როგორცაა, მაგალითად, სოციალური, იურიდიული, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ფაქტორები, ქმნიან დამხმარე (მეორე ხარისხოვან) გარე სამყაროს, გარემოს. სხვა მოსაზრებების მიხედვით გარემო შეიძლება დახასიათდეს ორი მახასიათებლით: საწარმოზე ზემოქმედების მომცველობით და პერიოდულობით (სიხშირით) და ეს მახასიათებლები გამოვიყენოთ საწარმოს გარემოს ახლო გარემოცვის და შორი (საერთო) გარემოს დაყოფისათვის. საწარმოს ახლო გარემოცვა შედგება მომხმარებლებისაგან, მომწოდებლებისაგან, სამუშაო ძალისაგან, საფინანსო ინსტიტუტებისაგან, კონკურენტებისაგან და ინვესტორებისაგან. ეს ჯგუფები ეკონტაქტებიან საწარმოს უშუალოდ და შედარებით ხშირად. მეორეს მხრივ, ძირითადი (საერთო) გარემო შედგება ძალებისაგან, რომლებიც ვლინდებიან დროდადრო, არარეგულარულად. აქ ჩვენ ვგულისხმობთ სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს.

მეორე (ფუნქციონალური) მიდგომის თანახმად გარე გარემო ძალები იყოფა მათი ბუნების შესაბამისად. შედარებით ხშირად ვხვდებით კლასიფიკაციას, რომელიც აერთიანებს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ გარემოს. საქმე გვაქვს რა ყოველივე მათგანთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არსებითი განსხვავება უახლოეს (უშუალო) გარემოცვასა და საერთო გარემოს შორის. ამიტომ პირველი კლასიფიკაცია არ ეწინააღმდეგება მეორეს, არამედ შეირჩევა დასმული ამოცანიდან გამომდინარე საერთო მოსაზრებით [15].

საწარმოს წარუმატებლობის სიმპტომები ვლინდება მაჩვენებლებში

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი ცვლილებების ტენდენციებში, რომლებიც ასახავენ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებას და განვითარებას. ისინი ყოველთვის არ ასახავენ წარუმატებლობის განვითარების მიზეზებს. მიზეზები ხშირად წარუმატებლობის სიღრმეში იმალება.

სიმპტომები - ეს არის საწარმოს წარუმატებლობის პირველსაწყისი, გარეგნული გამოვლინება, რომელიც ყოველთვის არ ახასიათებს წარუმატებლობის ნამდვილ მიზეზებს, მაგრამ რომელთა მიხედვით ეს მიზეზები შეიძლება დადგინდეს. წარუმატებლობის შეფასება უნდა მოხდეს არა მარტო მისი სიმპტომების, არამედ მიზეზების და რეალური ფაქტორების მიხედვით.

წარუმატებლობის ფაქტორი არის მოვლენა ანდა დაფიქსირებული მდგომარეობა ანდა დამყარებული ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს სამეურნეო სუბიექტის მდგრადი დინამიური წონასწორობის დაკარგვას ეკონომიკურ გარემოში.

წარუმატებლობის მიზეზი არის მოვლენა, რომლის შემდეგადაც ვლინდება წარუმატებლობის ფაქტორები. პრაქტიკაში წარუმატებლობის პრობლემების გადაჭრა დაკავშირებულია მისი გამომწვევი მიზეზების სწორ გამოვლინებასთან. მაგრამ დღეისათვის არ არსებობს წარუმატებლობის წინაპირობების ანალიზისადმი ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომა. ამიტომაც, ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება სავსებით განსხვავებული მოსაზრებები საწარმოს წარუმატებლობის ბუნების და მისი გამომწვევი ფაქტორების შესახებ.

თუ ვიხელმძღვანელებთ ა. ხოსკინგის მიერ შემოთავაზებული მეწარმეობის მოდელით, შინაგანი ფაქტორები დაკავშირებულია საწარმოს მხრიდან სამეწარმეო ფუნქციების შესრულების არადაამაკმაყოფილებელ ორგანიზაციასთან [16]. ეს ფუნქცია მრავალწახნაგოვანია და მოიცავს საკუთრივ საწარმოო ტექნიკურ ფუნქციას, ფინანსურ მენეჯმენტს, კადრების მართვას, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციას და მარკეტინგის ფუნქციებს. გარე ფაქტორები განპირობებულია გარე გარემოს

ორი დონის ზემოქმედებით, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამეურნეო საქმიანობა. ჯერ-ერთი, მაკროსფერო, რომელიც აერთიანებს ქვეყანაში სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ტექნიკურ და გეოგრაფიულ პირობებს. მეორეც - მიკროსფერო რომელიც აერთიანებს სუბიექტებს, ინსტიტუტებსა და ეროვნული ბაზრის ოთხი სეგმენტის ფუნქციონირების მექანიზმებს: ფულის ბაზარს, მატერიალური რესურსების ბაზარს, შრომის ბაზარს და საქონლის ბაზარს. ცხადია, საწარმოს წარუმატებლობის სხვადასხვა დონისათვის სხვადასხვა ფაქტორის გავლენის ხარისხი იქნება არაერთგვაროვანი. ამასთან, მაკრო და მიკრო გარემოს ფაქტორების ზემოქმედების მექანიზმი სამეურნეო სუბიექტის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის განვითარების პროცესზე ყველა სიტუაციისათვის შეიძლება იყოს მსგავსი. ეს მსგავსება გამოწვეულია სხვადასხვა დონის ფაქტორების ურთიერთზემოქმედების თავისებურებებით. საწარმოს მიერ ეკონომიკური მდგრადობის დაკარგვის საქმეში არსებით როლს ასრულებს რიგი გარეშე გარემოებები. ზოგიერთი შეფასების მიხედვით მდგრადი ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყანაში გარეშე ფაქტორები 1/3-ით განაპირობებენ წარუმატებლობის ჩამოყალიბებას [17]. რამდენადაც საწარმო არის ღია და რთული ეკონომიკური სისტემა, მის გარემოცვაში მომხდარმა ცვლილებებმა შეიძლება საწარმოში წარმოშვან ნეგატიური პროცესები იმ შემთხვევაში, თუკი მას არ გააჩნია ადაპტაციის შესაბამისი მექანიზმები. ამიტომ საწარმოს წარუმატებლობის ფაქტორების კვლევისადმი სისტემური მიდგომა გულისხმობს საწარმოს შიდა და გარე გარემოს ურთიერთკავშირის გათვალისწინებას. კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის წარუმატებლობის გარე ფაქტორები ქმნიან საკმაოდ რთულ სისტემას. ამ სისტემის რიგი ელემენტები გარე სფეროში მიმდინარე ფუნდამენტალური პროცესების საწყისია. სხვა ელემენტები ამოსავალი ელემენტებიდან წარმოებულია და ასრულებენ შუალედური საფეხურის როლს აღნიშნული პროცესებისა და საწარმოს მხრიდან მათზე რეაქციას შორის. ამოსავალი ფაქტორების ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებენ

წარუმატებლობის ფაქტორები, რომლებიც ყალიბდებიან მაკრო გარემოს დონეზე.

მაკრო გარემოს გარე ფაქტორები. მაკრო გარემოს მდგომარეობის შეფასება, როგორც საწარმოს მდგომარეობის შესაძლო მუქარები, პირველ რიგში გულისხმობს ყურადღებას მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარეებზე. ეკონომიკური გარემოს მხრივ პრიორიტეტული ყურადღების ობიექტებია ქვეყანაში საერთო შემოსავლების დონე, მიდრეკილება დაგროვებისა და მოხმარებისადმი, ინფლაციისა და უმუშევრობის დონე, სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა, საგადასახადო დაბეგვრის დონე, მოხმარების საერთო მოცულობაში საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონე, წარმოებაში ჩართული საზოგადოებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ეროვნული ვალუტის მდგომარეობა და სხვ. [16]. პოლიტიკურ გარემოსთან მიმართებაში ინტერესს იწვევს პოლიტიკური სტაბილურობის საერთო დონე, ასევე წამყვანი პოლიტიკური ძალების მენტალიტეტი ეკონომიკური პროცესების რეგულირების საქმეში და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის საერთო პრინციპები. ნახსენები მომენტები განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეების ჩამოყალიბების საქმეში და მისი მდგრადობისა და ზრდის უზრუნველყოფაში, ასევე განსაზღვრავენ წარმოების რესურსების საერთო მობილურობას. ე.ი. გამოდიან კონიუნქტურის დონისა და დინამიკის შინაგან შემზღუდველ ფაქტორებად ფულის ბაზარზე, საქონლისა და რესურსების ბაზარზე. შესაბამისად, მათმა განსაზღვრულმა მდგომარეობამ შეიძლება განაპირობოს სამეურნეო სუბიექტისათვის არახელსაყრელი პირობები მისი საქმიანობის მიკრო გარემოს დონეზე.

წარუმატებლობის პრობლემის პოზიციიდან სამართლებრივი გარემო წარმოადგენს სამეურნეო სამართლის ნორმების ერთობლიობას, რომელიც რეგლამენტირებას უკეთებს სუბიექტების ეკონომიკური ქცევის და ურთიერთდამოკიდებულების იურიდიულ ფორმებს. მაკროსფეროს ამ შემადგენლის გავლენა სამეურნეო სუბიექტის მდგომარეობაზე

ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

- ჯერ ერთი, იგი დაკავშირებულია შემზღუდავ სისტემასთან ისეთ საქმიანობაზე, როგორცაა შრომითი კანონმდებლობის ნორმები, საქმიანობის აკრძალვის სისტემები, საქმიანობის ლიცენზირება და ქვოტირება, ბუნების დაცვითი ნორმები;

- მეორე, მოცემული გარემოს გავლენა დაკავშირებულია სამართლებრივ გარანტიებთან და მეწარმეობის დაცვასთან. აქ უნდა შეტანილი იქნას ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებენ სამეურნეო აგენტების ლიკვიდაციას, მათი ქონების და შემოსავლების ამოღებას, მათ მიმდინარე საქმიანობაში ჩარევას და ვალდებულებების შესრულების გარანტიებს;

- მესამე, სამართლებრივი გარემო გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტების მდგომარეობაზე მათი საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების რეგლამენტაციის გზით. აქ პირველ რიგში, აღსანიშნავია ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საკუთრებით ურთიერთობებს სამეურნეო საქმიანობის სფეროში, ასევე კანონმდებლობა მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ;

- მეოთხე, სამართლებრივი გარემო განსაზღვრავს მიკროეკონომიკური გარემოს ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ფულის ბაზრის ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, რესურსებისა და კეთილდღეობის ბაზრებს.

წარუმატებლობის თვალსაზრისით ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოც საინტერესოა, რამდენადაც სივრცე, რომელშიც ხორციელდება საქმიანობა და არის ბუნებრივი რესურსების წყარო, რომელთა არსებობა და ხარისხი უშუალოდ აისახება წარმოების დანახარჯებში და მის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებში. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია კლიმატური პირობები, რამდენადაც მათი მაღალი არასტაბილურობა და ცვლილებების განუსაზღვრელობა იწვევს წარმოების ჩაშლას და ზრდის მათი დაზღვევის ხარჯებს შესაძლო ნეგატიური შედეგებისაგან.

სოციალურ-კულტურული გარემოს შესწავლა საწარმოო ქვესისტემების

წარუმატებლობის კონტექსტში საინტერესოა საქონლისა და რესურსების ბაზარზე წონასწორობის დამყარების თვალსაზრისით. მაკროგარემოს ამ ელემენტის გავლენა ერთის მხრივ დაკავშირებულია, მოსახლეობის ერთობლივ მოთხოვნასთან, მოთხოვნის სიდიდესთან. მეორეს მხრივ, ეს გავლენა დაკავშირებულია მთლიანად მოთხოვნის სტრუქტურის უპირატესობებთან და ცვლილებებთან საქონლის ბაზრის ცალკეული სეგმენტის ჩარჩოებში. რაც შეეხება რესურსების ბაზარს, აქ სოციალურ-კულტურული გარემოს როლი დაკავშირებულია საწარმოების სამუშაო ძალით უზრუნველყოფის პრობლემებთან.

ტექნოლოგიურმა გარემომ შეიძლება განაპირობოს საწარმოს წარუმატებლობა რიგი მიზეზების გამო. ტექნოლოგიური სიახლეები გავლენას ახდენენ ეფექტიანობაზე, რომელთა მიხედვით შეიძლება პროდუქციის წარმოება და გაყიდვა. იგი გავლენას ახდენს ასევე პროდუქტის მოძველების სიჩქარეზე, ასევე იმაზე, თუ რა სახის მომსახურებას და ახალ პროდუქტებს მოელიან მომხმარებლები საწარმოსაგან. სახელმწიფოს დაბალი დანახარჯები მეცნიერებაზე და ტექნიკაზე განაპირობებს ტექნოლოგიური პროცესის ერთ ადგილზე გაჩერებას. საწარმო საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად იყენებს მოძველებულ ტექნოლოგიას, ხოლო არადადამაკმაყოფილებელი საპატენტო დაცვა ვერ ასტიმულირებს უახლესი ტექნოლოგიების შექმნას. ყოველივე ეს ამცირებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და საწარმო მიჰყავს წარუმატებლობამდე.

მიკროგარემოს გარე ფაქტორები. ბაზრების ძირითადი სახეების შესაბამისად ეს ფაქტორები მოიცავენ ოთხ ძირითად ჯგუფს, რომლებიც განაპირობებენ სამეწარმეო ფუნქციას.

თუ ვისაუბრებთ ფინანსურ ბაზრებზე, საწარმოს წარუმატებლობის ფაქტორები შეიძლება დაკავშირებული იყოს მის ისეთ მომენტებთან, როგორცაა:

- ფინანსური ბაზრის არადადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. გარე ფინანსური სახსრების არასაკმარისობა ან არაოპტიმალური შემადგენლობა.

აქ საუბარია პირველ რიგში, ფულის ბაზრის და კაპიტალების ბაზრის შევსების ხარისხზე;

- ფინანსური რესურსების მოზიდვის არაოპტიმალური პირობები. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი პირობები, როგორცაა გადასახადები რესურსების გამოყენებაზე, მოზიდული რესურსების ვალუტის ფორმა, დაბრუნებადობის გარანტიებისადმი მოთხოვნები, გარიგების დადების ვადები და ფინანსური რესურსების გადაადგილება. რაც უფრო არახელსაყრელია აღნიშნული პირობები, მით უფრო მეტად განაპირობებენ ისინი საწარმოს ფინანსური ბრუნვის არარიტმულობას და წარმოების ხარჯების გადიდებას.

- ფინანსური ბაზრის ნეგატიური გავლენა დაკავშირებულია საწარმოს საკუთარ დროებით თავისუფალი სახსრების განთავსების არადადამაკმაყოფილებელ შესაძლებლობებთან. ფინანსური ინსტიტუტების განვითარებული სისტემის არარსებობა ფინანსური შუამავლების ანგარიშებზე ფულის განთავსების მაღალი რისკი და სხვა მსგავსი მომენტები საწარმოს უკან უბრუნდება ან ფინანსური აქტივების პირდაპირი დანაკარგების სახით, ანდა მათი არაეფექტიანი გამოყენებით და მოგების მიუღებლობით, ან უმოქმედობაში მყოფი ჭარბი მატერიალური მარაგების უმოქმედო არსებობით.

შრომის ბაზარზე მიმდინარე გარკვეული პროცესები, ასევე ხელს უწყობენ საწარმოს წარუმატებლობის განვითარებას. შრომის ბაზარი გავლენას ახდენს საწარმოს მდგომარეობაზე სამუშაო ძალის შესაბამისი რესურსის ხარისხისა და ფასის მეშვეობით, რაც უშუალოდ აისახება შრომის ნაყოფიერებაზე, ზენორმატიულ დანაკარგების დონეზე, ერთეული პროდუქციის ხარისხზე და მასზე დანახარჯებზე. ბაზარზე სამუშაო ძალის შემადგენლობის არადადამაკმაყოფილებელი დონის არსებობა არსებითად ზღუდავს წარმოების ფაქტორების მანევრირების შესაძლებლობას წარმოების დონეზე, რაც განაპირობებს წარმოების საერთო ეფექტიანობის შემცირებას.

მატერიალური რესურსების ბაზარი რესურსებზე არსებული ფასებით და მათი ხელმისაწვდომობით უშუალო ზემოქმედებას ახდენს საწარმოთა მდგომარეობაზე, რაც აისახება წარმოების დანახარჯებზე. მისი ნეგატიური ზემოქმედება შესაძლებელია რიგი მიზეზების გამო, კერძოდ: კი ბაზარზე აუცილებელი რესურსების საჭირო ოდენობის, ხარისხის და ასორტიმენტის ხშირი არარსებობა, ანდა შეფერხებები ბაზარზე მათ მიწოდებაში. აღნიშნულის შედეგად საწარმო განიცდის დანაკარგებს წარმოების დაცემის და სიმძლავრეების არასრული დატვირთვის გამო, რამდენადაც საწარმოს წარუმატებლობის უმნიშვნელოვანესი მიზეზია მის პროდუქციაზე მოთხოვნა და ფასები. ბაზრის კეთილდღეობის მდგომარეობა არის საწარმოს მიკროგარემოს წარუმატებლობის არსებითი ხასიათის ფაქტორი. მოთხოვნის სიდიდის შემცირება კრიტიკული დონის დაბლა განაპირობებს საწარმოს განვითარების და საქმიანობის თვითდაფინანსების წყაროების დაკარგვას. იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ასპექტებთან, რომლებიც საწარმოს გარეთ არსებობენ. კერძოდ:

- ჯერ ერთი საზოგადოებრივი უპირატესობების სისტემის მოკლევადიან ან გრძელვადიან ცვლილებებთან. საწარმოს უუნარობასთან ადექვატურად გამოეხმაუროს მოთხოვნის საერთო დაცემას ფასებისა და ხარისხის მანევრირების გზით (სიტუაციის მოკლევადიანობის შემთხვევაში), რაც აუცილებლად იწვევს წარმოების შეფერხებას და დაცემას.

- მეორე, მომხმარებელთა სტრუქტურასთან, რომელიც მოიცავს სამომხმარებლო ქცევის ორ ტიპს: სტაბილური შეკვეთები მოცემულ პროდუქციაზე წინასწარი განაცხადების საფუძველზე. კანონზომიერი მასიური მოთხოვნა, რომელიც ყალიბდება უშუალოდ ბაზარზე და აქვს საერთო სტაბილური სიდიდე ან მყარი დინამიკა და შემთხვევითი მოთხოვნა. რაც უფრო მცირე ადგილს დაიჭერს მოთხოვნის საერთო მოცულობაში პირველი ორი შემადგენელი ელემენტი, მით უფრო განუსაზღვრელია მწარმოებლის მდგომარეობა და რეალიზაციის სფეროში დანაკარგების მეტი რისკია.

- მესამე, კონკურენტული გარემოს მდგომარეობა. აქ მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ მომენტებს: ბაზრის სტრუქტურა და კონკურენტების ხასიათი. რაც უფრო მაღალია მოცემული საქონლის ბაზრის კონკურენტუნარიანობა, მით უფრო შეზღუდულია დამოუკიდებელი ფასისმიერი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა და შესაბამისად, მომგებიანობის ზრდის შესაძლებლობები ფასისმიერი ფაქტორის ხარჯზე. რაც უფრო ძლიერია კონკურენტები, მაღალია მათი წილი ბაზარზე და აგრესიულია საბაზრო სტრატეგია, მით უფრო დაბალია წარმოების გაფართოვების შანსები დამატებითი ინვესტიციების გარეშე.

- მეოთხე, კონტრაგენტების ეკონომიკური მდგომარეობა და პასუხისმგებლობა. ხშირად საწარმოს მძიმე მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას მყიდველების მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არათავისდროული შესრულების გამო.

მიკროგარემოს შიდა ფაქტორები. ა.ხოსკინგის მოდელის შესაბამისად ნებისმიერი შიდა ფაქტორის ზემოქმედება შეიძლება განხილული იქნას სამეურნეო სუბიექტის ფუნქციების გამოიჯვნიდან გამომდინარე. გამოიყოფა ფუნქციათა ხუთი ჯგუფი: [16]

- პროცესიული, რომელიც ახდენს საწარმოს წარუმატებლობის ინიცირებას საწარმოს არაეფექტიანი ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიური სტრუქტურის ფორმირების გზით.

- ფინანსური, რომელთა ზემოქმედება დაკავშირებულია არაეფექტური ფინანსური ნაკადების ფორმირებასთან საკუთარი რესურსების განთავსების და რესურსების მოზიდვასთან მიმართებაში.

- მარკეტინგული, რომლებიც არაოპტიმალური ასორტიმენტული სტრატეგიის და საქონლის წინ წაწევასთან დაკავშირებული მაღალი დანახარჯების შედეგად, ქმნიან საწარმოთა წარუმატებლობის წინაპირობებს.

- საკადრო, რაც დაკავშირებულია არაოპტიმალური საკადრო პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან მოზიდული სამუშაო ძალის პროფესიული-კვალიფიციური სტრუქტურის, მისი განთავსების და შრომითი

დაჯილდოვების სისტემის თვალსაზრისით.

- მომარაგების, რომლის გავლენა გამოვლინდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მყარი ორიენტაციის და არაეფექტური წყაროების არსებობაში, მათი მიწოდების სტრუქტურასა და მექანიზმში, ასევე საწარმოო მარაგების არაოპტიმალური სტრატეგიის შერჩევაში.

საწარმოთა წარუმატებლობის ფაქტორების გაანალიზებით, აღმოჩნდა რომ მათ დაყოფას აქვს რიგი ნაკლოვანებები; პირველ რიგში, იგი არ იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს და ერთიმეორისაგან გამოიყოს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. არ მიიღწევა ასევე ასეთი გამიჯვნის იგივეობა წარუმატებლობის ძირითად ნიშნებთან (სიმპტომების) და მათი გამოვლენის სფეროებთან. ამასთან მიმართებაში საწარმოთა წარუმატებლობის შიდა ფაქტორების ანალიზისათვის, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი, მიზანშეწონილია წარმოდგენილი იქნას შემდეგი რამდენადმე შეცვლილი სტრუქტურით, რომელიც მოიცავს ოთხ ჯგუფს: საწარმოს, ორგანიზაციულ-მმართველობითს, ფინანსურს და კომერციულს. განვიხილოთ ეს ჯგუფები ცალ-ცალკეა.

საწარმოო ფაქტორები. ამ ჯგუფის მნიშვნელოვანი (პირველი) კომპონენტია საწარმოო-ტექნიკური ხასიათის ფაქტორები. მათ რიცხვშია საწარმოო პოტენციალის დაბალი დონე, რომლის მიზეზია მისი არადაამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა და განახლების შესაძლებლობის არარსებობა. იგი ვლინდება ძირითადი საშუალებების ფიზიკური ან მორალური ცვეთის დონის ამაღლებაში, რაც საშუალოა შესაბამისი დარგისათვის. ეს განაპირობებს ინდივიდუალური დანახარჯების და მიწოდების ფასების ზრდას საშუალო დარგობრივზე უფრო მაღლა და პროდუქციის ხარისხობრივი პარამეტრების ჩამორჩენას საშუალო დარგობრივ დონესთან შედარებით. აღნიშნულთან უშუალო კავშირშია მეორე საწარმოო-ტექნიკური ფაქტორი - საწარმოს ტექნოლოგიური ჩამორჩენა. იგი ვლინდება ორ ასპექტში: ჯერ ერთი, ძველი ტექნოლოგიების

შენარჩუნება და გამოყენება დარგის მიერ ახალი პროდუქტის შექმნის საერთო გადასვლის ფონზე; მეორე, ტექნოლოგიის გამოყენება, რომლის მოქნილობა (შეგუების უნარი) საწარმოს საქმიანობის ფარგლებში არ შეესაბამება მოთხოვნის ცვლილებას საქონლის შესაბამისი ჯგუფის მიხედვით. ამ ჯგუფის მეორე კომპონენტია პროდუქციის გამოშვების არჩეული მასშტაბების მიმართ კაპიტალის ნაკლებობა ან სიჭარბე. რეზერვების არარსებობა ან ნაკლებობა ცვალებად გარე პირობების მიმართ საწარმოო პროცესს არ ხდის მოქნილს. მეორეს მხრივ, რეზერვების სიჭარბე დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან ან რესურსების არარაციონალურ გამოყენებასთან, რაც ასევე აუარესებს მდგომარეობას საწარმოში. ასეთი ვითარება დამახასიათებელია თანამედროვე ეტაპისათვის.

ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები. ფაქტორების მოცემულ ჯგუფში ფიგურირებს წარმოების მართვის კადრებთან დაკავშირებული პრობლემები ყველა დონეზე, მათი კომპეტენციის დონეზე, მათ პასუხისმგებლობასთან და რისკის მიდრეკილებასთან დაკავშირებული პრობლემები, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის აგების ნაკლოვანებები, მართვის ცალკეული ფუნქციების ორგანიზაცია, ცუდი სუბორგანიზაცია და უპირატესად სუბიექტური ხასიათის სხვა მსგავსი მიზეზები, რაც იწვევს ან არაოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას, ან გადაწყვეტილებათა არადროულად მიღებას.

საქართველოსათვის დამახასიათებელია განსახილველი პრობლემების სიმწვავე. ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ საწარმოს და მისი ქვედანაყოფების მაღალი ხელმძღვანელების კვალიფიკაციაში დისპროპორცია. მათი გამოვლენა შეიძლება ორი ფორმით:

- საწარმოს ყველა დონის ხელმძღვანელთა შესაბამისობით გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბებთან და ხარისხთან;

- მთლიანად საწარმოს დონეზე და მისი სტრუქტურული და ფუნქციონალური ქვესისტემების ცალკეულ დონეებს შორის მენეჯმენტის დისბალანსის ფორმით.

წარუმატებლობის ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საწარმოს მართვის არარაციონალურ სტრუქტურას. იგი განაპირობებს საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში დაბალ ეფექტურობას და მისი შენახვისათვის მუდმივი ხარჯების გაზრდას.

ფინანსური ფაქტორები. საწარმოს წარუმატებლობის ფაქტორების ეს ჯგუფი მოიცავს მიზეზებს, რომლებიც არღვევენ საწარმოს ფინანსური რესურსების მყარ ბრუნვადაობას. ეს კი მისი კაპიტალის წრებრუნვისა და გაფართოვებული კვლავწარმოების მნიშვნელოვანი ელემენტია. აღნიშნული ფაქტორების რიცხვს პირველ რიგში, განეკუთვნება არასრულყოფილი ფინანსური დაგეგმვა. შემოსავლების და ხარჯების არასწორმა დაგეგმვამ შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილურობა და წარმოების ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა. ფინანსური ხასიათის მეორე ფაქტორია მიმდინარე პერიოდში ფინანსების ცუდი მართვა, რომელიც იწვევს სამეურნეო საქმიანობის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ტექნიკურ დარღვევებს, წარმოშობს საწარმოს კრედიტორული და დებიტორული დავალიანების დიდ მოცულობებს ხანგრძლივი დროის მანძილზე. საწარმოს წარუმატებლობის მნიშვნელოვანი ფინანსური ფაქტორია მისი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროების ფორმირების არაოპტიმალური სტრატეგია. უპირველეს ყოვლისა საუბარია საწარმოს პასივების შემადგენლობაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის დამოკიდებულებაზე. მიმდინარე საქმიანობის ზედმეტმა თვითდაფინანსებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს წარმოების მოქნილობაზე და საწარმოს განვითარების დინამიკაზე. ამავე დროს გარე ფინანსურ წყაროებზე ზედმეტად დაყრდნობა საწარმოში იწვევს მიმდინარე ვალდებულებათა ზრდას და მოგების წარმართვას იმ მიზნებზე, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული წარმოების განვითარებასთან. საწარმოს მდგომარეობაზე ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს გარე წყაროების არარაციონალურმა სტრუქტურამ. მათ შემადგენლობაში მოკლევადიანი

პასივებში სიჭარბე ხელს უწყობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მიმდინარე არამდგრადობის ზრდას, ზრდის ფინანსური ნაკადების სისტემაში ჩავარდნების ალბათობას, რასაც მოსდევს შეფერხებები წარმოებასა და კაპიტალის ბრუნვაში. გრძელვადიანი პასივების სიჭარბე, განსაკუთრებით ეკონომიკის საერთო კრიზისის სიტუაციაში განაპირობებს ფასების ზრდას მოზიდული რესურსების გამოყენებაზე. საწარმოს წარუმატებლობის მნიშვნელოვანი ფინანსური ფაქტორია საბრუნავი სახსრების დაფინანსების შეუსაბამობა საწარმოო და ეკონომიკურ ამოცანებთან. იგი პირველ რიგში ვლინდება საბრუნავი სახსრების უკმარისობაში, რაც იწვევს საწარმოო საქმიანობის მაშტაბების შემცირებას და მისი რიტმულობის დარღვევას მოკლევადიანი კრედიტების ჭარბ გამოყენებას და წმინდა მოგების ნორმის შემცირებას.

კომერციული ფაქტორები. ამ ჯგუფის მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოში მარკეტინგული სამსახურის განუვითარებლობა, ან მისი არაეფექტიანობა. საბაზრო განუსაზღვრელობის პირობებში, საწარმოს პროფილის ფორმირებისათვის ოპტიმალური სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს მომხმარებელთა ქცევის მიზანმიმართულ შესწავლას, მიზნობრივი ბაზრის შერჩევას, კონკურენტების ქცევის გათვალისწინებას, მოთხოვნის პროგნოზირებას. შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება მიღებული ყოფილიყო მარკეტინგის კვალიფიციური სამსახურის დახმარებით, იზრდება არასწორი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, რაც იწვევს ფინანსური ბრუნვის ინტენსივობის შემცირებას და ფულადი სახსრების დეფიციტის ზრდას. კომერციული სახის ფაქტორებს მიეკუთვნება შეკვეთების პორტფელში არასასურველი ცვლილებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის რეალიზაციის ამონაგებისა და შემოსავლების მიღების დინამიკის შემცირება, ნეგატიურად იმოქმედოს საქმიანობის შემოსავლიანობის საერთო დონეზე. შეკვეთების პორტფელის არასასურველ ცვლილებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ნედლეულისა და მასალების ძირითადი

მომწოდებლების და საწარმოს პროდუქციის მომხმარებელთა დაკარგვა. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეფერხებები როგორც საწარმოს ნედლეულითა და მასალებით მომარაგების საქმეში, ასევე პროდუქციის გასაღებაში გამოიწვიოს დაგეგმილი მატერიალური და ფინანსური ნაკადების დისბალანსი და ამის საფუძველზე - საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შემცირება. კომერციული ფაქტორების რიცხვს მიეკუთვნება პროდუქციის რეალიზაციის გეგმის მუდმივი შეუსრულებლობა. იგი იწვევს დაგეგმილი შემოსავლების მიუღებლობას და შეიძლება დაკავშირებული იყოს, პირველ რიგში გასაღების ცუდ მართვასთან და არასწორ ფასისმიერ პოლიტიკასთან. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ამ ფაქტორების კლასიფიკაციის სხვა ვარიანტებიც, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოების წარუმატებლობის წარმოქმნას. ასე მაგ: გ.ბ. კლეინერი, ვ.ლ. ტამბოვცევი და რ.მ. კაჩალოვი გვთავაზობენ შემდეგ კლასიფიკაციას [18]:

- მაკროეკონომიკური ფაქტორები განსაზღვრავენ მაკროეკონომიკური გარემოს ხასიათს და წარმოიქმნიან მაკროეკონომიკური რეგულირების შედეგად.

- მეზოეკონომიკური ფაქტორები წარმოიქმნება დარგების ან ვერტიკალური საწარმოო კომპლექსების ქცევასთან დაკავშირებით.

- მიკროეკონომიკური ფაქტორები წარმოიქმნება მიკროეკონომიკურ დონეზე და ასახავს თვით საწარმოების განვითარებას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას.

- ნანოეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს მუშაკების და მომხმარებლების - ფიზიკური პირების ეკონომიკური აზროვნების თავისებურებები და ქცევა.

ვ.ა.ჩერნოვი მმართველობით დონეზე წარუმატებლობის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორების სამ ჯგუფს გამოყოფს [19]:

- მმართველობითი (მარეგულირებელი) ფაქტორები, რომლებიც ახასიათებენ კოლექტივის მუშაობის ხარისხს, წარმოების და შრომის ორგანიზაციის დონეს, მმართველობითი მუშაობის ხარისხს, (რესურსების

გამოყენების დონეს) სამეურნეო პროცესის ეფექტიანობას, ე.ი. რომელზედაც შეიძლება ზემოქმედება წარმოების დონეზე.

- პირობითად რეგულირებადი (ძნელად სამართავი) ფაქტორები და პირობები, რომლებიც დამოკიდებულია საწარმოს ფუნქციონირების წინა პერიოდთან (ძირითადი საშუალებების მოცულობა და სტრუქტურა, წარმოების ტექნიკური დონის მახასიათებლები, საწარმოო პერსონალის სტრუქტურა და ა.შ.).

- არამმართველობითი (არარეგულირებადი) ფაქტორები, რომელთა შეცვლა არ შეუძლია მართვის სუბიექტს (კლიმატური, გეოგრაფიული, პოლიტიკური, პროდუქციის რეალიზაციის პირობები და ა.შ.).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკაციას თავისი ღირებულება გააჩნია, რამდენადაც ფაქტორების მთელ ერთობლიობას განიხილავენ სხვადასხვა თვალსაზრისით. ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ საწარმოს წარუმატებლობის მოვლენას ადგილი აქვს საბაზრო ურთიერთობაზე ორიენტაციის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვის პროცესი და წარუმატებლობის განვითარება აუცილებელია განხილულ იქნას სამეურნეო სუბიექტის ზარალიანობის გარდაქმნის პრიზმაში, მისი შინაგანი მდგომარეობიდან გარე ფორმაში - გაკოტრებაში. წარუმატებლობის განვითარებას ხელს უწყობს საწარმოს შიდა და გარე ფაქტორები, პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების გზით. ყოველი მათგანი გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობის განსაზღვრულ სფეროზე. სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედება შეიძლება ავსებდნენ ერთმანეთს ან მოსდევდნენ ერთიმეორეს და ამით მრავალმხრივ აძლიერებდნენ ნეგატიურ ეფექტს.

1.3. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების საინვესტიციო ასპექტები და რესტრუქტურირება

წარუმატებელი საწარმოების გაჯანსაღების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსურ მხარდაჭერას. წყაროს მიხედვით იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც დახმარება: მესაკუთრეების, საწარმოს კრედიტორ-

კონტრაგენტების პროდუქციის გაყიდვის და რესურსების შეძენის კუთხით, ფინანსური ინსტიტუტების (ნასესხები სახსრები), გარე ინსტიტუციური ინვესტორების, გარეშე კერძო ინვესტორების, ხელისუფლების სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მხრიდან. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღებისათვის ფინანსური სახსრების მოზიდვის მეთოდური მხარე განსაზღვრულია ფინანსური გაჯანსაღების ნორმატიული დოკუმენტებით.

წარუმატებელი საწარმოებისათვის ფინანსური დახმარება, როგორც წარმოების გაჯანსაღების პროცესის შემადგენელი ნაწილი, გულისხმობს ამ დახმარების წარმართვას კაპიტალის აღდგენაზე გაკოტრების საშიშროების შემთხვევაში. ასე რომ სანაცია, საბოლოოდ წყვეტს იმავე ამოცანას, რა ამოცანასაც წყვეტს კაპიტალის მარტივი კვლავწარმოების პროცესში ინვესტიციები [11]. ასე, რომ სანაციის ფინანსური მხარდაჭერა განხილული უნდა იქნას როგორც რეალური წარმოების ანტიკრიზისული ინვესტირების საფუძველი, ხოლო სანაცია შესაბამისად როგორც მსგავსი სახის ინვესტირების მექანიზმი. აქედან ცხადი ხდება ის როლი, რომელსაც დღეს მეცნიერება ანიჭებს ინვესტიციების პრობლემას და მათ როლს წარმოების გაჯანსაღებაში. გარდა ამისა ეს ფორმა მნიშვნელოვანწილად არ შეესაბამება ტრადიციულ წარმოდგენას საწარმოო ინვესტიციებზე და საქმე მართო ინვესტირების ობიექტურ სპეციფიკაში არ არის. შეუსაბამობა ყველაზე თვალნათლივ ვლინდება წარმოების სამეურნეო ობიექტის ფინანსირების მექანიზმში [20].

ჯერ-ერთი, წარუმატებელი საწარმოს ფინანსური დახმარების აღმოჩენის მექანიზმი შეიძლება წარმოდგენილი იქნას პირდაპირი და ირიბი ინვესტიციების ფორმით. ამ ორი ფორმის გამიჯვნის საფუძველია სანაცირებულ საწარმოსა და მის ფინანსურ "დონორებს" შორის ურთიერთობის ხასიათი. მათი ერთი ნაწილი ვლინდება აქტიური ფინანსური მხარდაჭერის ფორმით. ეს ფორმა გულისხმობს რეალურ ფინანსურ ჩადინებას წარუმატებელ საწარმოში ნებისმიერი სუბიექტის მხრიდან, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია წარუმატებლობის გამომწვევი

ფაქტორების ნეიტრალიზაციასთან. ეს შეიძლება იყოს დაკრედიტების გზით მიღებული სახსრები (კომერციული კრედიტები, ფინანსური ინსტიტუტების სესხები, ობლიგაციების, თამასუქების და საწარმოს სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსება) ანდა სახსრები, რომლებიც შემოდის საწარმოს საკუთარი სახსრების გადიდებაზე (მესაკუთრეების დამატებითი შენატანები, საკუთრების ტიტულოვანი ფასიანი ქაღალდების განთავსება მესამე პირებს შორის), ანდა სახსრები, რომლებიც მიღებულია უსასყიდლო დახმარების სახით (სპონსორების სახსრები და ტრანსფერტები სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოებიდან). რამდენადაც აქ ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი აქვს პირდაპირ დაბანდებას წარუმატებელ საწარმოს დამატებით სახსრებში. მოცემული ფორმა შეიძლება განხილული იქნას როგორც პირდაპირი ინვესტიციები სანაციური პროცესის დაფინანსების მიზნით. ინვესტიციების სხვა ფორმა არ ღებულობს პირდაპირი ფინანსური ნაკადების სახეს, არამედ გულისხმობს საწარმოს გაჯანსაღების საწყისი პროცესისათვის უკვე ჩამოყალიბებული ფინანსური ურთიერთობების მოწესრიგებას და ოპტიმიზაციას. მხარდაჭერის აღნიშნული ფორმა მოწოდებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეამციროს წარუმატებელ საწარმოზე ზეწოლა მისი ფინანსური გარემოცვის მხრიდან და ამის ხარჯზე უზრუნველყოს სანაციის განხორციელებისათვის შიდა და გარე რესურსების მობილიზაციის უკეთესი პირობები. აქ ძირითადი ღონისძიებებია წარუმატებელი საწარმოს ფინანსური ვალდებულებების, კერძოდ კი სავალო ვალდებულებების რეალიზაციის ფორმებისა და პირობების შეცვლა. ამ ღონისძიებების ვარიანტები მეტად მრავალფეროვანია. მათ რიცხვშია - დავალიანების გადავადება, მისი სრული ანდა ნაწილობრივი ჩამოწერა, პროცენტის გადახდის წესისა და დარიცხვის პირობების ცვლილება, დავალიანების ჩანაცვლება ახალი ნასესხები სახსრებით, დებიტორული დავალიანების კონვერსია, ბიუჯეტის მიმართ საწარმოს ვალდებულებებზე სხვადასხვა შეღავათების მიცემა, მესაკუთრეებთან დივიდენდების გადახდის მორატორიები და ბევრი სხვა.

პირდაპირი ინვესტიციები	ირიბი ინვესტიციები
<p>გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების ზრდა:</p> <ul style="list-style-type: none"> - გრძელვადიანი სესხის მიღება საერთო წესით; - სახსრების მიღება გრძელვადიანი ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდების) განთავსების წესით; - გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების მიღება; <p>მოკლევადიანი საკრედიტო რესურსების ზრდა:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოკლევადიანი საკრედიტო სესხების მიღება საერთო წესით; - მოკლევადიანი შეღავათიანი სესხების მიღება; 	<p>კრედიტორის მიერ საწარმოს დადგენილი დავალიანების ზომის შემცირება:</p> <ul style="list-style-type: none"> - დავალიანების ჩამოწერა; - დავალიანების კონვერსია საკუთრების ტიტულში; - დავალიანების კონვერსია მიმოქცევის მოკლევადიან ვალდებულებებში; - დავალიანების კონვერსია გრძელვადიან ვალდებულებებში; <p>დავალიანების დაფარვის პრობლების ცვლილება:</p> <ul style="list-style-type: none"> - დავალიანების ვადის გაგრძელება; - ვალების გადაფორმება;

ნახ. 4. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღებაში ინვესტიციები

მეორეც, ჩვეულებრივი გაგებით წარმოების სექტორის უკვე არსებულ რგოლში ინვესტირების მიზნია აქ შექმნილი მოგების ზრდის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერიოდში ორი ფაქტორის ხარჯზე: სიმძლავრეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პროგრესის ხარჯზე და ამის საფუძველზე წარმოების ფაქტორების უკუგების გადიდება [21]. აქ უკვე ჩნდება ინვესტიციების მნიშვნელოვანი მიზანი - ხელი შეუწყოს საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობას. ამიტომ "ფინანსური ინექციები" საწარმოს ეკონომიკური მდგრადობის აღდგენისას წმინდა ტექნიკური და ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად ასევე მოწოდებულია უზრუნველყოს საწარმოზე ფინანსური ზეწოლის მნიშვნელოვანი შემცირება. ასეთი შემცირება გულისხმობს პირველ რიგში, კრედიტორებთან ურთიერთობის რესტრუქტურირებას ვალების ჩამოწერის გზით, მათი გადახდის გადავადებას, მიმოქცევადი ვალდებულებების კონვერსიას და ასე შემდეგ. იგი გამოიხატება უარყოფითი სალდოს

შემცირებაში საწარმოს ფინანსური ოპერაციების მიხედვით და მათი აქტივების და პასივების შემადგენლობის გრძელვადიანი ბალანსის შექმნაში. ვალაუვალი საწარმოსათვის ვალების ნაწილის ჩამოწერა მისი ფინანსური შესაძლებლობების თვალსაზრისით მისთვის უსასყიდლო დახმარების იდენტურია, თუმცა პირველი ღონისძიება დაკავშირებულია პასივების ოპტიმიზაციასთან, მეორე აქტივების ოპტიმიზაციასთან.

ამგვარად, წარუმატებელი საწარმოების ფინანსური ინექციები არის ინვესტიციური რესურსების მობილიზაციის და განთავსების ერთობ თავისებური სფერო, რომელიც ფორმების მრავალფეროვნებითა და მათი არაერთგვაროვნებით ძალზე სპეციფიკურია. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს ფორმები არ არიან აბსოლუტურად დამოუკიდებელნი, რომლებიც ერთიმეორისაგან იზოლირებულად არსებობენ. პირიქით, ადგილი აქვს მათ ურთიერთშერწყმის და ურთიერთშეღწევის პროცესს, რომელთა საფუძველზე მიიღწევა გაჯანსაღების პროცესის ერთიანობა და ამ სფეროში რიგი პრობლემების გადაწყვეტა. ზემოთ აღნიშნული იძლევა საშუალებას დავასკვნათ რომ, სანაციის ფინანსური მხარდაჭერა შეიძლება განხილული იქნას როგორც რეალური წარმოების ანტიკრიზისული ინვესტირების საფუძველი, ხოლო სანაცია - შესაბამისად, როგორც ინვესტირების გარკვეული სახის მექანიზმი, რამდენადაც გაჯანსაღების პროცესში, როგორც წესი, ადგილი აქვს წარუმატებელი საწარმოს კაპიტალური აქტივების ხარისხობრივ სრულყოფას. წარუმატებელ საწარმოებში ინვესტირებას აქვს რიგი სპეციფიკა. კერძოდ:

I - ფინანსური დახმარება შეიძლება გაწეულ იქნას როგორც პირდაპირი (რეალური ფინანსური დაბანდებები წარუმატებელი საწარმოში), ასევე ირიბი ინვესტიციებით, რომლებიც მოწოდებულნი არიან გარკვეულ პერიოდში შეამცირონ ზეწოლა წარუმატებელ საწარმოზე მისი ფინანსური გარემოცვიდან და ამის ხარჯზე მიღწეული იქნას სანაციის განხორციელებისათვის შიდა და გარე რესურსების მობილიზაციის უკეთესი პირობები.

II - გაჯანსაღების პროცესის ინვესტირების მოტივაცია "იძულებითი ინვესტორებისათვის" ემსახურება არა შემოსავლების მაქსიმალიზაციას, არამედ დანაკარგების მინიმიზაციას.

III - წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღებაში ფინანსური მონაწილეობა რიგ შესაძლებლობებს აძლევს "ორდინალურ" ინვესტორებს. კერძოდ, მათზე კონტროლის უფლების მოპოვებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საკუთარი საბაზრო სტრატეგიის რეალიზაციისას.

წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მისი რესტრუქტურიზაცია. საწარმოთა რესტრუქტურიზაცია განიხილება როგორც ზარალიან საწარმოების შემცველი სამეურნეო სისტემიდან ნორმალურად ფუნქციონირებად საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, როცა საწარმოთა უმრავლესობა რენტაბელური ხდება და დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეუძლია სხვა საწარმოებთან კონკურენცია.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა რესტრუქტურიზაცია მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს. ამიტომ წარუმატებელი რესტრუქტურიზაციის განსახორციელებლად აუცილებელი წინაპირობაა ჯანსაღი და მაღალკაპიტალიზებული საბანკო სისტემის არსებობა. თავის მხრივ, რესტრუქტურიზაციის წარმატებით განხორციელებაზე დიდადაა დამოკიდებული თვით ბანკების ფინანსური პერსპექტივა.

საჭიროა ითქვას, რომ საწარმოთა რესტრუქტურიზაცია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადამსვლელი ქვეყნებისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი მუდმივ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საწარმოები იძულებულნი არიან განახორციელონ რესტრუქტურიზაცია, რათა მუდმივად ცვლად ეკონომიკურ გარემოში, სადაც ადგილი აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას და სხვა საწარმოებთან კონკურენციას, შეინარჩუნონ მათთვის სასურველი, ან უბრალოდ მინიმალურად აუცილებელი რენტაბელობის დონე. საწარმოთა უწყვეტი რესტრუქტურიზაციის პროცესი განაპირობებს მათი მწარმოებლურობის

ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ეს უკანასკნელი კი მთავრობის ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ფუნქციაა. ამიტომ ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა დაინტერესებულია საწარმოთა რესტრუქტურისა და სწორი პოლიტიკის შემუშავებით და განხორციელებით. საწარმოთა რესტრუქტურისა და სწორი პოლიტიკის ტრადიციულად ოთხ ძირითად კომპონენტს გამოყოფენ, ესენია: პოლიტიკური რეფორმაცია, მართვის სრულყოფა, საქმიანობის რესტრუქტურისა და ფინანსური რესტრუქტურისა და რეკაპიტალიზაციის ან პრივატიზაციის მეშვეობით. მისი ელემენტებია ვალდებულებების შემცირება, პარტნიორთა ცვლა, ახალი აქციონერების მიღება, საკუთარი კაპიტალის ცვლილება.

საჭიროა ითქვას, რომ ტრანსფორმაციული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხშირად ოპერატიული რესტრუქტურისა და რეკაპიტალიზაციის მოსამზადებელ ეტაპს.

მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით ოპერატიული რესტრუქტურისა და რეკაპიტალიზაციის ძირითად მაჩვენებლებად შეიძლება გამოვიყენოთ: 1. დადებითი ოპერატიული ფულადი ნაკადების გამომუშავება; 2. სამუშაო ძალის პროდუქტიულობა; 3. ყველა ფაქტორის პროდუქტიულობა; 4. საექსპორტო ოპერაციის მოცულობის

ზრდა [22].

როცა საუბარია წარუმატებელ საწარმოების ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, მისი განხორციელების ხერხებსა და მეთოდებზე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ იგი უნდა განხორციელდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით. საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის შესაძლო მიმართულებების ანალიზი თვალნათლივ ადასტურებს, რომ საანაციის პროცესი მჭიდროდ და განუყოფლად დაკავშირებული საწარმოო სისტემების რესტრუქტურის პროცესთან [23]. სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში უკანასკნელ დროს ფართოდ გამოიყენება ცნება: "საწარმოს რესტრუქტურისა", "საწარმოს რეფორმირება". აღსანიშნავია, რომ მრავალი მკვლევარი და პრაქტიკოსი ამ ტერმინებს თავისებურად განმარტავენ. შედეგად ადგილი აქვს სხვადასხვა ცნებების აღრევას, რაც აისახება ოფიციალურად გამოშვებულ დოკუმენტებში. კერძოდ, ნორმატიული დოკუმენტების კრებულში, რეფორმირება წარმოდგენილია როგორც საწარმოთა მოქმედების პრინციპების შეცვლა, რაც მიმართულია მათ რესტრუქტურისაზე. "საწარმოთა რეფორმების ტიპიურ (სამაგალითო) პროგრამაში" საუბარია რეფორმირების მიზნის მიღწევაზე საწარმოთა რესტრუქტურისა გზით. ამასთან ერთად კოლექტიურ მონოგრაფიაში: "კომპანიებისა და საწარმოების რეკონსტრუქცია" [24], სადაც არის მცდელობა ჩამოყალიბდეს „საწარმოს რეფორმირების“ ოფიციალური განმარტება, კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ რესტრუქტურისა (მხედველობაშია მისაღები, რომ ეს ტერმინი არ არსი განმტკიცებული კანონმდებლობით) ეს არის ძირითადი (და ამას არ შეიძლება არ დაეთანხმოს) საშუალება საწარმოს რეფორმირების საქმეში. ამავე დროს, ავტორები შენიშნას აკეთებენ რესტრუქტურისა, როგორც რეფორმირების ძირითადი ფაქტორის სასარგებლოდ - "შესაძლოა, ეს საწარმოს რეფორმირების ერთადერთი საშუალებაა. ავტორთა მეორე ჯგუფი, კერძოდ, ვ.ნ.ტრენევი, ვ.ა.ირიკოვი, ს.ვ.ილდემენოვი, ერთად

აყენებენ ორივე ცნებას "რეფორმირებას" და "რესტრუქტურიზაციას". მათი აზრით, რეფორმირება განეკუთვნება საწარმოს სტრატეგიასა და რეორგანიზაციას, ხოლო რესტრუქტურიზაცია ძირითადად საწარმოს სტრუქტურას და მის მიერ შექმნილი პროდუქციის სტრუქტურის ცვლილებას [25]. მაგრამ მტკიცება იმისა, რომ რესტრუქტურიზაცია ეს არ არის ერთადერთი საშუალება საწარმოს რეფორმირებაში, არამედ მოქმედებების მოწესრიგებული გრადაციაა, რომელიც შეესატყვისება ხსენებულ ცნებებს, მთლად კორექტიული არ არის. დიდ ეკონომიკურ ლექსიკონში (ა.ნ. აზრილიანის რედაქციით) ცნება "რესტრუქტურიზაცია" განმარტებულია როგორც "საწარმოს აქტივებისა და დანახარჯების სტრუქტურის ცვლილება, რომელსაც ახორციელებენ საწარმოები და რომლებიც თავიანთ თავს აცხადებენ გაკოტრებულად და ახორციელებენ კანონით დადგენილ პროცედურებს ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელად" [26]. ზოგიერთი ეკონომისტი "რესტრუქტურიზაციას" განმარტავს "როგორც ფირმის საქმიანობის თანმიმდევრულ გაუმჯობესებას, რომლის დროსაც ადგილი აქვს ინვესტორის მინიმალურ რისკს და დაბანდებების შედარებით დაბალ დონეს" [27].

საწარმოთა რეფორმირების სფეროში საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ვ.ს. კრიჟინოვსკი. იგი განმარტავს, რომ საწარმოს რესტრუქტურიზაცია არის საწარმოს სტრუქტურული გარდაქმნა საწარმოს მთელი რესურსების ეფექტიანი განაწილების და გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. იგი მდგომარეობს პასუხისმგებლობის ცენტრების შექმნაში მოქმედი საწარმოების დაყოფის, გაერთიანების, ლიკვიდაციის (გადაცემის) და ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფორმირების თვალსაზრისით, ასევე საწარმოს სხვა საწარმოსათვის მიერთების, საწესდებო კაპიტალის გარკვეული ნაწილის შემენის ანდა გარეშე ორგანიზაციების აქტივების შემენის თვალსაზრისით. იგი სიფრთხილეს იჩენს და განმარტავს, რომ "რეფორმირების ტიპიურ პროგრამაში" მოცემულ "რესტრუქტურიზაციის" ბუნდოვანი ცნება იწვევს


თავად "რეფორმირების" ცნების გაურკვევლობას. სავსაბით ვიზიარებთ ამ აზრს და აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკაში საწარმოს რეფორმირების ცნება არის ყოვლისმომცველი, რომელიც ეხება სამეურნეო საქმიანობის მრავალმხრივ მიმართულებას (მის შემადგენელ ნაწილებს, ვარიანტებს) და მათ გარდაქმნებს, სახელდობრ: რესტრუქტურისაციას, რეორგანიზაციას, (გამოყოფა, დაყოფა, მიერთება) საკუთრების ფორმისა და წარმოების ტექნოლოგიის ცვლილებას და ა.შ. [28]. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია სიცხადე იქნას შეტანილი ყველა ამ ცნებაში და მოხდეს მათი სტრუქტურირება ერთიან სისტემაში, ვინაიდან ისინი ახასიათებენ რეფორმირების ერთიან პროცესს საქართველოს საწარმოთა განვითარების ახალ დონეზე გადასვლისათვის.

საწარმოთა რეფორმირება არის მისი საქმიანობის ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნა ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით საბაზრო ეკონომიკის პირობებში. რეფორმირების პროგრამა ადგენს ღონისძიებათა ოპტიმალურ თანმიმდევრობას გარდაქმნათა შემუშავებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში (მართვის ახალი სისტემის შექმნა, ახალ ტექნიკაზე და პროგრესულ ტექნოლოგიებზე გადასვლა, წარმოების დივერსიფიკაცია და სხვა). ასევე აკონტროლებს და კორექტირებას უკეთებს აღნიშნული ღონისძიებების შესრულების (განხორციელების) მსვლელობას მიმდინარე მონიტორინგის საფუძველზე.

საწარმოთა რესტრუქტურისაცია არის მისი საქმიანობის ყველა სფეროს სტრუქტურული გარდაქმნა არსებული ყველა სახის რესურსის (მატერიალური, შრომითი, ფინანსური, ინტელექტუალური) ეფექტიანი განაწილებისა და გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. იგი არის საწარმოს რეფორმირების საერთო პროგრამის ნაწილი და შესაბამისად იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც რეფორმირების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რომელიც განაპირობებს საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. უცხოური კვლევები ადასტურებენ, რომ რესტრუქტურისაციის განხორციელებისას მეურნეობრიობის სხვადასხვა დარგებში მიიღწევა

მწარმოებლურობის ამაღლება ერთ მომუშავეზე 12-20%-ით, მცირდება პროექტის რეალიზაციის საინვესტიციო ციკლი 13-15%-ით, ხოლო მთლიანად პროექტის რეალიზაციის ციკლი 7-9%-ით. საქართველოს პირობებში, როცა დარგების გარდაქმნის პროცესი ჯერ არ დასრულებულა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისათვის არსებობს გარკვეული რეზერვები წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, ახალი ტექნიკის დანერგვის, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების გამოყენების, რეფორმირების ეფექტიანობა შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს. კერძოდ სამამულო გამოცდილება ადასტურებს, რომ ყოველი ლარი, რომელიც ჩადებულია რესტრუქტურირებაში, შეიძლება 5-6 ლარის უკუგების მომტანი იყოს. საწარმოების გაჯანსაღების ჩატარებული კვლევები მისი საქმიანობის სხვადასხვა მხარის რესტრუქტურირაციის კუთხით შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს კავშირი სანაციის ეკონომიკურ შინაარსსა და ამ შინაარსის რეალიზაციის კონკრეტულ მექანიზმს შორის. წარუმატებელ საწარმოთა გაჯანსაღების ღონისძიებები აისახება იმ სამ ძირითად მიმართულებაში, რომელთა სხვადასხვა შეხამება შესაძლებელს ხდის დაძლიონ ნებისმიერი ფუნქციონალური სფეროს პრობლემები და წინააღმდეგობები. პირველი მიმართულება დაკავშირებულია საწარმოს კაპიტალზე და აქტივებზე საკუთრებითი ურთიერთობების რესტრუქტურირებასთან (ნახ. 5.). საკუთრებით ურთიერთობების რესტრუქტურირება მიზანშეწონილია მაშინ, როცა მესაკუთრე მასზე დამოკიდებული მიზეზების გამო ვერ ახერხებს საწარმოს ქონების ეფექტიანი გამოყენების გენერირებას, ანდა ვერ ახერხებს ამ ინტერესების გარდაქმნას მეწარმის საქმიანობის ძირითად მიზნად. თანაც საწარმოს ეს უუნარობა ხდება საწარმოს წარუმატებლობის შემდგომი განვითარების ფაქტორი. განხილული მიმართულება გულისხმობს საკუთრების სუბიექტის გარდაქმნას, მისი მოცულობის, შემადგენლობის, განაწილების სტრუქტურის ცვლილებებს და მისი უფლებების განმტკიცებას საწარმოს საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში. მაგრამ, სამართლიანია იმის მტკიცება, რომ

საკუთრების ცვლილება არ არის წარმატების გარანტი წარმოების რეორგანიზაციის და დაგროვილი პრობლემების გადაჭრის სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია ცვლილებებზე, რომლებიც ხორციელდება არასტაბილური გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოში. თუ მესაკუთრის მთავარი მოტივია შემოსავალი, ხოლო მისი მიღება შექმნილ პირობებში შესაძლებელია წარმოების განვითარების გარეშე, საკუთრებითი ურთიერთობებში ცვლილებები არა თუ ვერ შეცვლიან კრიზისულ სიტუაციას უკეთესობის მიმართულებით, არამედ შეიძლება ხელი შეუწყონ მათ გაღრმავებას. ამას ირიბად ადასტურებს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში წარმოების კერძო სექტორის გაფართოების კვალობაზე ფიქსირდება საწარმოთა მოგების დაგროვების ნორმის შემცირების და მისი არასაწარმოო დანიშნულებით გამოყენების ტენდენცია მისი ორგანიზაციულ-ტექნიკური გადაიარაღების საზარალოდ.




ნახ. 5. საკუთრების სუბიექტის რესტრუქტურირება

გადანაწილებითი პროცესების (საკუთრების, შემოსავლების) მნიშვნელობის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია საწარმოთა მიზნების დეფორმირება. ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის მიზანი უკვე აღარ

არის მთავარი. ამიტომაც, სავსებით სამართლიანია, საკუთრების რესტრუქტურირება, როგორც რადიკალურიც არ უნდა იყოს, განხილული იქნას არა როგორც თვითუზრუნველყოფადი მიმართულება, არამედ როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური ურთიერთობების შემდგომი რესტრუქტურირების საშუალება. შესაბამისად ეს მიმართულება წარმატებული საწარმოს გაჯანსაღების ღონისძიებათა სისტემაში ასრულებს დაქვემდებარებულ როლს.

წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების მეორე მიმართულება დაკავშირებულია საწარმოს ორგანიზაციული საქმიანობის რესტრუქტურირებასთან, რომელსაც ახორციელებს მეწარმე (ნახ. 6.). იგი გამიზნულია მეწარმის მოქნილი ადაპტაციის უზრუნველყოფასთან არსებულ მიკრო და მაკრო გარემოში. იგი რეალიზდება მეწარმის მხრიდან საწარმოს საქმიანობის კონტროლის, წარმოების სქემის, შემადგენლობისა და ხარისხის ცვლილების გზით.



ნახ. 6. მეწარმის რესტრუქტურირება, რომელიც ორგანიზებას უკეთებს საწარმოს საქმიანობას

მესამე მიმართულება გულისხმობს საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეების კომპლექსურ რეორგანიზაციას. ეს გარდაქმნა ითვალისწინებს საწარმოს სიმძლავრეებისა და ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სტრუქტურის შეგუებას ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კონიუქტურასთან. საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის რეორგანიზაცია მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს.

ჯერ-ერთი: საწარმოში გამოყენებული წარმოების ტექნოლოგიური ხერხების შემადგენლობის შეცვლა. ასეთი ღონისძიებების აუცილებლობა წარმოიქმნება ორ შემთხვევაში. ერთი დაკავშირებულია საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის არარსებობასთან, რათა საწარმომ შეასრულოს ტრადიციული ფუნქციები, რომ საწარმომ სრულად შეინარჩუნოს მისი საწარმოო ორიენტაცია და ტექნოლოგიური გარდაქმნები. მეორე-დარგში შეღწევა და მისი საწარმოების ძირითად მასაზე დაყრდნობით ტრადიციული პროდუქტების წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხერხების განმტკიცება. ამის შედეგად საშუალო დარგობრივი დანახარჯები არსებითად მცირდება, რაც გარკვეულ ეტაპზე უკან ბრუნდება იმ საწარმოს წარუმატებლობის სახით, რომელიც ინარჩუნებს ძველ ტექნოლოგიებს.


მეორე - საწარმოს საქმიანობის მასშტაბების და პროფილის შეცვლა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროდუქციის ძირითადი სახეობების და გამოშვების სტრუქტურის ჩამონათვალი. მოცემული ღონისძიება მიმართულია საწარმოს საწარმოო-ტექნოლოგიური ფუნქციის და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ჩამოყალბებულ სტრუქტურასთან შესაბამისობის დამყარებაზე. საწარმოს ტექნიკური ბაზისიდან გამომდინარე, ამ ღონისძიების რეალიზაციას შეიძლება ჰქონდეს წმინდა ორგანიზაციული ხასიათი, მაგრამ შეიძლება ითვალისწინებდეს სიმპლავრების მნიშვნელოვან განახლებას და სტრუქტურულ გარდაქმნას. საწარმოს ფუნქციების ასეთი ოპტიმიზაცია დაკავშირებულია ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური გეგმის მნიშვნელოვან პრობლემებთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გარეგნული სიმარტივისა და მიმზიდველობის მიუხედავად აღნიშნული ღონისძიება ფართო გავრცელებას ვერ პოულობს. ასე მაგ. არსებული შეფასებების თანახმად სამამულო საწარმოების 80%-ი მიუხედავად არახელსაყრელი მდგომარეობისა ცდილობენ არ შეცვალონ თავიანთი საქმიანობის არსებული პროფილი. უფრო მეტიც, ქვეყანაში ზარალიანი წარმოების შენარჩუნება მნიშვნელოვანწილად მიმდინარეობს საწარმოთა მცდელობის ფონზე შეინარჩუნონ საქმიანობის ადრეული მასშტაბები.

მესამე - საწარმოს რეალური კაპიტალის, მისი აქტივების ცვლილება. რეალური კაპიტალის ცვლილება შეიძლება მრავალი მიმართულებით. პირველ რიგში იგი შეიძლება განხორციელდეს კაპიტალის სიდიდის ცვლილების ფორმით იმ შემთხვევაში როცა საწარმოს არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოწვეულია წარმოების არაოპტიმალური მაშტაბებით, ხოლო სხვა მაშტაბებზე გადასვლა არსებული საწარმოო სიმძლავრეების პირობებში შეუძლებელია. მან ასევე შეიძლება მიიღოს კაპიტალის ფიზიკური სტრუქტურის ცვლილების ფორმა. ასეთ ცვლილებას აქვს ორი რაკურსი: ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თანაფარდობა და თითოეული ამ ნაწილის შემადგენლობა. კაპიტალის ფიზიკური სტრუქტურის გარდაქმნის აუცილებლობა განპირობებულია პირველ რიგში, საწარმოს წარუმატებლობის გამო, აქტივების დაბალი უკუგებით მათი არასაკმარისი ბრუნვადობის შედეგად. და ბოლოს, რეალური კაპიტალის ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი ხარისხობრივი შემადგენლობის ოპტიმიზაციასთან, ან არსებული ელემენტების უფრო სრულყოფილი ელემენტებით შეცვლასთან, ან საწარმოში უფრო სრულყოფილი და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

მეოთხე - წარმოების ორგანიზაციული სფეროს გარდაქმნა. მისი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა წარმოების პროცესში პროდუქტის მოძრაობის მარშუტის ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობს საწარმოო ფართობების ფუნქციონალურ ცვლილებას საწარმოო ციკლის ჩარჩოებში და შიდასაწარმოო ნაკადების სქემის გადახედვას.

ამგვარად, საწარმოს რეფორმირების პროგრამის მიზანია მისი შიდა არაწინააღმდეგობრივი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართულია ღია საბაზრო ეკონომიკაში მეურნეობრიობის პირობებისადმი სამრეწველო საწარმოების ადაპტაციის პროცესების დაჩქარებაზე და განვითარებაზე. შრომაში ჩატარებული კვლევა გვარწმუნებს, რომ რესტრუქტურისაციას საჭიროებს საწარმოთა ქონება, მისი აქტივები, ანუ მის განკარგულებაში არსებულ მანქანები და მოწყობილობები, შენობები და

ნაგებობები, მარაგები, საბანკო ანაზრები, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციები, პატენტები. ამავე დროს, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაცია, როგორც წესი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აქტივების შესაბამისი გარდაქმნის გარეშე. ამ უკანასკნელის სტრუქტურას პრაქტიკულად არანაირი ცვლილება არ განუცდია. საწარმოთა ფუნქციონირება ასეთ მდგომარეობაში განაპირობებს ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების არსებობას, ძირითადი ფონდების მორალურ და ფიზიკურ ცვეთას, არასაწარმოო აქტივების არაეფექტიან გამოყენებას. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფო ზემოქმედების აქტიური ღონისძიებები სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც გამორიცხავს არაეფექტიანი მესაკუთრის არსებობას [29].



ნახ. 7. საწარმოს საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეების კომპლექსური რეორგანიზაცია

შექმნილ სიტუაციაში სავსებით გასაგებია, რომ სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურირაცია გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, ერთ შემთხვევაში იგი წყდება საწარმოს მიერ საკუთარი

ძალებით შემუშავებული მისი აქტივებისა და პასივების რესტრუქტურის პროგრამის საფუძველზე. ე.ი. შიდა ზემოქმედების ღონისძიებების გზით; ხოლო მეორე შემთხვევაში - გაკოტრების მექანიზმების მეშვეობით, ანუ გარე ზემოქმედების მექანიზმებით. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

- მიუხედავად კანონზომიერებების ობიექტურობისა, საწარმოთა გაკოტრება ექცევა ანტიკრიზისული მართვის და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების გავლენის ქვეშ. ამ გავლენის არსი მდგომარეობს ნეგატიური ტენდენციების თავისდროულ გამოვლენაში, პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებაში მათი დაძლევის ანდა შერბილების თვალსაზრისით შესაბამისად მაკრო და მიკრო დონეებზე.

- საწარმოთა წარუმატებლობის დაძლევა შეიძლება რიგი პრობლემების გადაწყვეტის გზით, რომლებიც წარმოიშვა ანტიკრიზისული მართვის პროცესში, კერძოდ ანტიკრიზისული რეგულირების სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება, სანაცის პროცესის ინვესტირება, წარუმატებელი საწარმოს რეფორმირება და რესტრუქტურის პროგრამა. ეს ნიშნავს, რომ საწარმო და ცხადია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება უკრიზისო სივრცეში შეიძლება მხოლოდ შემდეგი ღონისძიებების კომპლექსის გამოყენებით: ასეთი საწარმოების მდგომარეობის უშეცდომო დიაგნოზის დასმა, ფინანსური გაჯანსაღების "რეცეპტის" სწორად გამოწერა და ეფექტიანი მკურნალობა სარისკო ბიზნესის პირობებში.

თავი 2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. საქართველოს სატრანსპორტო სისტემის და მანქანათმშენებლობის კომპლექსის ზოგადი დახასიათება

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა ეროვნული მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგებია. სატრანსპორტო სექტორის განვითარებას დღეისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობის დაძლევის მიზნით.

ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების მაჩვენებლების დინამიკა (იხ. დანართის 1-ის ცხრილი 1) 1996-2008 წლებისათვის მდგომარეობს შემდეგში: სატრანსპორტო საშუალებებით ტვირთზიდვის მოცულობა გაიზარდა 61.8%-ით, მგზავრთა რაოდენობის გადაყვანა კი 22.9%-ით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები სტაბილურად იზრდებოდა 1996-2006 წლების პერიოდში, ხოლო უკანასკნელი სამი წლის (2006-2008) განმავლობაში მათ შეინარჩუნეს სტაბილურობა. უფრო მეტიც, ტვირთზიდვის მოცულობა 2008 წელს 2006 წელთან შედარებით შემცირებულია 888.4 ათასი ტონით, ხოლო მგზავრთა გადაყვანის რაოდენობა კი - 16.5 მლნ. კაცით.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სარკინიგზო ტრანსპორტის ფუნქციონირების მკვეთრი ჩამორჩენა 2008 წელს 2006 წლის მიმართ, ტვირთზიდვის მოცულობა შემცირებულია 1462.1 ათასი ტონით, ხოლო მგზავრთა გადაყვანა კი 0.4 მლნ. კაცით. ეს მაჩვენებლები მეტყველებენ რკინიგზის ფუნქციონირების არასრულყოფილებაზე, კერძოდ, სრულად არ არის გამოყენებული რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა, იკლო ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლურობამ, გაიზარდა ვაგონების მოცდენები დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე, შემცირდა მგზავრთა მომსახურების დონე და სხვ.

სარკინიგზო ტრანსპორტისაგან განსხვავებით დადებითი ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდება საავტომობილო ტრანსპორტის

მომსახურების მაჩვენებლები. 2008 წლის ტვირთის მოცულობა 1996 წელთან შედარებით გაიზარდა 3.2-ჯერ. გაუმჯობესდა საავტომობილო ტრანსპორტით, როგორც საქალაქთაშორისო, ასევე შიდა საქალაქო მომსახურება, რის შედეგად 2008 წელს მგზავრთა რაოდენობამ 301.4 მლნ. კაცი შეადგინა, რაც 2.1-ჯერ აღემატება 1996 წლის დონეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საავტომობილო გზების ქსელის საერთო სიგრძე 20329 კმ-ია, აქედან საერთაშორისო მნიშვნელობის - 1474 კმ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის - 3326 კმ, ადგილობრივი მნიშვნელობის - 15529 კმ.

რკინიგზის ლიანდაგების საერთო სიგრძეა 1561 კმ, რომლის 67.4% ერთხაზიანია და ძირითადად ელექტროფიცირებული. ქსელის 11%-ის სიგრძეზე დაწესებულია სიჩქარის სხვადასხვა შეზღუდვები. ამის შედეგად მაქსიმალური ტექნიკური სიჩქარე საქართველოს რკინიგზაზე არ აღემატება 54 კმ/სთ-ს, მატარებლების სიჩქარე 30კმ/სთ-ს, კომერციული სიჩქარე - 22.2 კმ/სთ-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რკინიგზის ამჟამად არსებული მოძრავი შემადგენლობა მეტად ამორტიზებულია და შესაბამისად, მისი ექსპლუატაციის ხარჯები გაზრდილი. მიმდინარე ტვირთნაკადების თითქმის 70%-ს თხევადი ტვირთები შეადგენს, ხოლო სავაგონო პარკის მხოლოდ მესამედს (33.6%) - ცისტერნები. აქედან გამომდინარე, მათ შორის შეინიშნება მნიშვნელოვანი დისბალანსი.

აღსანიშნავია, რომ ტვირთზიდვის საერთო მოცულობაში მკვეთრად იზრდება სატრანზიტო და მცირდება ადგილობრივი ტვირთების ხვედროთი წილი. ეს დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან ადგილი აქვს განვითარების სწრაფ დინამიკას და მკაფიოდ იკვეთება სატრანსპორტო სექტორის გლობალური სატრანზიტო ფუნქცია.

დარგის ხელმძღვანელთა ცნობით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობის გაზრდისა და მატარებელთა უსაფრთხოების მიზნით. კერძოდ, განახლდა სალიანდაგო და

სალოკომოტივო მეურნეობა, დაიგო დამატებითი ლიანდაგები მაგისტრალურ ხაზზე ორმხრივი მოძრაობის უზრუნველსაყოფად, საკუთარი ძალებით აიგო მოდერნიზებული ჩქაროსნული მატარებელი და სხვ. გარკვეული კატეგორიის ტვირთებზე ხდება შეღავათიანი ტარიფების დადგენა ტვირთნაკადების მოზიდვისათვის.

რაც შეეხება სამოქალაქო ავიაციასა და საზღვაო ფლოტის ფუნქციონირებას, აქ მდგომარეობა ძალზე დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებით ხასიათდება. საჰაერო ტრანსპორტით ტვირთბრუნვის მოცულობა 2008 წელს 1996 წელთან შედარებით შემცირებულია 80%-ით, ხოლო მგზავრთა გადაყვანის მოცულობა კი - 33.4%-ით, ტვირთბრუნვის და მგზავრთბრუნვის მაჩვენებლები კი 76.3 და 7.7 პროცენტული პუნქტით შესაბამისად.

საჰაერო ტრანსპორტის სფეროს ასეთი მდგომარეობა განპირობებულია საჰაერო ხომალდების პარკის სიძველით და ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, რის გამოც მოსახლეობა არჩევს სხვა სახის უფრო იაფად ღირებული სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობას. დღეისათვის დასახულია ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ "საქართველოს სამოქალაქო ავიაციის განვითარების პროგრამა", ამოქმედდა ავიაკომპანიათა "საქართველოს ავიახაზები", რომელმაც უნდა განახორციელოს ავიატექნიკური მომსახურება და ასევე რეგულარული და ჩარტერული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები საავიაციო გადაზიდვების ისეთ სეგმენტზე, რომელიც აუთვისებელია საქართველოში მომსახურე ავიაკომპანიების მიერ სხვადასხვა ქალაქების მიმართულებით, პირდაპირი რეისებით, რომლებზეც მოთხოვნილება სტაბილურია.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საზღვაო ფლოტის მიერ გაწეული საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები კატასტროფულად არის შემცირებული. სამწუხაროდ, ამის შესახებ კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგანაც არ ვფლობ ინფორმაციას, მისი მოპოვება ძალზე რთული აღმოჩნდა.

გარდამავალ პერიოდში ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. როგორც ვხედავთ (იხ. დანართი 1–ის ცხრილი 2.) დარგში დასაქმებულთა რაოდენობა 1996-2001 წლებში გაიზარდა 83.0%-ით, თუმცა 2002 წლიდან კვლავ შემცირება აღინიშნება და ზრდამ 1996 წლის მიმართ იკლო 34.8%-ით (183.0 - 148.2).

დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო სისტემაში იზრდება შრომის ანაზღაურება. მაგალითად, დარგში საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა: 1996 წელს - 70 ლარს, 1997 წელს - 79.8 ლარს, 1998 წელს - 95.7 ლარს, 1999 წელს - 101.7 ლარს, 2000 წელს - 125.3 ლარს, 2001 წელს - 141.1 ლარს, 2002 წელს - 171.7 ლარს, 2003 წელს - 191.1 ლარს, 2004 წელს - 229.1 ლარს, 2005 წელს - 265.7 ლარს, 2006 წელს - 391.3 ლარს, 2007 წელს - 492.3 ლარს, 2008 წელს 667.7 ლარს.

ნებისმიერი დარგის განვითარების დონე კარგად ვლინდება მისი მონაწილეობით ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ანალიზით დადგინდა, რომ ამ მხრივ ტრანსპორტის სფერო მშპ-ში მისი ხვედრითი წილის მიხედვით მეტად ცვალებადია (იხ. დანართი 1–ის ცხრილი 3), რაც განაპირობა დარგის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების არათანაბარზომიერმა ცვლილებამ. ასე, მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ ტრანსპორტის ყველა სახეობის მიხედვით ტვირთის გადაზიდვის მოცულობა გაზრდილია, თუმცა ზრდა შეინიშნებოდა 1996-2006 წლების მანძილზე, ხოლო შემდგომ 2007 და 2008 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 2006 წელთან შედარებით შესაბამისად 116.4 და 888.4 ათ. ტონით. ასევე შემცირებულია ტვირთბრუნვა 2008 წელს 1996 წელთან შედარებით 248.9 მლნ. ტონა კმ-ით.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც დანართი 1–ის ცხრილი 4–დან ჩანს, სატრანსპორტო სისტემაში 1997-2008 წლებში მშპ ზრდის ტემპით ხასიათდება. ამ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საშუალო პარამეტრზე (6.6%) წინმსწრები ტემპით იზრდებოდა მშპ ტრანსპორტში (თითქმის 2.1-ჯერ; 14.0%). აღსანიშნავია, რომ ტრანსპორტის სწრაფი

ტემპით განვითარება უპირველეს ყოვლისა საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ის საერთო მოცულობაში ტრანსპორტის ხვედრითი წილი 1996-2002 წლებში იზრდებოდა. 2002 წელს დარგში მშპ 1996 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 4.8-ჯერ, თუმცა შემდგომ ექვსი წლის განმავლობაში მისი ხვედრითი წილი მშპ-ში შემცირდა და შეადგინა მხოლოდ 6.6%, რაც დარგის არასტაბილურ განვითარებაზე მიუთითებს, ასევე, ამასთან ერთად ასეთი მდგომარეობა აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობითაც უნდა აიხსნას.

თამამად უნდა ითქვას, რომ ძალზე კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი მანქანათმშენებლობის დარგში. მანქანათმშენებლობა ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის წამყვანი დარგია. მის პოტენციალზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული მეურნეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვის დონე და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

მანქანათმშენებლობა ძირითადად შვიდი დარგისაგან შედგება:

1. ჩარხთმშენებლობა და საინსტრუმენტო მრეწველობა;
2. საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა;
3. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მანქანათმშენებლობა;
4. ელექტროტექნიკური მრეწველობა;
5. ხელსაწყოთმშენებლობა;
6. თავდაცვითი მრეწველობა;
7. გემთმშენებლობა და ავიამშენებლობა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მანქანათმშენებლობის დარგში ისევე, როგორც საქართველოს მთელს მრეწველობაში და მთლიანად ეკონომიკაში მძიმე ვითარება შეიქმნა. დარგი მართვის ღრმა კრიზისს განიცდის.

1990 წელს მანქანათმშენებლობის წილად მოდიოდა მრეწველობის პროდუქციის 14.3%, ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდების

ღირებულების 17.7%, სამრეწველო საწარმოო პერსონალის რიცხოვნობის - 25.3%. მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარებამ საქართველოში ხელი შეუწყო მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებას, ნაკლებად ლითონტევადი პროგრესული დარგების - ხელსაწყოთმშენებელი, ელექტროტექნიკური მრეწველობის, რადიოელექტრონული მრეწველობის განვითარების გზით. მანქანათმშენებლობის შრომატევადი დარგების განვითარება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. თუ 1960 წელს მანქანათმშენებელი ქარხნები ძირითადად თავმოყრილი იყო თბილისში, 1991 წლისათვის ამ დარგის საწარმოები გვხვდება ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ფოთსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

1991 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს მანქანათმშენებლობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამ პერიოდიდან თანდათანობით შემცირდა წარმოების მოცულობა. 2008 წელს მან შეადგინა 1991 წლის 15.3%, თუმცა 1996-2008 წლების პერიოდში წარმოების მოცულობა გაიზარდა 5.1-ჯერ. მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 6.9%-მდე დაეცა, რაც დარგის დაბალ განვითარებაზე მიუთითებს (იხ. დანართი 1-ის ცხრილი 5).

საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან პრივატიზებულია და სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა 76. მანქანათმშენებლობის 12 საწარმო არ ექვემდებარება პრივატიზაციას სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების გამო.

პრივატიზებულ საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი საწარმოები და სააქციო საზოგადოებები, როგორცაა:

ს.ს. "ელექტროაპარატი" - მუშაობს საშუალოდ 35%-იანი დატვირთვით და აწარმოებს მაგნიტურ გამშვებებს;

ს.ს. "ელექტროიზოლიტი" - დატვირთულია 1%-ით;

ს.ს. "საქელექტრო მანქანა" - უშვებს მცირე სიმძლავრის ელძრავებს, მუშაობს 1.4%-იანი დატვირთვით;

ს.ს. "ელვა" - პროფილიანი ხელსაწყოთმშენებლობა, მუშაობს 2%-იანი დატვირთვით;

ს.ს. "მექანიკური ქარხანა" - უშვებს ელექტროურიკებს, მუშაობს 4%-იანი დატვირთვით და სხვ.

მანქანათმშენებლობის მრეწველობაში პრივატიზებული საწარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დარგში მეტად რთული ეკონომიკური მდგომარეობაა. კერძოდ, 1991-1997 წლებში ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება შემცირდა 1568 ცალიდან 57-მდე, სატვირთო ავტომობილები - 5736 ცალიდან 209-მდე, საყოფაცხოვრებო გაზქურები - 32 ათასი ცალიდან 2.6 ათას ცალამდე, ცვლადი დენის ელძრავები - 187.7 ათასი ცალიდან 5.6 ათას ცალამდე, მცირე სიმძლავრის ელძრავები - 605 ათასი ცალიდან 1 ათას ცალამდე.

პრივატიზებული საწარმოების 40% უმოქმედოა, ზოგიერთის ამოქმედების პერსპექტივაც არ არის. მიუხედავად ამისა, საქართველოს მანქანათმშენებლობაში 2008 წელს წინა წლებთან შედარებით პროდუქციის მოცულობა გაიზარდა, კერძოდ, 1996 წელთან შედარებით - 5.1-ჯერ, 2004 წელთან - 3.4-ჯერ, 2005 წელთან - 2.6-ჯერ, 2006 წელთან - 1.9-ჯერ, 2007 წელთან - 23.3%-ით. მაგრამ ამავე პერიოდში შემცირდა პროდუქციის მოცულობა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში - 55.3%-ით, ხელსაწყოთმშენებლობაში - 11.2%-ით, ჩარხთმშენებლობასა და საინსტრუმენტო მრეწველობაში - 6.4%-ით, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში - 2%-ით.

მანქანათმშენებლობის წარმოების დაცემის მთავარი მიზეზებიდან აღსანიშნავია ნედლეულის უქონლობა, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომლებიც საჭიროებენ ტექნიკურ გადაიარაღებას.

მანქანათმშენებლობაში ამჟამად შექმნილი ვითარება პრივატიზებული საწარმოების რესტრუქტურისა და მოითხოვს. ბაზარზე არსებული ვითარება საწარმოებს აიძულებს ან აღორძინდნენ, ან გაკოტრდნენ, ან

შეწყვიტონ ფუნქციონირება, ან გაყიდონ თავიანთი აქტივები, ან დაიშალონ დამოუკიდებელ ერთეულებად, ან შეუერთდნენ სხვა საწარმოებს.

2.2 ფინანსური მდგრადობის დიაგნოსტიკა და მდგრადობის მაჩვენებელთა გამოყენება ს.ს. "ელმაგალმშენის" მაგალითზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ სამეწარმეო გარემოს მაღალი არასტაბილურობის პირობებში არსებობენ უამრავი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეურნე სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, საწარმოს წინაშე მდგომ გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს შორის იმყოფება ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკური სისტემის ფორმირება, რომლის დახმარებით საწარმო შეძლებს დროულად აღმოაჩინოს და წინასწარი მმართველობითი გადაწყვეტილებების მეშვეობით აიცილოს წარუმატებლობის პროცესის ჩასახვა და შემდგომი განვითარება. ნათელია, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარების ეფექტურობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დროულად იქნება აღმოჩენილი მოახლოებული წარუმატებლობის ნიშნები და რამდენად კვალიფიციურად იქნება განსაზღვრული მიმდინარე უარყოფითი პროცესების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. ეკონომიკური სიძლიერის დიაგნოსტიკის ფორმირების საჭიროება გარდა აღნიშნულისა, განპირობებულია იმით, რომ საქართველოს უმეტესი ფირმების (საწარმოების) ხელმძღვანელობა, როგორც წესი, მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა უპირველეს ყოვლისა ინტუიციას, რაც ნეგატიურად აისახება საბაზრო სფეროში ფირმის მდგომარეობაზე. ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის დანერგვით, შესაძლებელია წარუმატებლობის პროგნოზირება და მისი განვითარების თავიდან აცილება, ამდენად მან საწარმოს ხელმძღვანელობა უნდა უზრუნველყოს შიდა და გარე სფეროს განვითარების ტენდენციის შესახებ ობიექტური ინფორმაციით და, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის შექმნას რაციონალური ინფორმაციის საფუძველი. მაშასადამე ეკონომიკური მდგომარეობის

დიაგნოსტიკის სისტემის ძირითად ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ:

1. შიდა და გარე გარემოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და საწარმოში წარუმატებლობის განვითარების დროული აღმოჩენა.

2. შესაძლო გაკოტრების უწყვეტად მოქმედი პროცესის შეფასება მიღებული ინდიკატორების კომპლექსის რეგულარული ანალიზისა და გამოთვლების გზით საწარმოს შიდა და გარე სფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე.

3. საინფორმაციო ბაზის ფორმირება ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, როგორც წარუმატებლობის პროცესის წარმოშობის დაუშვებლობისათვის, ისე გამოჯანსაღების სტრატეგიის დამუშავებისათვის მისი შედეგების რეალიზაციის შემდგომი ანალიზით.

წარუმატებლობის დიაგნოსტიკისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველ რიგში განიხილება ფინანსური ანალიზის მეთოდი. მაგრამ ეს სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. მართლაც, ფინანსური ქვესისტემა საწარმოს მდგომარეობის ძირითადი ინდიკატორია. წარუმატებლობის პროცესები, მიუხედავად იმისა, შიდა თუ გარე გარემოდან განვითარდნენ ისინი, ადრე თუ გვიან გამოიყვანდება ფინანსურ ქვესისტემაში. ამავე დროს მხოლოდ ფინანსური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის წინაშე მდგომი მიზნების მიღწევისა და ამოცანების რეალიზება შეუძლებელია. საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის აგება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ დესკრიპტული ანალიზის მოდელის გამოყენებით, რადგან მას საფუძვლად უდევს მთელი რიგი კოეფიციენტების გამოთვლა და ახასიათებს ფუნქციონირების ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: საწარმოს აქტივების შემადგენლობა და განთავსება, ფინანსური რესურსების წყაროთა დინამიკა და სტრუქტურა, საკუთარი საშუალებების, კრედიტორული დავალიანების არსებობა, საბრუნავი საშუალებების არსებობა და სტრუქტურა, დებიტორული დავალიანება, გადახდისუნარიანობა. აუცილებელია ანალიზის სხვა მოდელების და მეთოდების გამოყენება. პირველ რიგში

საუბარია ღრმა ანალიტიკური სამუშაოების გატარებაზე, ინფორმაციის შესაგროვებლად ფირმის შიდა და გარე გარემოს შეფასების და პროგნოზირებისათვის. საწარმოს ეკონომიკური წარუმატებლობა ვლინდება ცალკეულ დარღვევებში. მათი უმეტესი ნაწილი აუცილებლად მოსაწესრიგებელია და ექვემდებარება კიდევაც მას. ამიტომ საწარმოს ნეგატიური შედეგის თავიდან აცილებისთვის საჭიროა გამოვეყნოთ ინფორმაციული ნაკადიდან სიგნალები მისი ფუნქციონირების შეცვლის შესახებ. განვსაზღვროთ წარუმატებლობის პროცესის განვითარების ადრეული ნიშნები. მეცნიერთა შეფასებით საწარმოს კრიზისული მდგომარეობის წარმომქმნელი სიგნალები აღწევს 200 დასახელებას [25]. მათი აღმოჩენა საჭიროებს მოწესრიგებულობის უწყვეტი პროცესის ორგანიზებას შიდა და გარე გარემოს პარამეტრებით, იმისთვის, რომ საბოლოო ჯამში დავადგინოთ საწარმოს მორიგი მისიის წარმატებული ფუნქციონირების ხარისხი. ჩვენი აზრით, ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია საწარმოს ფარგლებში ანალიტიკური დიაგნოსტიკის ჩატარების გზით. საწარმოში ეკონომიკური მდგრადობის დიაგნოსტიკის ფორმულირებული სისტემის ჩარჩოებში საჭიროა გამოვეყნოთ ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც განსხვავდებიან გამოყენებული მეთოდების სისტემით და გამოყენებული ინფორმაციის მასშტაბით. ასეთებად მიგვაჩნია:

- ანალიტიკური (მმართველობითი) დიაგნოსტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს წარუმატებლობის განვითარების პროგნოზირებას, როგორც წესი, გამოკვლეული ინფორმაციის ინტერპრეტაციის ხარისხიანი მეთოდის გამოყენებით, ამასთან ინფორმაციის შეგროვება არ შემოიფარგლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფარგლებით და საშუალებას იძლევა ყველაზე ადრეულ სტადიაზე თავიდან ავიცილოთ საწარმოს წარუმატებლობის პროცესის განვითარება;

- ფინანსური დიაგნოსტიკა, იგი მოიცავს საწარმოს ფინანსური ქვესისტემებიდან მოპოვებული ინფორმაციის შეგროვებას და ინტერპრეტაციას. ხოლო შემდეგ ეკონომიკურ მათემატიკური მოდელირებით -

ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვყოთ ფირმის არამდგრადობაზე მოქმედი ყველაზე ძირითადი მოვლენები და მთელი ყურადღება გადავიტანოთ მათ გამოსწორებაზე.


მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

საქართველოს უმეტეს საწარმოებში ანალიტიკური (მმართველობითი) დიაგნოსტიკა შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა და ანალიტიკური ინსტრუმენტების განუვითარებლობა, რომელიც სამუშაოს ეფექტურად ორგანიზების საშუალებას იძლევა. ამასთან ერთად, "სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკა" [30]. დიაგნოსტიკის ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დროულად იქნას განსაზღვრული სუსტი სიგნალები - კრიზისული სიტუაციის დადგომის ადრეული და არაზუსტი ნიშნები და დროულად მოახდინონ მათზე რეაგირება. სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკის აუცილებლობა წარმოიშვება მაშინ, როცა საწარმოში არასტაბილურობის დონე საკმაოდ მაღალია. მე-8 ნახაზზე წარმოდგენილია სკალა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს არასტაბილურობის დონე ქულებში. არასტაბილურობის მაღალ დონეს შეესაბამება 4-5 ქულა. არასტაბილურობის პირობებში საშიშროების წარმოქმნის შესახებ მონაცემები თანდათან იზრდება: თავიდან წარმოიშვება გარე გარემოში ცვლილებების პირველი ნიშნები, შემდეგ განისაზღვრება ამ ცვლილებების შესაძლებელი წყარო და საშიშროება კონკრეტდება (მაგრამ არა იმდენად, რომ გავთვალთ თუ როგორ აისახება ეს საშიშროება საწარმოს შემოსავლებზე). შემდგომში შესაძლებელი ხდება განისაზღვროს წარმოშობილი საშიშროების წარმოქმნის საწინააღმდეგო ღონისძიებები, თუმცა ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი შედეგების ანალიზისა და გაანგარიშებისათვის. ისინი შეიძლება იყოს გამოთვლილი და გაანალიზებული მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოს მოქმედება მიმართულია საშიშროების ზემოქმედების შეწყვეტაზე.

მთლიანობაში შეიძლება გამოვყოთ ვითარების ცოდნის ხუთი დონე:

- გარე სიგნალების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების პრინციპები;
- შიდა სიგნალების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების პრინციპები;
- დადგენილი კრიტერიუმების დაკვირვების პერიოდულობა;
- შესაძლო შედეგების ანალიზის მეთოდები, რომელიც გამოვლენილია ეკონომიკური მოვლენის კვლევის პროცესში და რომელიც ქმნის ეკონომიკური მოვლენების ჯაჭვს;
- ეკონომიკური მოვლენის ჯაჭვში "საკონტროლო წერტილის" განსაზღვრის მეთოდები და ამ ჯაჭვზე დაკვირვება;
- საწარმოს შიგნით ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, კრიტერიუმების მნიშვნელობის დინამიკის კვლევის შედეგის განზოგადება;
- ანტიკრიზისული მმართველობითი გადაწყვეტილების გამომუშავების პრინციპები ეკონომიკური ანალიზისა და კვლევის შედეგების საფუძველზე.

ჩამოთვლილი განაცხადების მიმდევრობა გამოხატავს საწარმოს შიდა და გარე გარემოს სკანირების ჩატარების და ამის საფუძველზე მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების წესს. მონიტორინგი "იჭერს" საწარმოს შიდა და გარე გარემოდან შემოსულ სუსტ და ძლიერ სიგნალებს. სიგნალის მიღების შემდეგ კონტროლინგის სამსახური მაშინვე შეიმუშავებს წინადადებას მასზე შესაძლო რეაქციის შესახებ. არსებობს გარე ფაქტორებზე საწარმოს რეაქციის ორი ვარიანტი: 1. რეაქცია რეგულარულად განხორციელებული დაგეგმვის საფუძველზე. 2. რეაქცია საგანგებო სიტუაციაზე, როცა მოქმედების დადგენილი წესი იცვლება და სწრაფი საპასუხო ზომების მიღებისათვის იქმნება "მიზნობრივი ჯგუფები". გადაწყვეტილების თანმიმდევრული მიღება სუსტი სიგნალების პირობებში წარმოდგენილია ნახ. 9-ზე. რეაქციის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია კონკრეტული სიტუაციის სისწრაფის განვითარებაზე. არასტაბილურობის მაღალი დონისას, როცა შიდა და გარე სიტუაცია იცვლება საკმაოდ სწრაფად, საწარმოს არ ჰყოფნის დრო დროული გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ მომხდარი ცვლილებების ტემპი უფრო მაღალია ვიდრე



ნახ. 9. გარე სუსტი სიგნალების პირობებში ფირმის გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრობა

ამ ცვლილებაზე საწარმოს რეაქცია. ამიტომ დგება გადაწყვეტილების მომზადების საჭიროება შიდა გარემოდან სუსტი სიგნალების შემოსვლისას.

წარუმატებლობის დიაგნოსტიკის სისტემაში ფინანსური დიაგნოსტიკა ანალიტიკურთან შედარებით უფრო გავრცელებული და გაცილებით ხშირად გამოყენებული მიმართულებაა. ეს აიხსნება უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის მნიშვნელოვანი კვლევებით, ასევე ფინანსური დიაგნოსტიკის - ფინანსური ანგარიშგებით ინფორმაციული ბაზის ჩამოყალიბების ზუსტი წესების არსებობით. დღეისათვის ფინანსური დიაგნოსტიკის ძირითადი უპირატესობა ანალიტიკურთან შედარებით - ეს არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დონის და მისი ორდინატა ღერძზე განლაგებულია შეტყობინებები; აბცისზე - დრო განვითარების ტენდენციების რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობა.

დღეისათვის ეკონომიკურ პერიოდიკაში ხშირად დისკუსიის საგანს წარმოადგენს იმ კოეფიციენტების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი მეტისმეტად ბევრია. გასათვალისწინებელია, რომ ლიკვიდობის და მდგრადობის კოეფიციენტების დიდი ოდენობის გარდა, გაიანგარიშება რენტაბელობის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის, ფონდუკუგების და სხვა კოეფიციენტები. არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კოეფიციენტების რიცხვი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის არ უნდა იყოს შვიდზე მეტი, რადგანაც თუ კი დაკვირვების ობიექტის რიცხვი აღემატება შვიდს, მაშინ მათზე ადამიანური კონტროლი ადვილად იკარგება (მიხედველობაშია სპეციალური მომზადების არ მქონე ადამიანი) [33]. არსებობს უფრო რადიკალური მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის საკმარისია ოთხი მაჩვენებელი: ფინანსური მდგომარეობა, გადახდისუნარიანობა, საქმიანი აქტივობა და მომგებიანობა [34]. ამასთან, არის მოსაზრება, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლების რიცხვმა შეიძლება 100-ს მიაღწიოს. მაგრამ ეს სჭირდებათ ძალზე ვიწრო სპეციალისტებს და გამოუსადეგარია საწარმოს ხელმძღვანელობისათვის უშუალოდ წარმოებაში. დავა მაჩვენებელთა

რიცხვის შესახებ რომლითაც უნდა შემოვიფარგლოთ არ გადაწყდება მანამ, სანამ დაინტერესებული მხარეები არ დარწმუნდებიან, რომ საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის მაჩვენებლები უნდა წარმოადგენდეს არა ნაკრებს, არამედ სისტემას, ე.ი. ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, არ იმეორებდნენ ერთმანეთს, არ ტოვებდნენ "თეთრ ლაქებს" საწარმოს საქმიანობაში.

სამამულო და უცხოური პრაქტიკა საწარმოს წარუმატებლობისა და შესაძლო გაკოტრების შეფასებისათვის იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს და კრიტერიალურ მაჩვენებლებს.

კრიტერიუმები - არის პრინციპული ძირითადი თვისება, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გაიზომოს ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო მაჩვენებელი განმაზოგადებელი, ან მაჩვენებელთა სისტემა უნდა ასრულებდეს ინტეგრალურ ან კერძო რიცხვითი მახასიათებლის როლს [26].

არსებობს ფორმალური და არაფორმალური ხასიათის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც საწარმო შეიძლება აღიარებული იქნეს წარუმატებლად [35].

საწარმოს წარუმატებლობის ფორმალურ კრიტერიუმებს მიეკუთვნება:

- მოვალის უუნარობა სამი თვის განმავლობაში მთლიანად დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნა ფულად ვალდებულებებზე და შეასრულონ მოვალეობა სავალდებულო გადახდებზე.

არაფორმალური კრიტერიუმები, რომელიც საწარმოს პოტენციური გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა, შემდეგია:

- საწარმოს ქონების არადაამაკმაყოფილებელი სტრუქტურა, პირველ რიგში ეს ეხება საბრუნავ აქტივებს. მათ შემადგენლობაში ძნელად რეალიზებადი აქტივების ზრდის ტენდენციას, ისეთების, როგორცაა საექვო დებიტორული დავალიანება, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგები მიმოქცევის ხანგრძლივი პერიოდით, ასეთ საწარმოს გახდიან უუნაროს შეასრულოს თავისი ვალდებულებები;

- საწარმოს სახსრების ბრუნვაობის შენელება (მარაგების ზედმეტად

დაგროვება, მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის გაუარესება);

- კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის შემცირება საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის შენელების ფონზე.

- საწარმოს ვალდებულებებში იაფი ნასესხები სახსრების "ძვირადღირებული" სახსრებით შევიწროვების ტენდენცია და მათი არაეფექტიანი განთავსება აქტივებში;

- გადავადებული საკრედიტო დავალიანების არსებობა და მისი ხვედრითი წილის ზრდა საწარმოს ვალდებულებათა შემადგენლობაში;

- დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ოდენობა, რომელიც შეტანილია (ანდა მიკუთვნებულია) ზარალში;

- ვადიანი ვალდებულებების უპირატესი ზრდის ტენდენცია მაღალლიკვიდური აქტივების ცვლილებებთან შედარებით;

- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობათა დაცემა;

- სახსრების მოზიდვისა და განთავსების არარაციონალური სტრუქტურა, გრძელვადიანი აქტივების ფორმირება სახსრების მოკლევადიანი წყაროების ხარჯზე.

- ზარალი რომელიც აისახება ბალანსში და სხვ.

ავტორთა მოსაზრებით, დადებითი (უარყოფითი) ფინანსური მდგომარეობის დამატებითი და მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობა. საწარმოებს, რომელთა საქმიანობა ხასიათდება აღრიცხვის დაბალი დონით, ე.ი. სამეურნეო ოპერაციების არასრული და არადროული ასახვით, აღრიცხვის დაუდევრობით და არეულ-დარეულობით, უმეტეს შემთხვევებში აწყდებიან ფინანსურ სიძნელებს.

გაკოტრების ალბათობის ინდიკატორებს ყოფენ ძირითადად და დამხმარე ინდიკატორებად [36]. ძირითად ინდიკატორებს მიაკუთვნებენ დაბალი (არასასურველი) დონის მაჩვენებლებს, ან დინამიკას, რომლებიც ახლანდელ ან უახლოეს დროში გამოიწვევენ საწარმოს არადაამაკმაყოფილებელ ფინანსურ მდგომარეობას ან გაკოტრებას. მათ მიეკუთვნება:

- ქრონიკული ზარალიანობა;
- ქრონიკული ვადაგადაცილებული დავალიანებების არსებობა, ბანკის კრედიტების და სესხების, საკრედიტო დავალიანებების სახით;
- დებიტორული დავალიანების დაბალი ხარისხი;
- საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ქრონიკული უკმარისობა;
- საკუთრების (ავტონომიის) კოეფიციენტის შემცირების გამოხატული ტენდენცია და მისი კრიტიკულ დონეზე მიღწევა;
- ლიკვიდობის კოეფიციენტების შემცირების გამოხატული ტენდენცია;
- მოგების დაბალი ხარისხი;
- რეალიზაციის მოცულობის შემცირება და საწარმოს პროდუქციის ბაზრის სეგმენტების შემცირება;
- შეკვეთების პორტფელში არახელსაყრელი ცვლილებები;
- ჩაწოლილი საწარმოო მარაგების წილის გადიდება;
- საწარმოო პოტენციალის შემცირება;
- სამეურნეო სუბიექტის ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების დაცემა;
- კონკურენციის მაღალი დონე და ამით გამოწვეული ფასების შემცირება, პროდუქციაზე თვითღირებულების შესაბამისი შემცირების გარეშე.

დამხმარე ინდიკატორებს მიეკუთვნება მაჩვენებლები და არა ფორმალიზებული ნიშნები, რომელთა დაბალი (არახელსაყრელი) დონე ანდა დინამიკა არ არის საფუძველი გადაიხედოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, როგორც კრიტიკული, მაგრამ იძლევა სიგნალებს მათი მკვეთრი გაუარესების შესახებ, თუკი არ იქნება მიღებული ქმედითი ღონისძიებები. დამხმარე ინდიკატორების რიცხვს განეკუთვნება:

- საწარმოს რიტმულობის დარღვევა, ხანგრძლივი შეფერხებები და წარმოების გაჩერება;
- არაშორსმჭვრეტელი (წინდაუხედავი) ინვესტიციური პოლიტიკა;
- არაშორსმჭვრეტელი (წინდაუხედავი) საკადრო პოლიტიკა, რომლის შედეგები შეიძლება იყოს ადმინისტრაციის წამყვანი მუშაკების დაკარგვა;

- საეჭვო ხასიათის სასამართლო გარჩევებში მონაწილეობა;
- მუშაობის შედეგების ზედმეტად დამოკიდებულება ერთ პროექტზე, მოწყობილობის სახეობაზე და ა.შ.

გაკოტრების ძირითადი ინდიკატორები შეიძლება გამოთვლილი იქნას საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი - ინფორმაციის დამატებით წყაროს მიხედვით. ჯეი კ. შიმმს და ქონ გ. სიგელს მოჰყავთ გაკოტრების მაჩვენებლები. კომპანიის კრაზის გამოსაცნობად შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი რაოდენობრივი ფაქტორები:

- სავალო ვალდებულებისა და აქციონერულ კაპიტალს შორის დამოკიდებულების მაჩვენებლის მაღალი დონე, ასევე სავალო ვალდებულებებსა და აქტივების საერთო თანხას შორის დამოკიდებულების მაჩვენებლის მაღლა დონე;
- ფულადი სახსრების სიდიდესა და საერთო ვალდებულებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მაჩვენებლის დაბალი სიდიდე;
- ინვესტიციებზე დაბალი შემოსავალი;
- დაბალი რენტაბელობა, გაუნაწილებელი მოგების სიდიდესა და აქტივების საერთო თანხას შორის დამოკიდებულების მაჩვენებლის დაბალი დონე;
- საბრუნავი კაპიტალის აქტივების საერთო თანხასთან დამოკიდებულების მაჩვენებლისა და საბრუნავი კაპიტალის საერთო გაყიდვებთან დამოკიდებულების მაჩვენებლის დაბალი დონე;
- არასაბრუნავი აქტივების გრძელვადიან და საშუალოვადიან ვალდებულებებთან დამოკიდებულების მაჩვენებლის დაბალი დონე;
- პროცენტის დაფარვის არასაკმარისი კოეფიციენტი;
- არასტაბილური მოგება, კომპანიის მცირე მასშტაბები, რაც განისაზღვრება გაყიდვების სიდიდით ანდა აქტივების საერთო თანხით;
- აქციების, ობლიგაციების ფასების და მოგების მკვეთრი შემცირება;
- აქტივების საბაზრო ფასსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის

დიდი სხვაობა;

- დივიდენდური გადასახადების შემცირება;
- კომპანიის კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა;
- მუდმივ დანახარჯებსა და საერთო დანახარჯებს შორის დამოკიდებულების მაჩვენებლის მაღალი დონე;
- არასაბრუნავი აქტივების საჭირო დონის შენარჩუნების უუნარობა.

გარდა ამისა არსებობს ხარისხობრივი ფაქტორები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ გაკოტრების შესახებ, ესენია:

- ფინანსური ანგარიშგების ცუდი სისტემა და ხარჯების გაკონტროლების უუნარობა;
- კომპანიის გამოუცდელობა;
- დაცემა მრეწველობაში, კონკურენციის მაღალი დონე, შესაბამისი ფინანსირების მიღების უუნარობა და მნიშვნელოვანი საკრედიტო შეზღუდვების არსებობა ნებისმიერ მიღებულ დაფინანსებაზე;
- ვადაგადაცილებული ვალდებულებების დაფარვის უუნარობა;
- არაკვალიფიციური მართვა;
- დანერგვა სფეროში, სადაც ხელმძღვანელობას არა აქვს გამოცდილება;
- კომპანიის უუნარობა ფეხი აუწყოს დროს, განსაკუთრებით ტექნოლოგიურად ორიენტირებულ ბიზნესში;
- კომერციული რისკის მაღალი დონე;
- არასრულყოფილი სადაზღვევო დაფარვა;
- თაღლითური მოქმედება;
- ბიზნესის ციკლური საქმიანობა;
- წარმოების გარდაქმნის უუნარობა მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად;
- მკაცრი სახელისუფლებო რეგულირებისადმი შემგუებლობა;
- შემგუებლობა ენერჯის დეფიციტისადმი;
- შემგუებულობა საიმედო მომწოდებლებისადმი;

- სავალო ან საარენდო ხელშეკრულებების გადახედვა.

არსებობს კიდევ სხვა მიდგომები გაკოტრების ალბათობის პროგნოზირებისათვის, მაჩვენებელთა სისტემის განსაზღვრის და არაფორმალიზებული ინდიკატორების (კრიტერიუმების) ნიშნების სახით [37], [38], [39]. გაკოტრების ალბათობის დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება რამდენიმე მიდგომა, რომლებიც დაფუძნებულნი არიან:

- მაჩვენებელთა შეზღუდული წრის გამოყენებაზე;
- კრიტერიუმების და კრიტერიალური მაჩვენებლების ტრენდული ანალიზის გამოყენებაზე;
- ინტეგრალური მაჩვენებლები;
- საწარმოს ფინანსური მდგრადობის საბაზრო კრიტერიუმების ბაზაზე რეიტინგული შეფასებების გამოყენებაზე;
- რეგრესული და დისკრიმინანტული ფაქტორული მოდელების გამოყენებაზე.

საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ფინანსურ დიაგნოსტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზის საკითხებს. ფინანსური ანალიზის მიზანია საწარმოს მაქსიმალური მომგებიანობის მიღწევის რეზერვების გამოვლენა. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი შეფარდებითი ანალიტიკური კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე.

ანალიტიკური კოეფიციენტების საშუალებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შემდეგი მიმართულებით ხორციელდება [40]:


1. ფირმის საქმიანი აქტივობის ანალიზი;
2. ფირმის ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) ანალიზი;
3. ფირმის ლიკვიდობის ანალიზი;
4. საბაზრო აქტიურობის ანალიზი;

5. რენტაბელობის ანალიზი.

ნახ. 10-ზე მოცემული კოეფიციენტების სისტემის უპირატესობა, ჩვენი აზრით, არის მათი გაანგარიშების სიმარტივე, მაგრამ საწარმოს წარმატებლობის გამოვლენისათვის და გაკოტრების პროგნოზირებისათვის მხოლოდ ამ კოეფიციენტების გამოყენებას რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია:

1. მოცემული კოეფიციენტები დარგების მიხედვით არაფრით არ განსხვავდებიან, თუმცა ცნობილია, რომ სწორედ ეს კოეფიციენტები იცვლებიან დარგების, რეგიონების, საქმიანობის სფეროებისა და საწარმოების სიდიდის მიხედვით;

2. ჩამოთვლილი კოეფიციენტების გაანგარიშების ალგორითმების არასრულყოფილება. იმისათვის რათა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტმა რეალურად გამოხატოს საბრუნავი სახსრების ფორმირების წყაროთა სტრუქტურა, აუცილებელია გავითვალისწინოთ გრძელვადიანი პასივები, ასევე მომავალი პერიოდის შემოსავლები, მოხმარების ფონდი, მომავალი ხარჯებისა და გადასახდელების რეზერვები. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტმა ობიექტურად რომ გამოხატოს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონე, ჩვენი აზრით საჭიროა, ერთის მხრივ გავითვალისწინოთ ლიკვიდობის დონის რეალურად მქონე აქტივები და მეორე მხრივ, მოვახდინოთ დებიტორული დავალიანების კორექტირება უიმედო ვალების თანხით. მიმდინარე ლიკვიდობის და საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები საზღვარგარეთულ პრაქტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოს საწარმოების ყველაზე ლიკვიდურ აქტივებს უძრავი ქონებაც კი მიეკუთვნება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით თითქმის არალიკვიდურია. ამასთან ერთად, ჩვენს საწარმოებს არ შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი პროდუქციის, საწარმოო მარაგების რეალიზაცია, თუმცა, სწრაფად და მაღალი ფასებით იყიდება დაუმთავრებელი მშენებლობა, ადმინისტრაციული



ნახ. 10. ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტები

შენიშვნები და ა.შ. ჩვენი აზრით, ვალდებულებების დაფარვის ეს წყარო აუცილებელია საწარმომ გაითვალისწინოს მსგავს კოეფიციენტებში, ამასთან, საწარმოს ქონების აღრიცხვა უნდა მოხდეს არა საბალანსო, არამედ

საბაზრო ღირებულებით, რომლებიც ხშირად ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

გარდა ამისა, აუცილებელია არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ საწარმოს ყველა ვალდებულებების გათვალისწინება. ეს აიხსნება იმით, რომ ხშირად ადგილი აქვს სიტუაციებს, როდესაც ბალანსის მიხედვით გრძელვადიანი აქტივები მოკლევადიანზე უფრო ადრე უნდა დაიფაროს. აქედან გამომდინარე დავასკვნით, რომ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთის პრაქტიკაში, საქართველოს პირობებისათვის არ გამოდგება.

3. გადახდისუნარიანობის აღდგენის (დაკარგვის) კოეფიციენტის ექსტრაპოლაციური ხასიათი. მისი გაანგარიშების დროს პრაქტიკულად ხდება საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციის გადატანა მომავალ პერიოდზე, არ გაითვალისწინება გადახდისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა.

4. გაანგარიშებული მაჩვენებლების სტატისტიკური ხასიათი. სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ერთ უკანასკნელ პერიოდზე გაანგარიშებული მაჩვენებლით შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ დინამიკაში. ეს იმით აიხსნება, რომ უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლები, მიმდინარე პროცესების დინამიკის შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს საანალიზო პერიოდამდე ან მის პერიოდში. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია, როგორც მინიმუმი, მოცემული მაჩვენებლები გავიანგარიშოთ საანალიზო საწარმოს საქმიანობის უკანასკნელ სამ-ხუთ (თვე, კვარტალი) საანგარიშო პერიოდზე.

ჩამოთვლილი მაჩვენებლების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დაისვას არასწორი დიაგნოზი და ეფექტურად მომუშავე საწარმო ვაღიაროთ გაკოტრებულად ან წარმატებულად, თუმცა სინამდვილეში საქმის ვითარება სულ სხვანაირადაა.

მაჩვენებელთა ტრენდული ანალიზის არსი ის არის, რომ სხვადასხვა

ფინანსური კოეფიციენტები გაიანგარიშება ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, ტარდება ფაქტორული ანალიზი და განისაზღვრება სხვადასხვა, მაგრამ ლოგიკურად შეპირისპირებული მაჩვენებლების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. კრიტერიუმებისა და კრიტერული მაჩვენებლების მოკლე ანალიზი, რომელიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და შესაძლო გაკოტრების, მისი საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის, ნათლად გვიჩვენებს, რომ შეუძლებელიაა შეირჩეს ერთი მაჩვენებელი ან რაიმე უნივერსალური კრიტერიუმი, ყველაზე საუკეთესოც კი, რომელიც ერთნაირად გამოდგება ეკონომიკის ყველა დარგისათვის და სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობისათვის, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება ერთმნიშვნელოვნად ვიმსჯელოთ ბიზნესში წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე. აუცილებელია გამოვიყენოთ რამოდენიმე კრიტერიუმი და შესაბამისი მაჩვენებლების ჩამონათვალი. საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შეფასების წარმოდგენილი ყველა კრიტერიუმი და მაჩვენებელი საწარმოს საქმიანობის ბრუნვას და მოგებას წარმოადგენენ აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით.

მოცემულ მეთოდს განსაკუთრებული ადგილი უკავია ანალიზში, არის ძალიან ეფექტური და ამავედროულად პრობლემურიც. კოეფიციენტების ეკონომიკური ეფექტიანობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი დახმარებით შესაძლებელია მეტი სიზუსტით განისაზღვროს საწარმოს საქმიანობის სუსტი და ძლიერი მხარეები; გამოვლინდეს საკითხები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ შესწავლას და გამოკვლევას; გამოვლინდეს მაჩვენებელთა დინამიკის ძირითადი მიმართულებები და შედეგობრივი მაჩვენებლების ცვლილებებზე ფაქტორთა ზემოქმედების დონე, რაც შეუძლებელია ვერტიკალური, პორიზონტალური და ტრენდული ანალიზით მიღებული ინდივიდუალური მაჩვენებლების განხილვით. ამასთან ერთად, ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ფინანსური ანგარიშგების ბაზაზე გაანგარიშებული კოეფიციენტების გამოყენება და ინტერპრეტაცია

დაკავშირებულია მრავალ პრობლემასთან. მათი ხარისხობრივი მნიშვნელობა დაკავშირებულია გაანგარიშებაში მონაწილე მაჩვენებლების საიმედოობასთან და შეპირისპირებასთან. კოეფიციენტების რიცხობრივ მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს ასევე აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მნიშვნელზე ზემოქმედების ფაქტორების კორელაცია შეიძლება მრიცხველზე ზემოქმედების ფაქტორებთან.

შემდეგი პრობლემაა ანალიზში გამოყენებული კოეფიციენტების სიმრავლე, რაც ართულებს ფინანსური მდგომარეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასებას. იმის გამო, რომ ზოგჯერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მნიშვნელი და მრიცხველი ემთხვევა ერთმანეთს და ამის გამო მათზე გავლენას ახდენენ ერთი და იგივე ფაქტორები, აღარ ხდება ყველა კოეფიციენტის გამოყენების აუცილებლობა. კოეფიციენტების ანალიზის მოდელებს შორის გამოიყოფა უ.ბივერის მოდელი.

ცნობილმა ანალიტიკოსმა უ.ბივერმა საწარმოს გაკოტრების დიაგნოსტიკის მიზნით შემოგვთავაზა მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა. უ. ბივერის რეკომენდაციით გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის საჭიროა მაჩვენებელთა ტრენდების გამოკვლევა. უ. ბივერის მაჩვენებელთა სისტემა და მათი მნიშვნელობები საწარმოთა გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის მოტანილია დანართი 1-ის ცხრილში 6.

ითვალისწინებენ რა ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების მრავალფეროვნებას, მათი კრიტიკული შეფასების დონეებში განსხვავებას და ამასთან დაკავშირებით, გაკოტრების რისკის შეფასებაში წარმოქმნილ სირთულეებს, ბევრი სამამულო და უცხოელი ეკონომისტები გვთავაზობენ რეკომენდაციას მოხდეს ფინანსური მდგრადობის ინტეგრალური ბალური შეფასება. ამ მეთოდის არსი იმაშია, რომ საწარმოები კლასიფიცირდებიან გაკოტრების რისკის დონის მიხედვით, რისი საფუძველიცაა ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელთა ფაქტიური დონე და ყოველი მაჩვენებლის რეიტინგი, რომელიც გამოიხატება ქულებით. კერძოდ ლ.ვ. დონცოვს და ნ.ა. ნიკიფოროვის შრომაში შემოთავაზებულია მაჩვენებელთა შემდეგი სისტემა

და რეიტინგული შეფასება ქულებში, რომელსაც აქ წარმოვადგენთ რამდენადმე შეცვლილი სახით (დანართი1-ის ცხრილი 7) [41].

ამ კრიტერიუმების გამოყენებით განსაზღვრავენ თუ რომელ კლასს მიეკუთვნება საანალიზო საწარმო:

I კლასი - საწარმოები, ფინანსური მდგრადობის კარგი მარაგით, რაც მათ საშუალებას აძლევს დარწმუნებულნი იყვნენ ნასესხები სახსრების დაბრუნებაში;

II კლასი - საწარმოები, რომლებიც ახდენენ დავალიანებისადმი გარკვეული რისკის დონის დემონსტრირებას, მაგრამ ჯერ არ განიხილებიან როგორც რისკიანები;

III კლასი - პრობლემური საწარმოები, აქ საეჭვოა არსებობდეს სახსრების დაკარგვის რისკი, მაგრამ პროცენტების სრული მიღებაც საეჭვოა.

IV კლასი - საწარმოები გაკოტრების მაღალი რისკით ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების გატარების შემდეგაც კი კრედიტორები რისკავენ დაკარგონ თავიანთი სახსრები და პროცენტები.

V კლასი - უმაღლესი რისკის მქონე საწარმოები, პრაქტიკულად გადახდისუუნარონი.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი მეთოდის ძირითადი ნაკლოვანებებია ექსპერტული შეფასებისადმი სუბიექტური მიდგომა და არ ითვალისწინებს საწარმოების და დარგების სპეციფიკურ თავისებურებებს.

იმის შესახებ, თუ როგორ ართმევენ თავს საქართველოს მანქანათმშენებლობის საწარმოები საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებას, როგორ ხორციელდება საწარმოთა რესტრუქტურისა და ადაპტირება მეურნეობრიობის საბაზრო პირობების შესაბამისად, წარმოდგენა შეგვიქმნა სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენის" სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესწავლამ.

სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენი" მდებარეობს ქ. თბილისში ავჭალის გზატკეცილზე. იგი ჩამოყალიბდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს კოლეგიის 1994 წლის 22

ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 50710960 ათას ლარს, რომელიც დაყოფილია ერთნაირი ნომინალური ღირებულების 50710960 ცალ ჩვეულებრივ (სახელობით) აქციად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის ერთი ამერიკული დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

საზოგადოებას აქვს წესდება, რომლითაც განსაზღვრულია ფუნქციონირების ზოგადი დებულება, იურიდიული სტატუსი, საზოგადოების საქმიანობის მიზნები და საგანი, საწესდებო კაპიტალი, აქციათა სახეები, აქციონერთა უფლებები და მოვალეობები, აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი, წლიური ანგარიშგება და მოგების გამოყენება, ქონების მოვლის ვალდებულებანი, აუდიტი, კაპიტალის შექმნის ღირებულებები, კაპიტალის ზრდა საზოგადოების სახსრებიდან, საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია, ხანდაზმულობა, გასაჩივრების ვადები და სხვ.

სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენი" არის იურიდიული პირი და როგორც უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, იურიდიული პირის უფლებებს და მოვალეობებს ფლობს სახელმწიფო რეგისტრში გატარების დღიდან. საზოგადოებას აქვს ბეჭედი, შტამპი, საფირმო ნიშანი და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი ყველა სხვა ატრიბუტი.

საზოგადოებას აქვს საკუთარი ქონება, საბანკო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. მოქმედებს საქართველოს მოქმედი კანონების, კანონქვემდებარე აქტების და საკუთარი წესდების საფუძველზე. საზოგადოებას თავის ვალდებულებებზე აკისრია პასუხისმგებლობა მხოლოდ თავისი ქონების ფარგლებში. აქციონერები ზარალდებიან თავიანთი შენატანების - კუთვნილი აქციების პაკეტის ფარგლებში. საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ქონებრივ ვალდებულებებზე.

საზოგადოება თავისი სახელით დებს ხელშეკრულებებს, გარიგებებს, შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, ჰქონდეს მოვალეობები, იყოს მოსარჩლე და მოპასუხე სასამართლოში.

საზოგადოების მიზანია მოგების მიღება, ასევე წარმოების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების საფუძველზე საზოგადოების წევრთა, მუშაკთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია, აქციონერებზე სათანადო წესით დივიდენდების დარიცხვა და დროული გაცემა.

საზოგადოების საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს წარმოებრივი საქმიანობა, პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი.

საზოგადოების მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს 12 წევრის შემადგენლობით. სამეთვალყურეო საბჭო თავის მხრივ ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და ნიშნავს დირექტორს. დირექტორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საბჭოს შინაგანაწესით. იგი პასუხისმგებელია საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

საზოგადოებაში ფუნქციონირებს ეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების სამსახური, იგი ახორციელებს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ ეკონომიკურ ანალიზს და აქედან გამომდინარე ადგენს სამუშაო პროგრამებს და მუშა-მოსამსახურეთა საშტატო განრიგს. აწესებს კონტროლს მათ შესრულებაზე.

უკანასკნელი ხუთი წლის (2006-2010) განმავლობაში საზოგადოების შემოსავალი რეალიზაციიდან 2.2-ჯერ გაიზარდა. 2010 წელს მან 49747.6 ათასი ლარი შეადგინა ნაცვლად 2009 წლის 37083.7 ათასი ლარისა. ჩავარდანა აღინიშნა 2009 წელს, როცა რეალიზაცია წინა წელთან შედარებით 29.4%-ით შემცირდა. ამასთან, 2009-2010 წლებში ზრდის ტემპი შემცირდა (34.2%) 2006-2008 წლებთან შედარებით (44.3%, 61.3%).

2006-2010 წლების პერიოდში საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზით ირკვევა, რომ 2010 წელი შედეგობრივი თვალსაზრისით

საგრძობლად აღემატება 2006 და 2007 წლების მაჩვენებლებს, მაგრამ ჩამორჩება 2008 წელს. საწარმომ თავისი სამეურნეო საქმიანობა 2006-2007 წლებში ზარალით დაასრულა, მართალია 2007 წელს ზარალმა იკლო 144.8 ათასი ლარით, მაგრამ მაინც ზარალი დიდი იყო. ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო 2008 წლიდან, ამ წელს მოგებამ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან შეადგინა 5395.4 ათ. ლარი. მოგების ზრდა გაგრძელდა 2009 წელსაც, მაგრამ 2010 წელს მდგომარეობა გაუარესდა, რაც გამოვლინდა მოგების 1087.5 ათასი ლარით შემცირებით, ეს განაპირობა წინა 2009 წელთან შედარებით საერთო შემოსავლის ზრდის ტემპის შემცირებამ და პარალელურად წარმოების ხარჯების ზრდის მაღალმა ტემპმა. 2010 წელს საერთო შემოსავლის 34.1%-ით ზრდის პირობებში წარმოების ხარჯები 43.8%-ით გაიზარდა. შედეგად 2010 წელს საბალანსო მოგებამ წინა წლის დონის 80.0% შეადგინა (დანართი1–ის ცხრილი 8)

მიუხედავად აღნიშნულისა, თუ რესტრუქტურისაციის ერთ-ერთ მაჩვენებლად დადებითი ოპერატიული ფულადი ნაკადების გამომუშავებას მივიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ სს "ელმავალმშენში" მდგომარეობა არსებითად დამაკმაყოფილებელია. საზოგადოება თავისი სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლების მეშვეობით უზრუნველყოფს წარმოების ხარჯების დაფარვას და გარკვეული მოგების მიღებას. არასასურველია ის, რომ 2010 წელს შემცირდა მოგების თანხა. საზოგადოების ხელმძღვანელობამ უნდა გამონახოს გზები შემოსავლების გადიდების მიმართულებით, უწინარეს ყოვლისა კი, წარმოების მოცულობის გაზრდით. ამავე დროს უნდა იზრუნოს ხარჯების დონის შესამცირებლად პროდუქციის ხარისხის ზრდის პირობებში.

ჩვენს მიერ ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო ანალიზი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ სს "ელმავალმშენის" კრიზისის საშიშროებაზე. მიგვაჩნია, რომ ამისათვის უნდა ჩატარდეს საწარმოს ღრმა ფინანსური ანალიზი და კრიზისების დიაგნოსტიკა. კრიზისების დიაგნოსტიკა წარმოადგენს მიზნობრივი ფინანსური ანალიზის სისტემას, ამდენად

კრიზისების დიაგნოსტიკის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება. მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეფასებული იყოს კომპლექსურად, რის საშუალებასაც იძლევა ფინანსური ანგარიშგებები. "ეს ფორმები შესაძლებლობას იძლევა მოვახდინოთ კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური შეფასება" [5]

ეკონომიკურ ლიტერატურაში მთელი რიგი სწავლული ეკონომისტების მიერ წარმოდგენილია ფირმის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტები. ასე, პროფესორები რ.კაკულია, ლ.ბახტაძე, გ.თუთბერიძე გვთავაზობენ ფინანსურ მაჩვენებლების კლასიფიკაციას, რომელიც შედგება შვიდი ჯგუფისაგან. ეს ჯგუფებია: ლიკვიდობის მაჩვენებლები; აქტივების მართვის კოეფიციენტები; ფონდუკუგება; რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა; აქტივების რენტაბელობა; საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა; აქციის ფასი.

რა თქმა უნდა, მაჩვენებელთა ჩამოთვლილ ჯგუფებში შეტანილია ყველა ის მნიშვნელოვანი გასაანგარიშებელი კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს კლასიფიკაცია არ არის სრულყოფილი, ვინაიდან არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორცაა გადახდისუნარიანობა, საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა, ინვესტიციების რენტაბელობა.

რამდენადმე უფრო სრულყოფილად აქვს წარმოდგენილი აღნიშნული კლასიფიკაცია ა. სისვამეს, თუმცა არც იგი იძლევა სრულყოფილ კლასიფიკაციას, მას არც ერთ ჯგუფში არა აქვს შეტანილი გადახდისუნარიანობა.

ყურადღებას იმსახურებს პროფესორ გ.ცაავას მიერ შემოთავაზებული საწარმოს ფინანსური ანალიზის ჩასატარებლად საჭირო მაჩვენებლების კლასიფიკაცია. კლასიფიკაციას იგი ყოფს ექვს ჯგუფად:

1. წინასწარი;
2. ფინანსური მდგრადობის;

3. ბალანსის ლიკვიდობის;
4. ფინანსური კოეფიციენტების;
5. ფინანსური შედეგების;
6. რენტაბელობის კოეფიციენტების და საქმიანი აქტივობის.

ავტორი წინასწარი ანალიზით აფასებს საწარმოს საერთო ფინანსურ მდგომარეობას, რისთვისაც განსაზღვრავს საწარმოს გადახდისუნარიანობას და ბალანსის დამაკმაყოფილებელ სტრუქტურას. მოცემულ კლასიფიკაციაში არ არის მოცემული ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება, როგორცაა საქმიანი აქტივობის ბრუნვაობა, თუმცა საანალიზო პირობითი მაგალითის ცხრილში მას ეს მაჩვენებლები არა აქვს დავიწყებული.

მიგვაჩნია, რომ სავსებით სამართლიანია უცხოელი ეკონომისტების ლ.ავრაშკოვის, ვ.ადამჩუკის, ო.ანტონოვას პოზიცია იმის შესახებ, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება [42]. მათივე აზრით აუცილებელია საწარმოს გადახდისუნარიანობის დინამიკის შესწავლა წმინდა საბრუნავი კაპიტალის ცვლილების შესაბამისად.

ეკონომიკური ლიტერატურის მიმოხილვისა და სააქციო საზოგადოება "ელმავალმშენში" ჩატარებელი ფინანსური ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გაგვეკეთებინა ფინანსური ანალიზისათვის საჭირო მაჩვენებლების და კოეფიციენტების სისტემატიზაცია, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

I ჯგუფი - წინასწარი ანალიზი:

1. გადახდისუნარიანობა;
2. წმინდა საბრუნავი აქტივები;

II ჯგუფი - საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი:

1. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
2. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;

III ჯგუფი - საქმიანი აქტივების ანალიზი:

1. აქტივების ბრუნვალობა;
2. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვალობა;
3. მატერიალური მარაგების ბრუნვალობა;
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვალობა;

IV ჯგუფი - ფინანსური მდგრადობის ანალიზი:

1. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი;
2. ფინანსური დამოუკიდებლობის (ავტონომიის) კოეფიციენტი;
3. ფინანსირების კოეფიციენტი;
4. მანევრირების კოეფიციენტი;

V ჯგუფი - საწარმოს შემოსავლიანობის ანალიზი:

1. რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა;
2. აქტივების რენტაბელობა;
3. საბრუნავი აქტივების რენტაბელობა;
4. ინვესტიციების რენტაბელობა;
5. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

წინასწარი ანალიზი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო შეფასება, კერძოდ წმინდა აქტივების ღირებულების და საწარმოს გადახდისუნარიანობის განსაზღვრა.

წმინდა აქტივები უდრის საწარმოს აქტივების ჯამს გამოკლებული ვალდებულებები (დანართი1–ის ცხრილი 9)

როგორც ცხრილი 9-დან ჩანს, წმინდა აქტივები 2010 წლის ბოლოს 2006 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5.8%-ით, რაც აბსოლუტურ მაჩვენებლებში 391.0 ათასი ლარის ტოლია. რაც შეეხება მის მატებას 2009 წელთან შედარებით წმინდა აქტივები გაორმაგდა და გაიზარდა 3762.8 ათასი ლარით. ასეთი ზრდა განაპირობა კრედიტორული დავალიანების 2.5-ჯერ ზრდამ, რაც ლაპარაკობს საწარმოს ცუდ ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელსაც უჭირს კრედიტორების გასტუმრება.

წინასწარი ანალიზის პროცესში აუცილებელია საწარმოს გადახდისუნარიანობის დადგენა და წმინდა საბრუნავი კაპიტალის

დინამიკის შესწავლა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება. გადახდისუნარიანობა არის საწარმოს უნარი სრულად შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულებები. შესაბამისად საწარმო გადახდისუნარიანია. თუ მისი საბრუნავი აქტივები (მარაგები, ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები) მის ვალდებულებებზე მეტია ან მისი ტოლია.

სს "ელმავალშენის" საბრუნავი აქტივების მდგომარეობა მოცემულია დანართი 1-ის ცხრილ 10-ში. როგორც ჩანს, 2006-2010 წლების პერიოდში საბრუნავი აქტივები მეტია მის მოკლევადიან ვალდებულებებზე. დანართი 1-ის ცხრილი 9-დან ვხედავთ, რომ მიმდინარე აქტივებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ხვედრითი წილი მთლიან მიმდინარე აქტივებში 2006 წელს 71.0%-დან 2010 წელს შემცირდა 53.9%-მდე, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში ისედაც მწირი ფულადი სახსრები არ შეცვლილა და იმავე დონეზე დარჩა. ის, რომ საწარმოში 2010 წელს 2006 წელთან შედარებით გაიზარდა მატერიალური მარაგები, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის რეალურ გადახდისუნარიანობას, რადგანაც საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში მისი მარაგები, მზა პროდუქცია და სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეიძლება ძნელადრეალიზებადი გახდეს ან საერთოდ არალიკვიდური გახდეს ვალდებულებების დასაფარვად, მითუმეტეს მარაგები 2010 წელს 2009 წელთან შედარებით შემცირებულია 31.9%-ით, ანუ 7352.6 ათასი ლარით.

მარაგების შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად პრაქტიკაში ბანკები მარაგების სიდიდის კორექტირებას ახდენენ მათი შემცირების მიმართულებით საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე და ამით ბალანსის ნაშთებს უახლოებენ რეალურად რეალიზებად მარაგებს.

ამასთან ერთად, აუცილებელია გადახდისუნარიანობის განხილვა მის დინამიკაში. დანართი1-ის ცხრილი10-ის მონაცემები მეტყველებენ, რომ წმინდა საბრუნავი კაპიტალის ზრდა მეტად ცვალებადია. ასე მაგალითად, თუ 2008 წელს იგი გაიზარდა წინა პერიოდებთან შედარებით, 2009 წელს იგი შემცირდა, თითქმის განახევრდა, ხოლო 2010 წელს კიდევ უფრო შემცირდა და წლის ბოლოს 2008 წლის მხოლოდ 61.7 შეადგინა. საერთოდ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მიღებულია, რომ წმინდა საბრუნავი კაპიტალი უნდა შეადგენდეს მოკლევადიანი ვალდებულებების ნახევარს. ამ მხრივ ჩვენს საანალიზო საწარმოში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საანალიზო პერიოდის ყველა წელს საბრუნავი აქტივები აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს. ასე, 2006 წელს წმინდა საბრუნავმა კაპიტალმა მოკლევადიან ვალდებულებებს გადააჭარბა 6763.0ათ.ლარით ანუ 67.6%-ით, შესაბამისად 2007 წელს გადააჭარბა 2-ჯერ, 2008 წელს - 7670.7 ათ. ლარით, ანუ 19.5%-ით, 2009 წელს - 3388.1 ათ. ლარით, ანუ 10.0%-ით, 2010 წელს კი - 7150.8 ათ. ლარით, ანუ 32.6%-ით.

წინასწარი ანალიზის პროცესში აუცილებელია საწარმოს გადახდისუნარიანობის დადგენა და წმინდა საბრუნავი კაპიტალის დინამიკის შესწავლა.

დანართი 1-ის ცხრილი10-ში წარმოდგენილია სს "ელმავალმშენის" ბუღალტრული ბალანსის ლიკვიდობის ანალიზისათვის საჭირო მონაცემები. გაანგარიშებით დადგინდა, რომ მიღებული კოეფიციენტები მთელი საანალიზო პერიოდის დასაწყისშიც და მის ბოლოსაც არასახარბიელოა, რადგან ყველა მათგანი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკაში მიღებულ ნორმატიულ კოეფიციენტს 2-ს. ჩვენს მიერ გაანგარიშებული კოეფიციენტებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა საწარმოს არადამაკმაყოფილებელი ბალანსის სტრუქტურის შესახებ. ბალანსის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა არის მევალის ქონების და ვალდებულებების მდგომარეობა, რადგანაც ქონების საშუალებით ვერ ხერხდება ვალდებულებების დაფარვა კრედიტორების წინაშე მევალის

ქონების ხარისხობრივად არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო. ასეთ შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები გადახდისუნარიანობის აღდგენის შესახებ. გადახდისუნარო საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების ეფექტურად წარმართვის მიზნით გაკოტრების სახელმწიფო დეპარტამენტს შემუშავებული აქვს ფინანსური გაჯანსაღების ბიზნეს-გეგმის ტიპური ფორმა, მათი შედგენის მეთოდური მითითება და ბიზნეს გეგმის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმების წესი. დანართი1–ის ცხრილი10-დან შეგვიძლია გავიანგარიშოთ გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტები 2006-2010 წლების პერიოდში.

გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტის გაანგარიშება:

2006 წ.

$$K = \frac{1,67 + \frac{6}{12}(1,67 - 2,61)}{2} = 0,1$$

2007 წ.

$$K = \frac{2,02 + \frac{6}{12}(2,02 - 1,67)}{2} = 1,1$$

2008 წ.

$$K = \frac{2,19 + \frac{6}{12}(2,19 - 2,02)}{2} = 1,13$$

2009 წ.

$$K = \frac{1,10 + \frac{6}{12}(1,10 - 1,19)}{2} = 0,58$$

2010 წ.

$$K = \frac{1,32 + \frac{6}{12}(1,32 - 1,10)}{2} = 0,71$$

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ საწარმო გადახდისუნარიანი იყო 2007 და 2008 წლებში, ხოლო მისი აღდგენის კოეფიციენტები 2006, 2009 და 2010 წლებში 1-ზე ნაკლებია, შესაბამისად, 0,6, 0,53 და 0,71 ტოლია, ამდენად

საწარმო ბუნებრივია ვერ აღადგენდა გადახდისუნარიანობას 6 თვის მანძილზე და ვერ შეძლებდა მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელობის 2-მდე გაზრდას.

საზოგადოებაში ცუდ ფინანსური მდგომარეობას ადასტურებს ასევე სწრაფი ლიკვიდობის და აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტების მნიშვნელობები.

დანართი 1-ის ცხრილი 11-დან ირკვევა, რომ ს.ს. "ელმავალმშენში" სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები და აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტები შორსაა მათი ნორმალური მდგომარეობიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საწარმოში ფინანსური კრიზისის მდგომარეობას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმაზე, თუ აქტივებში ინვესტირებული სახსრები რამდენად სწრაფად გარდაიქმნებიან რეალურ ფულად, რასაც კარგად გვიჩვენებს აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი.

დანართი 1-ის ცხრილ 12-ში წარმოდგენილია ს.ს. "ელმავალმშენის" აქტივების ბრუნვადობა 2006-2010 წლებში. სურათი ასეთია, 2010 წელს საბრუნავი აქტივების ბრუნვადობა შემცირებულია 1.83-დან 1.5-მდე, ამასთან ბრუნვის ხანგრძლივობაც გაზრდილია 197 დღიდან 240 დღემდე, რაც რაღა თქმა უნდა პირდაპირ აისახება წარმოების მოცულობაზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევიან დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

ს.ს. "ელმავალმშენში" დებიტორული დავალიანება 2010 წელს 2006 წელთან შედარებით გაიზარდა 77%-ით, მიმდინარე აქტივებში მისი წილი 2010 წელს შეადგენს 44.5%, ხოლო მარაგების ხვედრითი წილი კი - 54%-ს. როგორც ვხედავთ, მიმდინარე აქტივებში მათ მნიშვნელოვანი წილი უკავიათ, ამდენად საჭიროა მათი ანალიზი. დებიტორული დავალიანების ზრდა საქონლის მიწოდების ანგარიშსწორების მიმართულებით ადასტურებს იმას, რომ საწარმო აქტიურად იყენებს თავისი საქონლის

მომხმარებლისათვის სასაქონლო სესხის სტრატეგიას. მათი დაკრედიტებით საწარმო ფაქტიურად უნაწილებს მათ თავის შემოსავალს. ამავე დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს უგვიანებენ ფულის ანაზღაურებას, იგი იძულებულია აიღოს კრედიტი თავისი სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად და ზრდის თავის კრედიტორულ ვალდებულებას.

დანართი 1-ის ცხრილ 13-ში მოცემულია დებიტორული დავალიანების ბრუნვაობის გაანგარიშება. რაც მეტია ბრუნვაობის კოეფიციენტი მით უფრო სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება ნაღდ ფულად. ჩვენს საანალიზო საწარმოში ეს კოეფიციენტი დინამიკაში შემცირებულია 2006 წლის 7.56-დან 2010 წელს 3.75-მდე 2-ჯერ.

საწარმოში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბრუნვაობის კოეფიციენტი 2006 წელს 2.45-დან გაიზარდა 2010 წელს 2.57-მდე, ხოლო მათი შენახვის ვადა შესაბამისად შემცირდა 145 დღიდან 140 დღემდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოში ამ მხრივ დიდი ცვლილება არ არის, თუმცა ეს დამახასიათებელია მანქანათმშენელობის საწარმოებისათვის (დანართი 1-ის ცხრილი 14).

საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის მონაცემები ადასტურებენ ავტონომიურობის კოეფიციენტის საკმაოდ მაღალ მნიშვნელობას საანალიზო პერიოდის ყოველი წლის დასაწყისისათვის და ბოლოსათვის. ასე მაგალითად, 2006 წელის დასაწყისში ავტონომიურობის კოეფიციენტი უდრიდა (დანართი 1-ის ცხრილი 15) 94.3%, ხოლო ბოლოსათვის - 78.0%-ს. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულია 2007, 2008, 2009, 2010 წლებშიც. 2010 წლის დასაწყისისათვის აღნიშნული კოეფიციენტი იყო 66.7%, ხოლო დასასრულისათვის 75.8%. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოს ქონების უმეტესი ნაწილი ფორმირებულია საკუთარი წყაროებიდან.

აღიარებულია, რომ თუ ეს კოეფიციენტი 50%-ის ტოლია, ან მასზე მეტია, მაშინ კრედიტორების რისკი მინიმალურია. საწარმო საკუთარი სახსრებით ფორმირებული თავისი ქონების ნახევარის რეალიზებით

შეძლებს დაფაროს თავისი გრძელვადიანი ვალდებულებები.

დანართი 1–ის ცხრილი15–დან ჩანს, რომ ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი და ავტონომიურობის კოეფიციენტი ერთმანეთის ტოლია, ეს გამოწვეულია იმით, რომ "ელმავალმშენის" გრძელვადიანი ვალდებულებები არ გააჩნია.

მნიშვნელოვანია ფინანსირების კოეფიციენტის გაანალიზება. ჩვენს მაგალითში 2010 წლის დასაწყისისათვის ფინანსირების კოეფიციენტი 2.0%-ის ტოლი იყო, ხოლო წლის ბოლოსათვის კი - 3.1%-ის ტოლი. საერთოდ, ეს მაჩვენებელი როცა 1-ზე ნაკლებია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საწარმოს გადახდიუნარობა ემუქრება, რაც გართულებს კრედიტის მიღების შესაძლებლობას. "ელმავალმშენში" ასეთ საშიშროებას არა აქვს ადგილი, რადგანაც კოეფიციენტი წლის დასწყისშიც და წლის ბოლოსაც 1-ზე მეტია.

ამასთან ერთად, აუცილებელია საკუთარი და მოზიდული სახსრების შესაბამისობის შესწავლა, რომელიც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. არის შემთხვევები, როდესაც აქტივების საერთო მოცულობაში საკუთარი სახსრების წილი მთელი აქტივების ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი საწარმოები ინარჩუნებენ საკმაოდ მაღალ ფინანსურ სტიმულირებას. თუმცა, ეს დამახასიათებელია იმ საწარმოებისათვის, რომელთაც აქტივების მაღალი ბრუნვადობა აქვთ, სტაბილური მოთხოვნაა მათ პროდუქციაზე და მუდმივი ხარჯების დაბალი დონე აქვთ. მაგრამ, ისეთი კაპიტალტევადი საწარმოებისათვის, როგორცაა მანქანათმშენებლობის საწარმოები, რომელთათვისაც დამახასიათებელია საშუალებათა ბრუნვადობის ხანგრძლივი პერიოდი, აქვთ მიზნობრივი დანიშნულების აქტივების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი, მოზიდული სახსრების 40-50% შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს საწარმოს ფინანსური სტაბილურობისათვის.

მნიშვნელოვანია საწარმოს საკუთარი სახსრებით ქონების ფორმირების საკითხი. ამ მიზნით გაიანგარიშება ინვესტირების მაჩვენებელი - საკუთარი კაპიტალის შეფარდება ძირითად კაპიტალთან. ჩვენი გაანგარიშებით (დანართი1–ის ცხრილი16) ს.ს. "ელმავალმშენში"

ინვესტირების კოეფიციენტი 2010 წლის დასაწყისში იყო 1.06, ხოლო წლის ბოლოს 1.13. ასეთი მდგომარეობა იდეალურად ითვლება, რამდენადაც საკუთარი სახსრებით იფარება მთელი ძირითადი კაპიტალი და საბრუნავი საშუალებების გარკვეული ნაწილი.

საწარმოს უნარის ანალიზი, თუ როგორ ასრულებს იგი თავის ვალდებულებებს, შესაძლებელია ასევე კაპიტალის სტრუქტურითაც. ცხრილი 16-დან ჩანს, რომ საზოგადოება 2006-2010 წლების მთელ პერიოდში საკუთარი კაპიტალით არა მხოლოდ ფარავს ძირითადი კაპიტალის ფაქტიურ ღირებულებას მთლიანად, არამედ საკუთარ კაპიტალს იგი მიმართავს საბრუნავი კაპიტალის ფორმირებაზე. ასე, 2006 წლის ბოლოს მისი საკუთარი კაპიტალი შეადგენდა 49496.1 ათას ლარს, რომლითაც იფარებოდა 47283.8 ათასი ლარის ძირითადი კაპიტალი და საბრუნავ საშუალებებზე მიმართული იყო 2759.8 ათასი ლარი, ტენდენცია გრძელდება უკანასკნელ პერიოდამდე, 2010 წლის ბოლოსათვის საკუთარმა კაპიტალმა შეადგინა 68668.4 ათასი ლარი, რომლითაც დაიფარა 61517.7 ათასი ლარი ძირითადი საშუალებები და 7150.7 ათასი ლარი მიმართული იყო საბრუნავ კაპიტალზე. ე.ი. საწარმო განკარგავს საკუთარი საბრუნავი სახსრებით. აქედან გამომდინარე საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების და ბალანსის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურის დადგენის ერთ-ერთი კრიტერიუმია.

ეს კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარ კაპიტალსა და არასაბრუნავ აქტივებს შორის სხვაობის შეფარდებით საწარმოს ბალანსზე აღრიცხულ საბრუნავ აქტივებთან. "ელმავალმშენის" 2010 საანგარიშო წლის ბალანსის მონაცემებით აღნიშნული კოეფიციენტი პერიოდის დასაწყისში უდრის 0.11, ხოლო პერიოდის ბოლოს 0.27. ამ მაჩვენებლებით საწარმო სავსებით თავსდება დადგენილ ნორმატივში, რომელიც უდრის 0.1-ს.

საწარმოს მდგრადი ფუნქციონირება გარდა ზემოთ განხილული კოეფიციენტების მნიშვნელობებისა დამოკიდებულია მისი საქმიანობიდან

მიღებული მოგების საკმარისი მოცულობის მიღების უნარზე. ეს უნარი გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე.

ანალიზისათვის გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებელთა სისტემა. ეს მაჩვენებლები გამოისახება კოეფიციენტების სახით, მათ შორისაა:

- აქტივების (ქონების) რენტაბელობა;
- საბრუნავი აქტივების რენტაბელობა;
- ინვესტიციების რენტაბელობა;
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;
- რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა.

დანართი 1-ის ცხრილ17-ში მოცემულია ს.ს. "ელმავალმშენის" ქონების გამოყენების ეფექტურობის კოეფიციენტები. როგორც ირკვევა, ყველა ზემოთ განხილული კოეფიციენტი გაანგარიშებულია 2008-2010 წლებში, 2006-2007 წლები საწარმომ ზარალით დაასრულა. შემდეგ წლებში საწარმომ თავისი საქმიანობა მოგებით დაასრულა, თუმცა რენტაბელობა დინამიკაში შემცირებულია ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზმა დაგვანახა, რომ საანალიზო პერიოდში მოხდა ბალანსის ლიკვიდობის აბსოლუტური შემცირება სწრაფი ვალდებულებების (დანართი 1-ის ცხრილი18) დასაფარავად უფრო ლიკვიდური აქტივების უკმარისობის გამო. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი 2006 წლის 0.46-დან შემცირებულია 2010 წელს 0.00-მდე.

ფინანსური კოეფიციენტების ერთობლივმა ანალიზმა (ცხრილი 18) გვიჩვენა, საწარმოს საფინანსო მდგომარეობის გაუარესება საანალიზო პერიოდში.

ავტონომიურობის კოეფიციენტი შემცირდა 2006 წლის 0.94-დან 2010 წლის 0.76-მდე, რაც ნიშნავს საწარმოს დამოუკიდებლობის შემცირებას. ასეთი ტენდენცია ამცირებს საწარმოს მიერ თავისი ვალდებულებების დაფარვის გარანტიას. საანალიზო პერიოდის დასაწყისისათვის მოზიდული და საკუთარი სახსრებით შეფარდების კოეფიციენტი შეეფარდება

ნორმალურ სიდიდეს, ხოლო ბოლო პერიოდისათვის მასზე მეტია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ საწარმოს აქვს არასაკმარისი საკუთარი სახსრები თავისი ვალდებულებების დასაფარავად. ამას ისიც ადასტურებს, რომ საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 0.61-დან დაეცა 0.27-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს მარაგები არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი საკუთარი წყაროებით.

ლიკვიდობის კოეფიციენტის შემცირება ნიშნავს საწარმოს გადახდისუნარიანობის შემცირებას დებიტორული დავალიანების თავისდროული შემოსავლის შემთხვევაშიც კი. ლიკვიდობის კოეფიციენტის ასეთი მნიშვნელობის შემთხვევაში საწარმოს ვერ ექნება იმედი ბანკის კრედიტებზე. ეს ნიშნავს, რომ საწარმოს მოკლევადიანი დავალიანებების მხოლოდ ნაწილის დაფარვის შესაძლებლობა აქვს. გადაფარვის კოეფიციენტი შემცირდა 2.61-დან 1.32-მდე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოს გააჩნია დაბალი გადახდის უნარი და ის დებიტორული დავალიანებების დაბრუნებისა და საჭიროების შემთხვევაში მატერიალური საბრუნავი საშუალებების გაყიდვით ვერ უზრუნველყოფს გადასახადების დროულად გადახდას.

მოგების დონისა და დინამიკის ანაღზმა (დანართი1-ის ცხრილი19) გვიჩვენა, რომ საწარმოში მოგების ფორმირება ხდება მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციის ამონაგებიდან. საწარმოს რენტაბელობისა და საქმიანი აქტივობის გამომხატველი, ცალკეული კოეფიციენტების ზრდა არ შეინიშნება, შესაბამისად ეს აისახება რეალური სახსრების ბრუნვის სიჩქარეზე. ცხრილიდან ჩანს, რომ რენტაბელობის ყველა მოცემული მაჩვენებელი მის წინა პერიოდებთან შეფარებით შემცირებულია, რაც მოსალოდნელიც იყო, რადგანაც 2010 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია, როგორც მთლიანად აქტივების საშუალო სიდიდე, ისე საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდეც, პირველ შემთხვევაში - 3834.7 ათასი ლარით, მეორეში - 9011.6 ათასი ლარით.

ჩატარებული ფინანსური მდგომარეობის შეფასების შედეგებით

დავასკვნით, რომ საწარმოს წინაშე დგას გადარჩენის პრობლემა. მისი ფინანსური პოლიტიკა წყვეტს მოკლევადიან ამოცანებს, რომლებიც იძლევიან დადებით შედეგს მხოლოდ დღეს, რაც უმეტესწილად განპირობებულია საფინანსო სტრატეგიის არქონით.

2.3. ორგანიზაციაში კრიზისების მართვის დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია

ანტიკრიზისული მართვის მნიშვნელოვანი მომენტია ორგანიზაციაში კრიზისების დიაგნოსტიკა. იგი აერთიანებს გარკვეულ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია მართვის სისტემაში პრობლემების, სუსტი ადგილების გამოვლენაზე. სწორედ ეს გამოვლენილი ხარვეზები ორგანიზაციის საქმიანობის არასასურველი ფინანსური მდგომარეობის და სხვა ნეგატიური მაჩვენებლების მიზეზებს წარმოადგენენ.

ორგანიზაციაში კრიზისის დიაგნოსტიკის მეთოდებია:

- გარე სფეროს მონიტორინგი;
- ფირმის მდგომარეობის და კონკურენტული სტატუსის შესაძლო ცვლილებების შესახებ სიგნალების სისტემური ანალიზი;
- ფინანსური მდგომარეობის აუდიტი;
- კომპანიის დავალიანების და საკრედიტო პოლიტიკის ანალიზი;
- რისკების განსაზღვრა;
- ორგანიზაციის საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი;
- ორგანიზაციის მომავალში საქმიანობის შესაძლო მდგომარეობის პროგნოზირება.

კრიზისული მდგომარეობის დიაგნოსტიკის ინსტრუმენტებია: სტატისტიკა, მოდელირება, პროგნოზირება, ექსპერიმენტი, მარკეტინგული გამოკვლევა და ა.შ. ეს ინსტრუმენტები გამოიყენება კრიზისის ტიპისა და მისი გამოვლენის ფორმების შესაბამისად.

კრიზისის დიაგნოსტიკის ზემოჩამოთვლილი მეთოდებიდან გამოირჩევა ფირმის მდგომარეობის და კონკურენტული სტატუსის

შესაძლო ცვლილებების შესახებ სიგნალების სისტემური ანალიზი. ამ ანალიზის საშუალებით შესაძლებელია ისეთი პარამეტრების განხილვა ერთიანობაში, როგორებიცაა: კრიზისული მოვლენები, ფირმის მისიის შესრულების საშიშროების ზრდა, ან პირიქით ხელშეწყობის შესაძლებლობები. აღნიშნული მეთოდიკა ეფექტურია კრიზისის დიაგნოსტიკის ადრეულ ეტაპზე, როდესაც მიზნად ვისახავთ წინასწარ შევიტყოთ და თავიდან ავიცილოთ მათი წარმოქმნა, არ დავუშვათ საწარმოს საქმიანობის მაჩვენებლების შემდგომი გაუარესება.

მნიშვნელოვანია მაჩვენებელთა ჯგუფი (საფრთხეების ზრდის შესახებ სიგნალები), რომელთა დახმარებითაც განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელის შემშლელი ნეგატიური ტენდენციები. ასეთი მაჩვენებლებია:

1. ფირმის საქონელზე მოთხოვნის დაცემა, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირება, ფირმა-კონკურენტის საქონელზე მოთხოვნის ზრდა;

2. წარმოების ფაქტორთა პარამეტრების გაუარესება: ნედლეულის და მატერიალური რესურსების მიწოდების შემცირება, ფასების ზრდა მასალებზე, ნედლეულზე და მოწყობილობებზე, გამოგონებების და აღმოჩენების გამოყენებაზე ლიცენზიების ღირებულების ზრდა;

3. მონათესავე დარგების წარმოების შემცირება, მათი მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის სტაგნაცია, ინფრასტრუქტურის დარგების მომსახურებაზე ფასების ზრდა;

4. ორგანიზაციის კონკურენტული სტატუსის შემცირების ფონზე კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება, მყიდველთა აქტიურად "გადასვლა" შემცვლელ საქონელზე, ფასობრივი ომები;

5. სახელმწიფო და სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის არახელსაყრელი ცვლილებები: საგადასახადო განაკვეთების ამაღლება და ახალი გადასახადების შემოღება, ლარის სავალუტო კურსის არახელსაყრელი ცვლილება, საბაჟო გადასახადების არახელსაყრელი

ცვლილება, ცვალებადი სამოქალაქო და კომერციული კანონმდებლობა, სახელმწიფოს კონტროლი ფასების ცვლილებებზე;

6. შემთხვევითი მოვლენები: ფირმის მდებარეობა სტიქიური უბედურების ზონის რეგიონში, უცხოური ბიზნეს პარტნიორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის არასტაბილურობა, დემოგრაფიული შოკი;

7. ფირმის ტექნიკური რესურსების გაუარესება: ტექნიკური აღჭურვილობის ცვეთა, მორალურად მოძველებულის გამოყენება, მასალების და ნახევარფაბრიკატების გამოყენება, რომლებიც ამცირებენ პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ენერჯის მოხმარების გარდაქმნის, გადაცემის და კონტროლის მოძველებული სისტემების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მის დაკარგვას;

8. ტექნოლოგიური რესურსების პარამეტრების გაუარესება: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სისტემატურად ჩატარებისათვის პოტენციალის არ არსებობა, ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ერთ სასიცოცხლო მანძილზე ეფექტურად შეცვალოს ფირმის პროდუქციის წინა თაობა;

9. საკადრო პოტენციალის შესუსტება: მომუშავეები ორიენტირებულნი არიან საკომანდო-ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებაზე, ტრადიციული სახის სამუშაოების შესრულებაზე, რომლებიც განპირობებულია სტაბილური ტექნოლოგიებით: ტექნიკური, სოციალური და ეკოლოგიური უასფრთხოების უზრუნველყოფას არ ეძლევა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა;

10. ორგანიზაციული სტრუქტურის მოქნილობის არ არსებობა: მისი უძრაობა და ორიენტირებულობა ფუნქციების შესრულებაზე, ბიუროკრატიზაცია;

11. ფინანსური პოლიტიკა ხასიათდება ნასესხი სახსრების სისტემატურად მოზიდვით, მიმდინარეობს ფირმის საკუთარი აქციების კურსის დაცემა.

სისტემური მიდგომის ფარგლებში ჩატარებული კრიზისული

დიაგნოსტიკა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ გამოკვლეული ობიექტის შესახებ. საწარმოთა პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ანალიზის მეთოდები, რომლებითაც შესაძლებელია მინიმალური დანახარჯებით შეფასდეს რისკები, ფინანსური მდგომარეობა და გაკეთდეს პროგნოზები მომავალი განვითარების ტენდენციებზე.

რისკების მართვა, მათი შეჯერება (რისკის შემცირება) აუცილებელია ორგანიზაციის განვითარების არახელსაყრელი ტენდენციების გაფრთხილებისათვის. რისკის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური, ექსპერტული და კომბინირებული მეთოდები. რისკის ანალიზი იწყება მისი წყაროების და მიზეზების გამოვლენით. რისკი იზომება როგორც დანაკარგების გარკვეული დონის ალბათობა. ასე, დასაშვებ რისკად შეიძლება მივიღოთ მოგების სრულად დაკარგვის საშიშროება ამა თუ იმ პროექტიდან ან სამეწარმეო საქმიანობიდან. კრიტიკული რისკი დაკავშირებულია არა მხოლოდ მოგების დაკარგვასთან, არამედ სავარაულო გამომუშავების სრულად არ მიღებასთან, როდესაც ხარჯების დაფარვა გვიხდება საკუთარი ანგარიშით. მეწარმისათვის ყველაზე სახიფათოა კატასტროფული რისკი, რომელიც იწვევს ორგანიზაციის გაკოტრებას, ინვესტორების დაკარგვას და მეწარმის პირადი ქონების დაკარგვასაც კი.

საწარმოთა პრაქტიკაში გამოიყენება ანალიზის სტატისტიკური მეთოდი, რომლის დროსაც შეისწავლება საწარმოს ზარალის და მოგების სტატისტიკა, დგინდება ეკონომიკური უკუგების სიდიდე და სიხშირე, და შემდგომ განისაზღვრება მომავლის პროგნოზი. უკუგების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური რენტაბელობა და ხარჯების (ინვესტიციების) ეფექტურობა. იგი განისაზღვრება მოგების შეფარდებით მისი მიღებისათვის აუცილებელ ხარჯებთან.

თუკი კრიზისი დადგა, ფორმირდება ანტიკრიზისული გუნდი, რომელშიც ერთიანდებიან აუდიტორები, ბიზნესის კონსულტანტები და სხვა ექსპერტები. კომპანიის მენეჯერები უნდა დაეხმარონ მუშაობაში

მოწვეულ ექსპერტებს. ანტიკრიზისული ჯგუფი ადგენს შექმნილი კრიზისული მდგომარეობის მიზეზებს და სახავს იქიდან გამოსვლის გზებს.

საწარმოს მიმდინარე მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება ფინანსური ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტები: ანალიზის ჰორიზონტალური და ვერტიკალური სახე, ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება, ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საერთო მიმართულების ექსპრეს-ანალიზი, სუბიექტის მეურნეობრიობის ეკონომიკური პოტენციალის შეფასება.

კომპანიის მთლიანი მოგება უდრის საწარმოს სხვადასხვა სახის საქმიანობიდან, ქვედანაყოფებიდან, სასაქონლო ჯგუფებიდან მიღებული ფინანსური შედეგების ჯამს. იმისათვის, რათა მაქსიმალურად შევკვეცოთ უარყოფითი მოვლენების გავლენის არე, აუცილებელია გავერკვეთ, თუ კერძოდ რომელი სტრუქტურული ელემენტები აღმოჩნდნენ ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ.

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი გულისხმობს ორგანიზაციის სხვადასხვა სახის საშუალებების და წყაროების, რესურსების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლების გაანგარიშებას და შეფასებას.

ფინანსური კოეფიციენტების დახმარებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

I ჯგუფი - წინასწარი ანალიზი:

1. გადახდისუნარიანობა;
2. წმინდა საბრუნავი აქტივები;

II ჯგუფი - საწარმოს ბალანსის ლიკვიდობის ანალიზი:

1. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;
2. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;

III ჯგუფი - საქმიანი აქტივების ანალიზი:

1. აქტივების ბრუნვალობა;
2. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვალობა;

3. მატერიალური მარაგების ბრუნვადობა;
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;

IV ჯგუფი - ფინანსური მდგრადობის ანალიზი:

1. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი;
2. ფინანსური დამოუკიდებლობის (ავტონომიის) კოეფიციენტი;
3. ფინანსირების კოეფიციენტი;
4. მანევრირების კოეფიციენტი;

V ჯგუფი - საწარმოს შემოსავლიანობის ანალიზი:

1. რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა;
2. აქტივების რენტაბელობა;
3. საბრუნავი აქტივების რენტაბელობა;
4. ინვესტიციების რენტაბელობა;
5. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება. საწარმოს გადახდისუნარიანობა განისაზღვრება მისი შესაძლებლობებით და უნარით დროულად და სრულად გადაიხადოს საგადასახადო ვალდებულებები. შესაბამისად, საწარმო გადახდისუნარიანია, როცა საბრუნავი აქტივების ჯამი (მარაგები, ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები) მეტია ან ტოლია მის გარე ვალდებულებებზე.

საწარმოს გარე ვალდებულებები განისაზღვრება ბუღალტრული ბალანსის პასივების მონაცემების მიხედვით. მას მიეკუთვნება გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტები და მთლიანად კრედიტორული დავალიანება.

საწარმოს გადახდისუნარიანობის დინამიკა დგინდება წმინდა საბრუნავი კაპიტალის ცვლილების შესაბამისად. იგი განისაზღვრება მთლიან საბრუნავ კაპიტალსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის სხვაობით წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის. მათი შედარებით დგინდება წმინდა საბრუნავი კაპიტალის ზრდა (კლება).

საწარმოს უნარს, დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ეწოდება ლიკვიდურობა. საწარმო ლიკვიდურია იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები საბრუნავი აქტივები რეალიზაციის გზით.

საბრუნავი აქტივების სტრუქტურის, ადვილად- და მნელადრეალიზებადი საბრუნავი საშუალებების შესაბამისობიდან გამომდინარე საწარმო შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ლიკვიდური.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი. იგი ახასიათებს საწარმოს უზრუნველყოფას საბრუნავი საშუალებებით სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის და ვადიანი ვალდებულებების დროულად დაფარვისათვის. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი K განისაზღვრება საწარმოს მიმდინარე აქტივების ფაქტიური ჯამის შეფარდებით ვადიანი ვალდებულებების ჯამთან შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{\sum A}{\sum P}, \quad (1)$$

სადაც A - მიმდინარე აქტივები;

P - ვადიანი ვალდებულებები.

მიღებული კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები.

დადგენილია რომ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმომ უნდა აღადგინოს გადახდისუნარიანობა არის ექვსი თვე. ეს ნორმა მიღებულია ყველა საწარმოსათვის მათი დარგობრივი დიფერენციაციის მიუხედავად. გადახდისუნარიანობის აღდგენის მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის აუცილებელია ბალანსის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშება პერიოდის დასაწყისისათვის და ბოლოსათვის.

გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი გაიანგარიშება გამოსახულებით:

$$K_{\text{აღდგ.}} = \frac{K_{\text{დას.}} + \frac{6}{T}(K_{\text{ბოლ.}} - K_{\text{დას.}})}{2}, \quad (2)$$

სადაც, $K_{\text{ბოლ.}}$ - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის

ბოლოს;

T - თვეების რაოდენობა საანალიზო პერიოდში (12);

$K_{დას.}$ - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში;

2 - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა.

როცა გადახდისუნარიანობის აღდგენის $K > 1$ -ზე, მაშინ საწარმო გადახდისუნარიანია უახლოესი ექვსი თვის მანძილზე; $K < 1$ -ზე, ნიშნავს რომ საწარმო ამ დროის განმავლობაში ვერ აღადგენს გადახდისუნარიანობას.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი განისაზღვრება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და დებიტორული დავალიანების ჯამის შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ მიმდინარე ვალდებულების რომელი ნაწილი შეიძლება დაიფაროს არა მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით, არამედ მოსალოდნელი შემოსულობებით გადაზიდული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს ან გაწეული მომსახურებისათვის. ამ კოეფიციენტისათვის ნორმალურ მნიშვნელობად ითვლება შეფარდება 1:1.

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფულადი სახსრებისა და სწრაფადრეალიზებადი ფასიანი ქაღალდების შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან. იგი გვიჩვენებს მიმდინარე ვალდებულების რა ნაწილი შეიძლება დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღისათვის ან სხვა კონკრეტული თარიღისათვის. ამ კოეფიციენტის ნორმალური მნიშვნელობად ითვლება 0.2.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმაზე, თუ აქტივებში ინვესტირებული სახსრები რამდენად სწრაფად გარდაიქმნებიან რეალურ ფულად. სახსრების ბრუნვაში ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შიდა და გარე მრავალფეროვანი ფაქტორების მოქმედებასთან. გარე ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს საქმიანობის სფერო, დარგობრივი კუთვნილება, საწარმოს ზომა. საწარმოს აქტივების

ბრუნვადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია. სამეურნეო კავშირების გაწყვეტა და ინფლაციური პროცესები იწვევენ მარაგების დაგროვებას და სახსრების ბრუნვის პროცესის შენელებას. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს ფასების პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურის ფორმირება, სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასების მეთოდის შერჩევა. აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენი ბრუნვა შეასრულა საწარმოს კაპიტალმა დროის შესაბამის პერიოდში. ფიზიკურად იგი გამოსახავს აქტივის 1 ლარზე მოსული რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას.

ზოგადი სახით აქტივების ბრუნვადობის სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{\text{აქტ.ბრ.}} = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}. \quad (3)$$

საბრუნავი აქტივების ბრუნვადობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{\text{საბრ.აქტ.ბრ.}} = \frac{\text{ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}}, \quad (4)$$

ბალანსის მონაცემების მიხედვით საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$\frac{O_{\text{დასაწყ.}} + O_{\text{ბოლო}}}{2} \quad (5)$$

სადაც, $O_{\text{დასაწყ.}}$ და $O_{\text{ბოლო}}$ - აქტივების სიდიდე შესაბამისად პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

ამის შემდეგ განისაზღვრება ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში:

$$\frac{360}{K_{\text{აქტ.ბრ.}}}. \quad (6)$$

რაც უფრო მეტია რეალიზაციის მოცულობა, მით უფრო ეფექტურად გამოიყენება აქტივები, უფრო სწრაფია მათი ბრუნვადობა. საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის, წმინდა საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებლების გაანგარიშებაში გამოიყენება დებიტორული დავალიანება და მარაგები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი

გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;
- დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი;
- დებიტორული დავალიანების წილი საბრუნავ აქტივებში;
- საექვო დავალიანების წილი.

ჩამოთვლილი მაჩვენებლები გაიანგარიშება ფორმულებით:

$$\begin{array}{l} \text{დებიტორული დავალიანები} \\ \text{ბრუნვადობა} \end{array} = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{საშუალო დებიტორული დავალიანება}} \quad (7)$$

$$\begin{array}{l} \text{სადაც, საშუალო დებიტორული} \\ \text{დავალიანება} \end{array} = \frac{\text{დებიტ.დავალიანება პერიოდის} \\ \text{დასაწყისში} + \text{დებიტ. დავალიანება} \\ \text{პერიოდის ბოლოს}}{2}$$

$$\begin{array}{l} \text{დებიტორული დავალიანების} \\ \text{დაფარვის პერიოდი} \end{array} = \frac{360}{\text{დებიტორული დავალიანების} \\ \text{ბრუნვადობა}} \quad (8)$$

$$\begin{array}{l} \text{დებიტორული დავალიანების} \\ \text{წილი საბრუნავ აქტივებში} \end{array} = \frac{\text{დებიტორული დავალიანება}}{\text{საბრუნავი აქტივები}} \cdot 100\% \quad (9)$$

$$\text{საექვო დავალიანების წილი} = \frac{\text{საექვო დებიტორული დავალიანება}}{\text{დებიტორული დავალიანება}} \cdot 100\% \quad (10)$$

საექვო დავალიანების წილი ახასიათებს დებიტორული დავალიანების "ხარისხს". მისი ზრდის ტენდენცია ადასტურებს ლიკვიდობის შემცირებას.

საწარმოს დებიტორული დავალიანების უფრო დრმა ანალიზისათვის აუცილებელია დამატებით მოვითხოვოთ მათი გაშიფრვა, სადაც მითითებული უნდა იყოს ცნობები თითოეული დებიტორის შესახებ, დებიტორული დავალიანების თანხა და მათი დაფარვის ვადები. ამასთან,

დებიტორული დავალიანების ანალიზის ძირითადი ამოცანაა მისი ლიკვიდობის შეფასება, ე.ი. საწარმოს ვალების დაბრუნების შეფასება.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის მართვის საკითხებში შეიძლება ვიხელმძღვანელოთ შემდეგი რეკომენდაციებით:

1. დავალიანების ვადის გადაცილების თავიდან აცილების მიზნით მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობაზე კონტროლის განხორციელება;

2. ერთი ან რამოდენიმე მსხვილი მყიდველის გადაუხდელობით ზარალის შემცირების მიზნით მყიდველთა წრის გაფართოება;

3. დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებაზე კონტროლი (დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში დგება საწარმოს ფინანსური მდგრადობის საშიშროება);

4. ვადამდე გადახდისათვის მყიდველებზე შეღავათების შეთავაზება, რაც ნაწილობრივ ანაზღაურებს ინფლაციიდან მიღებულ ზარალს.

საწარმოს საშუალებებით შევსება დამოკიდებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების ბრუნვადობაზე. მარაგების ბრუნვადობის შეფასება უნდა განხორციელდეს მარაგის ყველა სახის მიხედვით (საწარმოო მარაგები, მზა პროდუქცია, საქონელი და ა.შ.). საწარმოო მარაგები გაითვალისწინება მათი დამზადების (შექმნის) ღირებულებით, ამიტომ მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის გამოიყენება არა რეალიზაციიდან ამონაგები, არამედ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. მარაგების ბრუნვის სიჩქარის შეფასებისათვის გამოიყენება ფორმულა:

$$K_{\text{მარაგ.ბრ.}} = \frac{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}{\text{მარაგების საშუალო სიდიდე}} \times 100\% \quad (11)$$

ამასთან,

$$\text{მარაგების საშუალო სიდიდე} = \frac{\text{მარაგ. ნაშთ. პერ. დას.} + \text{მარაგ. ნაშ. პერ. ბოლოს}}{2}$$

$$\text{მარაგების შენახვის ვადა} = \frac{360}{\text{სასაქონლო მატერიალური მარაგების ბრუნვალობა}}. \quad (12)$$

წარმოების ნორმალური მსვლელობისათვის და პროდუქციის გასაღებისათვის მარაგები უნდა იყოს ოპტიმალური. მარაგების დაგროვება ადასტურებს საწარმოს წარმოების და პროდუქციის რეალიზაციის დაცემას.

აღსანიშნავია, რომ მეურნეობრიობის საბაზრო პირობებში წარმოების საშუალებათა წყაროთა სტრუქტურის შეფასებას ახდენენ ბუღალტრული ინფორმაციის შიდა და გარე მომხმარებლები.

ქონების წყაროთა სტრუქტურის შიდა ანალიზი დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის ფინანსირების სხვადასხვა ვარიანტების შეფასებასთან. ამასთან, სახსრების მოზიდვის პირობების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმებია მათი "ფასი", რისკის დონე, გამოყენების შესაძლო მიმართულებები და ა.შ. ნებისმიერი საწარმოსათვის ქონების ფორმირების წყაროა საკუთარი და მოზიდული საშუალებები.

საკუთარ წყაროებს მიეკუთვნება:

1. საწესდებო კაპიტალი - საწარმოს დამფუძნებელთა მიერ ერთობლივი შენატანები ღირებულებით გამოხატულებაში;
2. სარეზერვო კაპიტალი - საკუთარი სახსრების წყარო, რომელსაც ქმნის საწარმო კანონმდებლობის შესაბამისად მოგებიდან ანარიცხების გზით;
3. დამატებითი კაპიტალი - წარმოიქმნება ქონების გადაფასების შედეგად მისი ღირებულების ზრდის ხარჯზე, ფასეულობათა უსასყიდლოდ მიღებით, საემისიო შემოსავლებით;
4. ინვესტიციები და სოციალური სფეროს ფონდი, რომელიც წარმოიქმნება მოგებიდან ანარიცხებიდან და საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან;
5. გაუნაწილებელი მოგება - წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში და არ იყო განაწილებული ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

მოზიდულ სახსრებს მიეკუთვნება:

1. ბანკის გრძელვადიანი კრედიტები - მიღებული ბანკის სესხები ერთ წელზე მეტი ვადით;

2. გრძელვადიანი სესხები - გამსესხებლის სესხები (ბანკების გარდა), მიღებული ერთ წელზე მეტი ვადით;

3. ბანკის მოკლევადიანი კრედიტები - ბანკის სესხები მიღებული ერთ წლამდე ვადით;

4. მოკლევადიანი სესხები (ბანკების გარდა), გამსესხებლის სესხები, მიღებული ერთ წლამდე ვადით;

5. საწარმოს კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ, რომელიც წარმოიქმნება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების დროის და ფაქტიური ანაზღაურების თარიღს შორის განსხვავებით;

6. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება დარიცხვის დროისა და მისი გადახდის თარიღებს შორის განსხვავებით;

7. საწარმოს სახელფასო ვალდებულება თავისი თანამშრომლების წინაშე;

8. სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის ორგანოების წინაშე დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება ვალდებულების აღების დროისა და გადახდის თარიღის განსხვავებით;

9. საწარმოს დავალიანება სხვა სამეურნეო კონტრაგენტების მიმართ.

საწარმოთა სახსრების წყაროთა სტრუქტურის დასახასიათებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: ავტონომიურობის კოეფიციენტი, ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტი, ფინანსირების კოეფიციენტი, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი.

ავტონომიურობის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს ქონების საერთო ღირებულებაში მესაკუთრეთა მიერ დაბანდებული სახსრების წილს, ამდენად იგი ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორებისათვის და საწარმოს კრედიტორებისათვის.

ავტონომიურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი

გამოსახულებით:

$$K_{\text{ავტ.}} = \frac{\text{საკუთარი სახსრები}}{\text{ბანკის ვალუტა}} \times 100\% . \quad (13)$$

საერთოდ მიღებულია, რომ როცა $K > 50\%$ ან $K = 50\%$, მაშინ კრედიტორების რისკი მინიმალურია, რადგანაც ნახევარი ქონების რეალიზებით, რომელიც ფორმირებულია საკუთარი სახსრებით, საწარმო შეძლებს დაფაროს თავისი სასესხო ვალდებულებები.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზისას აუცილებელია ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტის გაანალიზება. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა იმ წყაროს ხვედრით წილს, რომლის გამოყენებაც შეუძლია საწარმოს ხანგრძლივი დროით.

ფინანსური სტაბილურობის (მდგრადობის) კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$K_{\text{ფინ.მდგრ.}} = \frac{\text{საკუთარი სახსრები} + \text{გრძელვად.ნასესხი საშუალება}}{\text{ბალანსის ვალუტა}} \times 100\% \quad (14)$$

მნიშვნელოვანია ფინანსირების კოეფიციენტის გაანალიზება. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ საწარმოს საქმიანობის რა ნაწილი ფინანსირდება საკუთარი სახსრებით, და რა ნაწილი მოზიდული სახსრებით. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო საიმედოა დამფინანსებელი ბანკებისათვის და კრედიტორებისათვის.

ფინანსირების კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{ფინანსირების.}} = \frac{\text{საკუთარი სახსრები}}{\text{ნასესხი საშუალებები}} . \quad (15)$$

როდესაც ფინანსირების კოეფიციენტი $K < 1$ (საწარმოს ქონების დიდი ნაწილი ფორმირებულია ნასესხი საშუალებებით), ეს ადასტურებს გადახდისუნარიანობის საშიშროებას და ართულებს კრედიტის მიღების შესაძლებლობას.

საწარმოს ქონების წყაროთა სტრუქტურის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული აქტივებში მათი განთავსების ხერხებს. ოპტიმალურად ითვლება, როცა ძირითადი საშუალებები და საბრუნავი საშუალებების ნაწილი ფორმირებულია საკუთარი

სახსრებით (საკუთარი კაპიტალით). საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში საკუთარ წყაროებს უთანაბრებენ გრძელვადიან პასივებს. ამ მიზნით გაიანგარიშება ინვესტირების მაჩვენებელი - საკუთარი კაპიტალის შეფარდება ძირითად კაპიტალთან.

საწარმოს უნარის ანალიზი, თუ როგორ ასრულებს იგი თავის ვალდებულებებს, შესაძლებელია ასევე საკუთარი კაპიტალის სტრუქტურითაც. ამ მიზნით გამოიყენება საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, იგი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების და ბალანსის არადაამკმაყოფილებელი სტრუქტურის დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოში საკუთარი საბრუნავი საშუალებების არსებობას, რომელიც აუცილებელია მისი ფინანსური მდგრადობისათვის. ეს კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარ კაპიტალსა და არასაბრუნავ აქტივებს შორის სხვაობის შეფარდებით საწარმოს ბალანსზე აღრიცხულ საბრუნავ აქტივებთან, იგი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{უზრუნ.}} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} - \text{არასაბრუნავი აქტივები}}{\text{საბრუნავი აქტივები}} . \quad (16)$$

აღნიშნული კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობაა 0.1.

საწარმოს მდგრადი ფუნქციონირება გარდა ზემოთ განხილული კოეფიციენტების მნიშვნელობებისა დამოკიდებულია მისი საქმიანობიდან მიღებული მოგების საკმარისი მოცულობის მიღების უნარზე. ეს უნარი გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე.

ამას გარდა ანალიზისათვის გამოიყენება საწარმოს საქმიანობის მაჩვენებელთა სისტემა. ეს მაჩვენებლები გამოისახება კოეფიციენტების სახით, მათ შორისაა:

- აქტივების (ქონების) რენტაბელობა;
- საბრუნავი აქტივების რენტაბელობა;
- ინვესტიციების რენტაბელობა;
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;

- რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა.

საწარმოს საქმიანობა ორიენტირებულია პერსპექტივაზე, აუცილებელია მან შეიმუშაოს საინვესტიციო პოლიტიკა (ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება მუდმივი და გრძელვადიანი ფინანსირება). საწარმოში ინვესტირებული საშუალებების შესახებ ინფორმაცია მიიღება ბუღალტრული ბალანსის მონაცემებიდან როგორც საკუთარი კაპიტალის და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი, ან როგორც სხვაობა აქტივების საერთო ჯამსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის.

მნიშვნელოვანი კოეფიციენტია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა. ამ მაჩვენებლით ფასდება სამეურნეო საქმიანობის შედეგები, რომელიც გამოიხატება დაბანდებულ კაპიტალზე მოგების სიდიდით.

რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის კოეფიციენტი გვჩვენებს, თუ საწარმო ერთ ლარ რეალიზებულ პროდუქციაზე რამდენ მოგებას იღებს. ეს მაჩვენებელი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასების ორიენტირი შეიძლება იყოს, რამდენადაც რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის შემცირება შეიძლება ნიშნავდეს მასზე მოთხოვნის დაცემას

ამგვარად, აქტივებში დაბანდებული ყოველი ლარიდან მიღებული მოგება დამოკიდებულია საშუალებების ბრუნვადობის სიჩქარეზე და რეალიზაციიდან ამონაგებსა და აქტივების საშუალო სიდიდეში წმინდა მოგების წილზე. ბრუნვადობის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს როგორც ობიექტურმა მიზეზებმა (ინფლაცია, სამეურნეო კავშირების გაწყვეტა), ისე სუბიექტური მიზეზებით (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების მართვის არცოდნა, მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობა, მათი არასათანადოდ აღრიცხვა). რენტაბელობის კოეფიციენტების გაანგარიშების ფორმულები მოცემულია დანართი 1-ის ცხრილ 19-ში.

2.4. ეკონომიკური მდგრადობის მათემატიკური მოდელირება

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება წარმოუდგენელია მათი საქმიანობის ანალიზის გარეშე, რისთვისაც აუცილებელია მთელი

რიგი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება. ეს კი ხორციელდება ფინანსურ მდგომარეობაზე მონიტორინგით.

მონიტორინგი (ლათ. monitor - შემხსენებელი, მეთვალყურე) - ეკონომიკური ობიექტისადმი უწყვეტი მეთვალყურეობა, მათი საქმიანობის ანალიზი როგორც მართვის შემადგენელი ნაწილი [3].

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი ანტიკრიზისული რეგულირების სისტემის ერთ-ერთი ელემენტია. იგი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მონაცემების შეგროვების და მაჩვენებლების გაანგარიშების სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საწარმოს გაკოტრების ნიშნების დიაგნოსტიკა და თვალყურის დევნება ცვლილებების ტენდენციებზე და დინამიკაზე, ასევე საწარმოს გადახდისუნარიანობის გათვალისწინება იმისათვის, რათა ამის საფუძველზე მიღებულ იქნეს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილება.

საქართველოში მონიტორინგი ხორციელდება 1999 წლიდან. მონიტორინგის ჩატარება ტერიტორიული ორგანოებისა და აგენტების, ასევე ფინანსთა სამინისტროს აპარატის ფუნქციაა. ისინი ყოველწლიურად ადგენენ მონიტორინგს დაქვემდებარებული საწარმოების ჩამონათვალს, რომელშიც შეჰყავთ მსხვილი, ეკონომიკურად და სოციალურად მნიშვნელოვანი საწარმოები. დღეს საქართველოში შექმნილია საწარმოების მონიტორინგის და ფინანსური მდგომარეობის შეფასების მუდმივმოქმედი სისტემა. ტექნოლოგიური თვალსაზრისით მონიტორინგი არის საწარმოს კრიზისის დადგომის ალბათობის ან რეალობის განსაზღვრის სპეციალურად ორგანიზებული მოქმედება. იგი ტარდება სამ ეტაპად.

პირველ ეტაპზე ხდება პირველადი ინფორმაციის შეგროვება. მონიტორინგში მონაწილე ყოველი საწარმო ვალდებულია მაკონტროლებელ ორგანიზაციაში წარადგინოს საადრიცხვო ზარალი და დადგენილი ფორმით ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშგებები.

მონიტორინგის მეორე ეტაპზე საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით ახორციელებენ მიღებული ინფორმაციის

დამუშავებას. ინფორმაციას ამუშავებენ სპეციალური მეთოდოლოგები, რომელიც დაფუძნებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ბალური შეფასების ფორმირების პრინციპზე შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მიმდინარე ლიკვიდობის ($K_{ა.ლ.}$), ფინანსური დამოუკიდებლობის ($K_{დამოუკ.}$), ოპერაციების ეფექტურობის (საწარმოს აქტივების და ამონაგების შეფარდება) - ($K_{აგ.}$), აქტივების რენტაბელობის ($P_{აქ.}$) და სამ თვემდე ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების ($Π_{ვალ.}$). ქულების დარიცხვისათვის თითოეულ მაჩვენებელს მიენიჭება ზედა და ქვედა ზღვარი, ე.ი. დასაშვები მნიშვნელობა. როცა მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება ქვედა ზღვარს, ბალური მაჩვენებელი მიიღებს 1 ქულას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - 0-ს. როცა მაჩვენებლის მნიშვნელობა აღემატება ზედა ზღვარს, ბალური მაჩვენებელი უტოლდება 0-ს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - 1-ს. კომპლექსური ბალური მაჩვენებელი გაიანგარიშება თითოეული მოცემული მაჩვენებლის ბალური შეფასების ჯამით. როცა საწარმოს კომპლექსური შეფასების მნიშვნელობა 0-დან 2 ქულის ინტერვალშია, იგი იმყოფება პოტენციური გაკოტრების მდგომარეობაში და საჭიროებს სანაციას. მომავალში მოსალოდნელია მოცემული დასაშვები მნიშვნელობების დაზუსტება საწარმოს დარგობრივი კუთვნილების შესაბამისად.

მონიტორინგის მესამე ეტაპზე ხდება ყველა გამოკვლეული საწარმოს რანჟირება მათი მდგომარეობის მსგავსების, დარგობრივი კუთვნილების და ტერიტორიული განლაგების კრიტერიუმების მიხედვით. ამის შემდეგ, ყოველი გამოყოფილი ჯგუფისათვის მზადდება კონკრეტული ანტიკრიზისული გადაწყვეტილებები.

ამგვარად, საქართველოში შექმნილია საწარმოთა მდგომარეობის მონიტორინგის მძლავრი სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ანტიკრიზისული რეგულირების ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი და ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება. ამასთან ერთად, მას ნაკლოვანებებიც გააჩნია. აუცილებელია საწარმოთა მდგომარეობის შეფასების მიდგომების

სტანდარტირება და ანალიზის უნივერსალური ტექნოლოგიის შერჩევა. საჭიროა საწარმოთა რანჟირების მეთოდის უნიფიცირება.

გაკოტრების პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინტეგრირებული მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია მულტიპლიკატური დისკრიმინანტული ანალიზის (მდა) მეთოდით. ფაქტორული ანალიზის კლასიკური მაგალითებია: მ.ა.ფედოტოვის ორ ფაქტორული მოდელი, ე.ალტმანის Z-ანგარიში, რ.ს.სიფულინისა და გ.გ.კადიკოვას ექვს ფაქტორული მოდელი, მ.გოლდერის და ჟ.კონანის გადასახადების შეფერხების ალბათობის შეფასების მოდელი, ტაფფლერის, ტიშოუს, ლისას და სხვათა ოთხ ფაქტორული მოდელები

გაკოტრების დიაგნოსტიკის ყველაზე მარტივი მოდელია ორ ფაქტორული ანალიზი, რომლის გამოყენება გამოკვლეულია მ.ა.ფედოტოვის შრომებში [43]. მოდელის აგებისას გათვალისწინებულია ორი მაჩვენებელი, რომელზედაც დამოკიდებულია გაკოტრების ალბათობა, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (დაფარვის) და ნასესხი სახსრების აქტივებთან შეფარდების კოეფიციენტი. დასავლეთის პრაქტიკის საფუძველზე, თითოეული ამ ფაქტორებიდან გამოვლენილ იქნა შეწონილი კოეფიციენტები:

$$Z = -0.3877 + (- 1.0736) \times K_{a.l} + 0.0579 \times K_{ნასესხი \text{ სამ}}$$

როცა: $Z > 0$ - გაკოტრების ალბათობა მაღალია;

$Z < 0$ - გაკოტრების ალბათობა დაბალია.

გაკოტრების ალბათობის ორ ფაქტორული მოდელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მხარეებს არ გამოხატავს: აქტივების ბრუნვადობას, რენტაბელობას, რეალიზაციიდან ამონაგების ცვლილების ტემპს და ა.შ. პროგნოზირების სიზუსტე იზრდება, როცა მხედველობაში მიიღება ფაქტორთა დიდი რიცხვი, რომლებიც გამოხატავენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

დასავლეთის ფირმების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში გაკოტრების შეფასებისათვის ფართოდ გამოიყენება ალტმანის Z-ანგარიშები. ეს არის ხუთ ფაქტორული მოდელი, რომელიც აგებულია აშშ

(1968) 33 გაკოტრებული საწარმოს მონაცემების მიხედვით. Z-ანგარიში გაიანგარიშება ფორმულით:

$$Z = 1.2 X_1 + 1.4X_2 + 3.3X_3 + 0.6X_4 + X_5$$

სადაც, X_1 - საბრუნავი კაპიტალის წილი აქტივებში;

X_2 - გაუნაწილებელი მოგების წილი საწარმოს აქტივებში (აქტივების რენტაბელობა);

X_3 - რეალიზაციიდან მოგების შეფარდება საწარმოს აქტივებთან;

X_4 - ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების საბაზრო ღირებულების შეფარდება საწარმოს პასივებთან;

X_5 - გაყიდვების მოცულობის შეფარდება აქტივებთან.

Z-ანგარიშის მნიშვნელობის შესაბამისად საწარმოს გაკოტრების ალბათობის შეფასება წარმოებს განსაზღვრული სკალის მიხედვით. 1977 წელს ალტმანმა შეიმუშავა შედარებით ზუსტი მოდელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გაკოტრების პროგნოზირება 5 წლის ჰორიზონტზე 70%-მდე სიზუსტით. მოდელში გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: აქტივების რენტაბელობა, მოგების დინამიურობა, პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი, ავტონომიის კოეფიციენტი, საწარმოს ქონების ღირებულება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ექსპრეს შეფასებისათვის რ.ს.საიფულინმა და გ.გ.კადიკოვამ შემოგვთავაზეს რეიტინგული რიცხვის გამოყენება:

$$K = 2K_0 + 0.1K_{m.l.} + 0.8K_i + 0.45K_m + K_{კაპ.რენტ.}$$

სადაც, K_0 - საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი;

$K_{m.l.}$ - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;

K_i - ავანსირებული კაპიტალის ბრუნვის ინტენსივობა, რომელიც ახასიათებს საწარმოს საქმიანობაში ჩადებული სახსრების 1 ლარზე რეალიზებული პროდუქციის მოცულობას ($K_i > 2.5$);

K_m - მენეჯმენტის კოეფიციენტი რომელიც ხასიათდება რეალიზაციიდან მოგების შეფარდებით რეალიზაციიდან ამონაგების სიდიდესთან;

$K_{კაპ.რენტ.}$ - საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა.

როცა $K < 1$, ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება როგორც არადამაკმაყოფილებელი; როცა $K = 1$, ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება როგორც დამაკმაყოფილებელი - ნორმალური; როცა $K > 1$, ფინანსური მდგომარეობა კარგია.

მაგრამ, რეიტინგული რიცხვის საფუძველზე წარუმატებლობის დიაგნოსტიკა ვერ უზრუნველყოფს "გადახდისუნარიანობის ზონაში" საწარმოს მოხვედრის მიზეზების შეფასებას. გარდა ამისა, რეიტინგული შეფასებისათვის გამოსაყენებელი ნორმატიული მნიშვნელობა არ ითვალისწინებს საწარმოს დარგობრივ თავისებურებებს.

ფრანგმა მკვლევარებმა ჟ.კონანმა და მ.გოლდერმა საფრანგეთის 95 მცირე და საშუალო საწარმოს შესწავლის საფუძველზე შეიმუშავეს მოდელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს გადახდების შეფერხების ალბათობა შემდეგი დისკრიმინანტული მაჩვენებლის მნიშვნელობის შესაბამისად:

$$Q = -0.16Y_1 - 0.22Y_2 + 0.87Y_3 + 0.10Y_4 - 0.24Y_5$$

სადაც, Q - ფირმის გადასახადები შეფერხების მაჩვენებლის მნიშვნელობა;

$$Y_1 = \frac{\text{ფულადი სახსრები} - \text{დებიტორული დავალიანება}}{\text{ბალანსის ჯამი}}$$

$$Y_2 = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი პასივები}}{\text{ბალანსის ჯამი}}$$

$$Y_3 = \frac{\text{ფინანსური ხარჯები (ხარჯები სესხის მომსახურებაზე)}}{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}$$

$$Y_4 = \frac{\text{დანახარჯები პერსონალზე}}{\text{დამატებული ღირებულება (დაბეგვრის შემდეგ)}}$$

$$Y_5 = \frac{\text{მოგება პროცენტისა და საგადასახადო ვალდებულებების გადახდამდე}}{\text{ნასესხი კაპიტალი}}$$

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გაკოტრების დიაგნოსტიკის დისკრიმინანტული მრავალფაქტორული მოდელების პრაქტიკაში გამოყენება თანამედროვე პირობებში ვერ ხერხდება შემდეგი ფაქტორების გამო:

1. არ არსებობს მეთოდიკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოდელის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების ეროვნული სტანდარტის პირობებში;

2. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასრულყოფილება და არაორგანიზებულ საფონდო ბაზარზე აქციის კურსის ღირებულების არასაიმედო შეფასება;

3. საწარმოს აქციების საბალანსო და საბაზრო ღირებულების შეუსაბამობა, რამდენადაც ამ შესაბამისობის მიღწევის მეთოდებს - ცენტრალიზებული წესით აქტივების სპონტანური გადაფასება ერთიანი კოეფიციენტებით - არ შეუძლიათ უზრუნველყონ აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულების რეალური შესაბამისობა.

თანამედროვე საქართველოში დისკრიმინანტული ფაქტორული მოდელების პრაქტიკული გამოყენების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელის დისკრიმინაცია. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მწვავედ დგას აუცილებლობა იმისა, რომ შემუშავდეს საწარმოთა მდგომარეობის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდიკა.

ს.ს. "ელმავალმშენი" ქვეყნის უმსხვილესი ქარხანაა. მისი წარმატებულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პროდუქციის თვითღირებულების დონეზე.

ს.ს. "ელმავალმშენის" პროდუქცია თვითღირებულება მოცემულია ცხრილ 1-ში.

პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედებს როგორც შიგა ასევე გარე ფაქტორი. სს"ელმავალმშენიდან" მოგვეცა საშუალება მოგვეძია სტატისტიკური მასალები ისეთ მაჩვენებლებზე როგორცაა: გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, კაპიტალური დანახარჯები, სახელფასო ფონდი, შრომის მწარმოებლურობა და სხვა. ზოგიერთი მაჩვენებლების რიცხობრივი

სიდიდე, რომლებიც განიხილება როგორც პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები ნაჩვენებია ცხრილ 2-ში.

პროდუქციის თვითღირებულების მოცულობა შეიძლება მივიღოთ მათემატიკური მოდელის ფუნქციად (y) ხოლო მასზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც აღნუსხულია ცხრილში შეგვიძლია მივიღოთ არგუმენტებად (x_i), მაშინ მათემატიკური მოდელს, რომლის ზოგადი სახეა

$$y = f(x_i),$$

სადაც y - ფუნქცია; x_i - რომელიმე არგუმენტი ფაქტორების სიმრავლის გამო შეიძლება წარმოვადგინოთ წრფივ ფუნქციად

$$y = \sum_{i=1}^n X_i = \sum_{i=1}^n a_j \cdot X_j, \quad (j=1,2,\dots,m).$$

ფუნქციასა და არგუმენტებს შორის, ისე როგორც ეკონომიკური მაჩვენებლების უმეტესობაში დეტერმინანტული, ან მკაცრად დადგენილი ზუსტი კავშირები არ არსებობს. ასეთი კავშირები როგორც წესი, სტატისტიკური (ალბათური) ხასიათისაა. კავშირის დონის განსაზღვრისათვის სტატისტიკის თეორიაში სარგებლობენ ე.წ. კორელაციის კოეფიციენტით ანუ კავშირები შეიძლება იყოს კორელაციური. კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლის რამდენიმე მეთოდი არსებობს. ჩვენ შემთხვევაში ვისარგებლოთ ე.წ. “პირსონის” კორელაციის კოეფიციენტით. ამ შემთხვევაში კორელაციის კოეფიციენტი (R) ორ x და y სიდიდეებს შორის (R_{xy}) გამოითვლება ფორმულით:

$$R_{xy} = \frac{M(xy) - mx \cdot my}{\sqrt{(M(x^2) - (MX)^2) \cdot (M(y^2) - (my)^2)}}$$

სადაც, მათემატიკური ლოდინია

$$M[X] = \sum_{i=1}^n x_i p_i$$

სადაც n NO ჩვენი შემთხვევისათვის სტატისტიკური მონაცემთა რიცხვია, x_i პერიოდისათვის მონაცემის სიდიდე; R -ცდომილების ალბათობა, ჩვენ შემთხვევაში რადგან სტატისტიკური მონაცემებით ვაკეთებთ გათვლებს $R=1$, ანუ ცდომილება უკვე დამდგარია.

ცხრილი 1

პროდუქციის თვითღირებულება

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
პროდუქციის თვითღირებულება	11 123578	10 134568	9 138345	11 334358	18 034459	21 033200	31 079080	53 964220	49 279678	69 715002

ცხრილი 2

პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორების სიდიდეები

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
პროდუქციის რაოდენობა	50	48	45	52	71	88	66	92	48	73
კაპიტალური დანახარჯები	9 139580	11 120587	12 000340	9 456733	4 044678	3 346751	2 089529	3 627264	2 122075	2 550082
დასაქმებულთა საშუალო ხელფასი	220	200	190	200	250	310	408	753	575	609
სახელფასო ფონდი	2 200560	2 189000	2 160000	3 079000	3 148999	4 627582	6 855908	11 080620	9 528129	9 709897
დასაქმებულთა რაოდენობა	860	735	699	958	1 189	1245	1 394	1 471	1 381	1 328
მატერიალური მარაგების საშ. წლიური ღირებულება	977456	2 003451	2 000126	5 000006	6 123007	7 965708	12 105253	26 984864	23 013492	15 660915
წლიური წმინდა მოგება	123 498	181 567	180 778	124 566	530 550	547 609	144 132	3 318944	4 458625	3 058615
შემოსავალი რეალიზაციიდან	11 000238	10 125685	11 473000	17 654209	20 125566	22 549855	32 547873	52 504803	37 083565	49 747640
ამორტიზაცია	400 000	400 900	423 590	453 599	500 458	625 063	750 286	594 490	1 578 719	2 694266
ძირითადი კაპიტალის საშ. წლიური ღირებულება	35 309673	38 100400	41 385300	43 786222	44 255859	47 283833	48 509337	51 163639	64 181589	61 517661

კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა ფუნქციასა და არგუმენტს შორის შესაძლებელია პერსონალური კომპიუტერის EXCEL-ის პროგრამითაც. ამ წესით კორელაციის კოეფიციენტის – გამოსათვლელად შემოვიღოთ აღნიშვნები:

y - პროდუქციის თვითღირებულება

X_1 -გამომშვებული პროდუქციის მოცულობა

X_2 -კაპიტალური დანახარჯები

X_3 -სახელფასო ფონდი

X_4 -შრომის მწარმოებლურობა

X_5 - მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულება

X_6 - წლიური წმინდა მოგება

X_7 - შემოსავალი რეალიზაციიდან

X_8 - ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება

X_9 -დებიტორული დავალიანება

Y – ის და X_1 -ის კორელაციის კოეფიციენტი ავლნიშნით R_1 -ით, y -ის და X_2 -ის კოეფიციენტი $-R_2$ -ით და ა.შ. ჩატარებულმა გამოთვლებმა მოგვცა ასეთი შედეგები

$$R_1 = 0,793925$$

$$R_5 = 0,864062$$

$$R_2 = -0,74016$$

$$R_6 = 0,869126$$

$$R_3 = 0,95279$$

$$R_7 = 0,961151$$

$$R_4 = 0,781347$$

$$R_8 = 0,885624$$

$$R_9 = 0,950657$$

სტატისტიკურ გამოთვლებში მიღებულია, რომ თუ კორელაციის კოეფიციენტის აბსოლიტური მნიშვნელობა აღემატება 0,5-ს, მაშინ არსებობს კორელაციური კავშირი, ანუ არგუმენტის გავლენა ფუნქციაზე მნიშვნელოვანია. თუ კოეფიციენტის აბსოლიტური მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლებია არგუმენტსა და ფუნქციას შორის კავშირი უმნიშვნელოა და შემდგომ გამოთვლებში ასეთი ფაქტორები არ გაითვალისწინება.

მათემატიკური მოდელირებისათვის საჭიროა დაზუსტდეს დამოკიდებულების წესი ფუნქციასა და მათზე მოქმედ ფაქტორებს შორის.

პრაქტიკაში გამოიყენება ჰიპერბოლა, პარაბოლა და წრფივი დამოკიდებულება, რამდენადაც ფუნქციაზე მოქმედი ფაქტორები ჩვენს შემთხვევაში სიმრავლით გამოირჩევა მიზანშეწონილია, ავირჩიოთ წრფივი დამოკიდებულება. ანუ კორელაციის კოეფიციენტებისაგან დამოკიდებულებით მათემატიკურ მოდელს ექნება სახე:

$$Y = a_1 * x_1 + a_2 * x_2 + \dots + a_8 * x_8$$

$$\left\{ \begin{array}{l} 14062075 b_1 + 2160000 b_2 + 14679 b_3 + 2000126 b_4 + 180778 b_5 + 11473000 b_6 + 41385300 b_7 + 1210492 b_8 = 9138345 \\ 17320000 b_1 + 3079000 b_2 + 14567 b_3 + 5000006 b_4 + 124566 b_5 + 17654209 b_6 + 43786222 b_7 + 1320950 b_8 = 11334358 \\ 20746300 b_1 + 3148999 b_2 + 16448 b_3 + 6123007 b_4 + 530550 b_5 + 20125566 b_6 + 44255859 b_7 + 1353421 b_8 = 18034459 \\ 21033200 b_1 + 4627582 b_2 + 16894 b_3 + 7965708 b_4 + 547609 b_5 + 22549855 b_6 + 47283833 b_7 + 4610200 b_8 = 21033200 \\ 31079080 b_1 + 6855908 b_2 + 22295 b_3 + 12105253 b_4 + 144132 b_5 + 32547873 b_6 + 48509337 b_7 + 5492710 b_8 = 31079080 \\ 53964220 b_1 + 11080620 b_2 + 36685 b_3 + 26984864 b_4 + 3318944 b_5 + 52504803 b_6 + 51163639 b_7 + 14378591 b_8 = 53964220 \\ 49279678 b_1 + 9528129 b_2 + 35684 b_3 + 23013492 b_4 + 4458625 b_5 + 37083565 b_6 + 64181589 b_7 + 13725870 b_8 = 49279678 \\ 29715002 b_1 + 9709897 b_2 + 22375 b_3 + 15660915 b_4 + 3058615 b_5 + 49747640 b_6 + 61517661 b_7 + 12791915 b_8 = 69715002 \end{array} \right.$$

თუ კავშირის სიმჭიდროვეს განვსაზღვრავთ კორელაციის კოეფიციენტით, მაშინ თვითღირებულების მოცულობაზე მოქმედი ფაქტორებიდან შემდგომი გამოთვლებისათვის დაგვრჩება:

1. გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ($X_1R_1=0,794$)
2. წლიური სახელფასო ფონდი ($X_2R_2=0.953$)
3. შრომის მწარმოებლურობა ($X_3R_3=0.781$)
4. მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულება ($X_4R_4=0.864$)
5. წლიური წმინდა მოგება ($X_5R_5=0.869$)
6. შემოსავალი რეალიზაციიდან ($X_6R_6=0.961$)
7. ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება ($X_7R_7=0.886$)
8. დებიტორული დავალიანება ($X_8R_8=0.951$).

იმისათვის რომ მივიღოთ a_1 კოეფიციენტები საჭიროა შევადგინოთ განტოლებათა სისტემა სტატისტიკური რიცხობრივი მაჩვენებლების დახმარებით. ამრიგად გვექნება აღნიშნული სისტემის ჩაწერას გაფართოებული მატრიცის სახით ექნება შემდეგი ფორმა.

მატრიცული ფორმით ჩაწერილი განტოლებათა სისტემის ამოხსნა რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი. ყველაზე უფრო გავრცელებულია

14062075	2160000	14679	2000126	180778	11473000	41385300	1210492	9138345
17320000	3079000	14567	5000006	124566	17654209	43786222	1320950	11334358
20746300	3148999	16448	6123007	530550	20125566	44255859	1353421	18034459
21033200	4627582	16894	7965708	547609	22549855	47283833	4610200	21033200
31079080	6855908	22295	12105253	144132	32547873	48509337	5492710	31079080
53964220	11080620	36685	26984864	3318944	52504803	51163639	14378591	53964220
49279678	9528129	35684	23013492	4458625	37083565	64181589	13725870	49279678
29715002	9709897	22375	15660915	3058615	49747640	61517661	12791915	69715002

გაუსის მეთოდი რომლის მიხედვით, კომპიუტერული პროგრამით ჩატარებული ამოხსნა იძლევა შემდეგ პასუხს:

$$a_1 = 5.8791039708352$$

$$a_2 = -0.32718439320973$$

$$a_3 = -5241.3772955454$$

$$a_4 = -8.5619768611333$$

$$a_5 = 6.5675677247883$$

$$a_6 = 1.3033447017463$$

$$a_7 = -0.40008101162935$$

$$a_8 = 4.9991431687647.$$

რასაც, თუ დავამრგვალებთ ერთი მეთასედი სიზუსტით, გვექნება:

$$a_1 = 5.879$$

$$a_2 = -0,327$$

$$a_3 = -5241.377$$

$$a_4 = -8.562$$

$$a_5 = 6.568$$

$$a_6 = 1.303$$

$$a_7 = -0.400$$

$$a_8 = 4.999.$$

მათემატიკური მოდელი სს “ელმავალმშენის” პროდუქციის თვითღირებულების მოცულობისათვის იქნება:

$$Y=5.879 \cdot X_1 - 0.327 \cdot X_2 - 5241.377 \cdot X_3 - 8.562 \cdot X_4 + 6.568 \cdot X_5 + 1.303 \cdot X_6 - 0.400 \cdot X_7 + 4.999 \cdot X_8$$

სადაც: y - პროდუქციის თვითღირებულება;

a_1 - გამოშვებული პროდუქციის მოცულობა;

a_2 - წლიური სახელფასო ფონდი;

a_3 - შრომის მწარმოებლურობა;

a_4 - მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულება;

a_5 - წლიური წმინდა მოგება;

a_6 - შემოსავალი რეალიზაციიდან;

a_7 - ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება;

a_8 - დებიტორული დავალიანება;

თვითღირებულების მათემატიკური მოდელი საშუალებას იძლევა დავასკვნათ რომ:

1 - პროდუქციის მოცულობის გაზრდა 1 ლარით იწვევს თვითღირებულების ზრდას 5.879 ლარით;

2 - სახელფასო ფონდის 1 ლარით ზრდა იწვევს პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას 32.7 თეთრით;

3 - შრომის მწარმოებლურობის გაზრდა 1 ლარით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 5241.377 ლარით;

4 - მატერიალური მარაგების საშუალო წლიური ღირებულების ზრდა 1 ლარით იწვევს 8.567 ლარით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას;

5 - წლიური წმინდა მოგების გაზრდა 1 ლარით იწვევს 6.568 ლარით პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას;

6 - რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდა 1 ლარით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას 1.303 ლარით;

7 - ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულების გაზრდა 1 ლარით იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას 40 თეთრით;

8 - დებიტორული დავალიანების გაზრდა 1 ლარით პროდუქციის თვითღირებულებას გაზრდის 4.999 ლარით.

ზემოთ მოყვანილი კორელაციური გამოკვლევით და რეგრესიული ანალიზით შესაძლებელია სს"ელმავალმშენში" პროდუქციის

თვითღირებულების პარამეტრებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა (a_4 და a_5) და მათი მოქმედების გაძლიერება უარყოფითი სიმპტომების შესამცირებლად და დადებითის გასაძლიერებლად.

2.5. ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები

ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ორგანიზაციის ანტიკრიზისული მართვის თავისებურებები მდგომარეობენ მმართველობითი პროცესების სირთულეში. ფინანსური კრიზისი გამოვლინდება ფულადი სახსრების უკმარისობით, ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანების ზრდით, გაყიდვების დაცემით, პერსონალის უკმარისობით და სხვა არახელსაყრელი ფაქტორებით. ხელმძღვანელის მიმართ მოთხოვნები გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, რადგანაც მას ევალება ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. ორგანიზაცია, რომელიც განიცდის ფინანსურ კრიზისს, შეიძლება შეწყვიტოს თავისი არსებობა, მაგრამ კარდინალური ცვლილებების გატარების შემდეგ შეიძლება ხელახლა გაძლიერდეს, მაგალითად ისეთი ცვლილებების გატარების შედეგად, როგორცაა: კომპანიის რეორგანიზაცია, რესტრუქტურირაცია. კრიზისის დაძლევის წარმატება დამოკიდებულია წამყვანი მენეჯერების უნარზე, თუ რაოდენ დროულად მიიღებენ ადექვატურ მოქმედებებს.

საქართველოს კომპანიებში ანტიკრიზისულ ღონისძიებებად ხშირად მოიაზრება ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებები და კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურირაციის გატარება. თუმცა, საწარმოები, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი კრედიტორული დავალიანება, ყოველთვის ვერ ამოდიან "ვალის ორმოდან".

ფინანსური კრიზისის პირობებში ორგანიზაციის მართვა არის ისეთი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც ერთის მხრივ, მიმართულია ხარჯების ყველა მუხლის შემცირებაზე, ორგანიზაციის ვალის დასაფარავად აუცილებელი ფულადი სახსრების შემოსულობების გაზრდაზე, ხოლო მეორეს მხრივ, გაყიდვების მოცულობის ზრდაზე და მოგების თანაბარი

ზომით მიღებაზე. ძალზე მნიშვნელოვანია მართვის ახალი ხერხების გამოყენება, რომლებსაც შეუძლიათ რეორგანიზაციის შედეგად კარდინალურად შეცვალონ არსებული სისტემა. ასეთ ხერხებს მიეკუთვნება: ნოუ-ჰაუს გამოყენება, სავაჭრო მარკის პოზიციონირება, საკადრო მუშაობის ოპტიმიზაცია, ხარისხისათვის ბრძოლა, ფასების პოლიტიკა და ა.შ.

კრიზისული მდგომარეობის პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია ხარჯების ერთი ნაწილის შემცირება და მეორის გაზრდა, რომელთაც შეუძლიათ კომპანია გახადონ მომგებიანი. აუცილებელია ორგანიზაციაში ფულადი სახსრების სწრაფი შემოღება. არჩეული სტრატეგიული მიმართულებებით სამუშაოები არ შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ შიდა ეკონომიის ხარჯზე. დგება აუცილებლობა სახსრების მოზიდვისა გარედან, რაც თავისთავად რთულია, რამდენადაც საწარმოს ფინანსური კრიზისი ხშირად ნიშნავს მის ფაქტიურად გაკოტრებას. ამიტომ, იმისათვის, რათა საწარმომ თავიდან შეძლოს "ნადნობზე დამაგრება", ხოლო შემდეგ დაიწყოს თავისი საქმიანობის ახალი უფრო ეფექტიანი ეტაპი, ძალზე მნიშვნელოვანია ზემოქმედების ყველა ღონისძიების ოპტიმალური შესაბამისობის განსაზღვრა.

ორგანიზაციაში ფინანსური კრიზისის დაძლევის ძირითადი მიმართულებებია:

- ხარჯების შემცირება;
- ორგანიზაციაში ფულადი სახსრების შემოსულობების ზრდა;
- კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურის ჩატარება;
- ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა;
- საწარმოს რეორგანიზაციის ან რესტრუქტურის ჩატარება.

ხარჯების შემცირება აუცილებელი ნაბიჯია ისეთ სიტუაციაში, როდესაც ორგანიზაცია განიცდის ფინანსურ კრიზისს. აუცილებელია ყველა იმ გადაწყვეტილებების ცენტრალიზაცია, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს მატერიალური აქტივების მოძრაობაზე, ასევე აუცილებელია გრძელვადიანი პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯების

შემცირება ან გაყინვა. საუბარია ისეთ პროექტებზე, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები, კაპიტალური მშენებლობა და სხვა დაბანდებები, რომელთა გამოსყიდვის ვადა ერთ წელს აღემატება.

ხარჯების შემცირების მეთოდებია: ხარჯების კონტროლი, ხარჯების წარმოქმნის წყაროთა ანალიზი, მათი კლასიფიკაცია წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულების დონეების მიხედვით, ხარჯების შემცირების ღონისძიებების ჩატარება, მიღებული ეფექტის შეფასება.

ხარჯების შემცირების ძირითადი მიმართულებებია:

- ხელფასის ფონდის შემცირება;
- ნედლეულზე და მასალებზე ხარჯების შემცირება უფრო იაფი კომპონენტების გამოყენების, მომწოდებლებთან ჰორიზონტალური ინტეგრაციის, ადგილობრივ მეწარმეებთან მუშაობის, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე;
- საწარმოო ხარჯების შემცირება, მოწყობილობების რემონტზე და მომსახურებაზე ხარჯების, რეკლამაზე ხარჯების შემცირება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, ბაზრის კვლევა, მოსახურების ხარისხის ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს ბალანსის უფრო მხარჯავი მუხლები, რომლებიც ექვემდებარებიან შემცირებას (კაპიტალური მშენებლობა, მომუშავეთა ძვირადღირებული სტაჟირება, მასშტაბური მარკეტინგული კვლევების ჩატარება, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები) და ეს რესურსები მივმართოთ რესტრუქტურისაციის და პროექტების ჩასატარებლად, რომლებიც ითვალისწინებენ სწრაფი მოგების მიღებას.

კრიზისის პირობებში ორგანიზაციაში ფულადი სახსრების მოზიდვა ძირითადად სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

1. კომპანიის აქტივების გაყიდვა და იჯარით გადაცემა;
2. გაყიდვების ორგანიზაცია;
3. საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება დებიტორული დავალიანების

ბრუნვადობის დაჩქარებისათვის.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი აქტივები - შენობა, ნაგებობა, მანქანა-დანადგარები, მოწყობილობა, ობლიგაციები, აქციები, მ.შ. სხვა საწარმოების - შეიძლება გაიყიდოს ან გამოყენებულ იქნეს ვალის დასაფარავად რესტრუქტურის ჩატარების მსვლელობაში. ამის გაკეთება შესაძლებელია თუკი მიღებული აქტივები არ არიან უზრუნველყოფილი დავალიანებით სხვა ვალდებულებებით. როცა აქტივების შენახვაზე და მომსახურებაზე საწარმოს ხარჯები დიდია, მაშინ უკეთესია მათი გაყიდვა. ფასიანი ქაღალდების შესყიდვა შეიძლება შევთავაზოთ კრედიტორებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შესყიდული აქციების პაკეტით გააფართოვონ თავიანთი საქმიანობის სფერო.

გაყიდვების ოპტიმიზაცია საჭიროებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას: ფასების რეგულირებას; ახალი შემკვეთების მოზიდვას; სავაჭრო დათმობების და შეღავათების პროგრამების დანერგვას იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც სწრაფი გადამხდელები არიან; სტრატეგიული კავშირების და ალიანსების გაფორმებას; წარმოებაში ახალი პროდუქციის დანერგვასთან და ბაზარზე წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების შეფასებას.

ორგანიზაციაში საკრედიტო პოლიტიკის ცვლილების საშუალებით ფულადი სახსრების მოზიდვა ხორციელდება დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის დაჩქარებით. მაღალი ინფლაციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგად გააზრებული პოლიტიკა მიმწოდებლების, შემკვეთების და სხვა კონტრაგენტების მიმართ. კრედიტორული დავალიანების ჯგუფი ქმნიან დავალიანებას ბიუჯეტის, ბიუჯეტგარეშე ფონდების, ბანკების, მიმწოდებლების მიმართ. დებიტორული დავალიანება წარმოიქმნება შემკვეთებთან, შვილობილ საწარმოებთან და სხვა კონტრაგენტებთან მუშაობისას.

ოპტიმალური საკრედიტო პოლიტიკის შერჩევას კომპანიამ გაყიდვების მოცულობის ზრდით მიღებული პოტენციური სარგებელი

უნდა შეუდაროს დამატებითი სავაჭრო კრედიტების და შესაძლო გადაუხდელობის რისკების ღირებულებას. დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის რისკის შემცირების მიზნით ორგანიზაციამ უნდა გადახედოს კლიენტების კრედიტორულ ისტორიას (მსყიდველობითი და გადახდის ისტორია). კლიენტის კრედიტუნარიანობა შეიძლება შეფასდეს კლიენტისა და კომპანიის საკრედიტო ურთიერთობების ისტორიის საფუძველზე. ხარჯებისა და სარგებლის საკრედიტო პოლიტიკის შედარებითი ანალიზით შესაძლებელია განისაზღვროს სტრატეგია, რომლის დროს დებიტორული დავალიანების გადაუხდელობის ზომა წინასწარ ცნობილი გახდება. გამოიყენება წინასწარი გადახდისა და დებიტორული დავალიანების ნაღდი ანგარიშსწორებით დროულად დაფარვის შეღავათებისა და დათმობების პროგრამები. ორგანიზაციამ საკმაოდ ზუსტად უნდა მოახდინოს კრედიტების თანხების პროგნოზირება, რომლებიც არ დაიფარება, რათა გაანგარიშებულ იქნეს უიმედო ვალების ჩამოსაწერად აუცილებელი რეზერვები.

დებიტორული დავალიანების ბრუნველობის კოეფიციენტი განისაზღვრება რეალიზაციის წლიური მოცულობის შეფარდებით დებიტორული დავალიანების საშუალოწლიურ მოცულობასთან. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად იღებს ორგანიზაცია თანხებს შემკვეთებისაგან მიწოდებული საქონლისა და მომსახურებისათვის. დებიტორული დავალიანების ბრუნველობის კოეფიციენტის გაზრდა პოზიტიური ნიშანია.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურირება ვადების მიხედვით გამოიყენება შესაძლო გადაუხდელობის შეფასებისათვის. ანგარიშები კლასიფიცირდება დებიტორული დავალიანების დაგვიანების ვადების მიხედვით. დარჩენილი გადაუხდელი დებიტორული დავალიანების თითოეული ვადისათვის განისაზღვრება რაღაც პროცენტი. უიმედო ვალების ჩამოწერის რეზერვი საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რათა დაიფაროს გადავადებული დებიტორული დავალიანება.

დავალიანების რესტრუქტურისაცია არის საწარმოსა და მის კრედიტორს შორის გარიგებების მთელი რიგი თანმიმდევრობის მომზადების და შესრულების პროცესი. მისი ძირითადი მიზანია კრედიტორების მხრიდან სხვადასხვა სახის დათმობები: დავალიანების საერთო თანხის შემცირება, პროცენტის გადახდისაგან განთავისუფლება, საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

მნიშვნელოვანია ასევე სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის გეგმის შემუშავება, რომლის ალგორითმებია:

1. კრედიტორული და დებიტორული დავალიანების ინვენტარიზაცია: დავალიანების ძირითადი ჯგუფების გამოყოფა; დავალიანების გამოსახვის სისწორის შემოწმება ანგარიშების, ფაქტებისა და საგადასახადო დავალებათა მიხედვით; დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ჯამობრივი განსაზღვრა;

2. რესტრუქტურისაციის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა: ვალდებულების ჯამობრივ სიდიდეში უდიდესი წილის მქონე დავალიანების გამოყოფა; საკრედიტო დაწესებულებების, ფონდების, ფისკალური სისტემის, კონტრაგენტების მიმართ დავალიანების პრიორიტეტული მუხლების გამოყოფა; ამ მონაცემების ასხავა ცხრილში, სადაც ნაჩვენებია იქნება საკრედიტო ორგანიზაციის დასახელება, დავალიანების ჯამი, ხარჯების სიდიდე და მათი წილი ვალდებულებათა საერთო მოცულობაში.

3. ფინანსური გეგმის აგება ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის ფორმით: ფულადი სახსრების შემოსულობების დეკადური გრაფიკის შედგენა გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანებების შემოსულობების გეგმის საფუძველზე; ფულადი სახსრების გადინების დეკადური გრაფიკების შედგენა შესყიდვების გეგმების, საწარმოო ხარჯების, ხელფასების, მიმდინარე კრედიტორული დავალიანების შეფერხების და დაფარვის გათვალისწინების საფუძველზე; წმინდა ფულადი ნაკადების ფორმირება; უარყოფითი სალდოს მიღების

შემთხვევაში დამატებითი დაფინანსების წყაროების ძიება - ესაა ასორტიმენტული ცვლილების ჩატარება, მომავალი პერიოდის საწარმოო პროგრამის ოპტიმიზაცია, მოკლევადიანი სესხების მოზიდვა;

4. კრედიტორული დავალიანების დაფარვის ოპტიმალური გრაფიკის შედგენა უცვლელი პირობებით - დავალიანება, რომელიც შეიძლება დაიფაროს მხოლოდ კრედიტორების პირობების შესაბამისად;

5. რესტრუქტურის ვარიანტების ანალიზი მოლაპარაკების პირობით, ე.ი. დავალიანების დაფარვის პირობები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს და ამაზე კრედიტორები თანახმანი არიან: წარმოდგენილი ვარიანტების კორექტირება და დავალიანების დაფარვის გრაფიკის შექმნა; ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასება, რომელიც მიმართულია სასესხო ვალდებულების დასაფარავად.;

6. დავალიანების დაფარვის საბოლოო გრაფიკის აგება და კრედიტორებთან მიღწეული მოლაპარაკებების დოკუმენტურად გაფორმება;

7. რესტრუქტურის ჩატარების მთლიანი ეფექტურობის გაანგარიშება.

კრედიტორული დავალიანების ანალიზის ჩატარებისას საჭიროა კრედიტორების დაყოფა პირველი რიგის და მეორე რიგის კრედიტორებად. პირველი რიგის კრედიტორები არიან ისინი, რომელთა ვალდებულებების ჯამი მთლიან დავალიანებაში შეადგენს 80%. რიგითობა შეიძლება განისაზღვროს გადახდის შეფერხებიდან მიღებული შედეგების თვალსაზრისითაც. მაგალითად, თუკი გადახდის შეფერხება გამოიწვევს მასალის მოწოდების შეწყვეტას, მომწოდებელი შეიძლება მიეკუთვნოს პირველი რიგის კრედიტორს. დანარჩენი კრედიტორების იგნორირება არ შეიძლება, რადგანაც ზოგიერთ მათგანს შეუძლია მიმართონ სასამართლოს და მოახდინონ გაკოტრების პროცედურის ინიცირება. კრედიტორული დავალიანების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა საშუალებებს ფლობს საწარმო ვალების დასაფარავად. ფულადი ნაკადების პროგნოზი კომპანიას ეხმარება განსაზღვროს დავალიანების ჯამი,

რომელთა რესტრუქტურისაცია აუცილებელია და ასევე შეაფასოს შესაძლო თანხა, რომელიც მომავალში უნდა გადაუხადონ კრედიტორებს. უფრო რაციონალურია წარუმატებელი საწარმოების ანტიკრიზისული მართვა განხორციელდეს კრიზისის დაძლევის ღონისძიებების გამოყენებით არაეფექტიანი ფუნქციონირების ფაქტორების თავიდან აცილების გზით, პირველ რიგში ეს უნდა ეხებოდეს ფინანსურ გაჯანსაღებას. ეკონომიკური გაჯანსაღების მიზნები და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს კრიზისული მდგომარეობის მასშტაბებს და გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ ძირითადი ფაქტორების განვითარების პროგნოზი, რომლებიც განსაზღვრავენ გაკოტრების საფრთხეს. ამ პირობების გათვალისწინებით წარუმატებელი საწარმოების ანტიკრიზისული მართვა მიმართული უნდა იყოს დასახული მიზნის მიღწევაზე ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით:

1. საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღება სამეურნეო საქმიანობის შიდა რეზერვების რეალიზაციის ხარჯზე;

2. საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღება გარედან დახმარების ხარჯზე.

ამ მიმართულებების შესაბამისად ყალიბდება საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების მექანიზმების სისტემა, რომელიც შეიცავს ანტიკრიზისული პოლიტიკის თანმიმდევრულ მიმართულებებს. ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმებმა საწარმოს გადახდისუნარიანობის განახლების და ფინანსური მდგრადობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა რეალიზაცია უნდა განიხილონ შიდა რეზერვების ხარჯზე. თუ საწარმოს კრიზისული მდგომარეობის მასშტაბები მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას არ იძლევა შიდა რეზერვების რეალიზაციის ხარჯზე, მაშინ საწარმო იძულებული ხდება მიმართოს გარედან დახმარებას, რომელიც, როგორც წესი, სანაცის ფორმას ღებულობს. გაჯანსაღების მექანიზმები ემყარება მმართველობითი გადაწყვეტილებების განსაზღვრული მოდელების თანმიმდევრულ გამოყენებას, რომლებიც შერჩეულია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკის და კრიზისული მოვლენების მასშტაბების შესაბამისად. ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესი წარუმატებელ

საწარმოებში ხორციელდება ეტაპობრივად.

- **პირველი ეტაპი - გადახდისუუნარობის აღმოფხვრა.** მდგრადობის პირობითი დონისაგან დამოუკიდებლად, უფრო ზუსტად კი საწარმოს წარუმატებლობის პირობებში ფინანსური სტაბილიზაციის დონისძიებათა სისტემაში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გადახდისუუნარიანობის აღდგენის უზრუნველყოფა მათი მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით, რათა თავიდან იქნას აცილებული გაკოტრების პროცედურების წარმოქმნა.

- **მეორე ეტაპი, საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდგენა.** მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს გადახდისუუნარობა შეიძლება თავიდან იქნას აცილებული დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში რიგი ავარიული ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით, გადახდისუუნარობის გენერირების მიზეზები უცვლელი რჩება, თუ საწარმოს ფინანსური მდგრადობა არ აღდგება უსაფრთხო დონემდე. ეს შესაძლებელს ხდის თავიდან იქნას აცილებული გაკოტრების საფრთხე არა მარტო მოკლე, არამედ შედარებით ხანგრძლივ პერიოდში. ფინანსური მდგრადობის აღდგენა შეიძლება მიღწეული იქნას იმ შემთხვევაში, როცა საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების დონე (დადებითი ფულადი ნაკადები) იქნება არა ნაკლები მოხმარებული ფინანსური რესურსების დონესთან შედარებით (უარყოფითი ფინანსური ნაკადები) მისი სიცოცხლისუნარიანობის პროცესში.

- **მესამე ეტაპი.** ეკონომიკური წარმატებულობის აღდგენა და ეკონომიკური იმუნიტეტის ჩამოყალიბება. სრული ფინანსური სტაბილიზაცია მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა საწარმო უზრუნველყოფს გამოყენებული კაპიტალის ღირებულების სტაბილურ შემცირებას და საწარმოს მთელი საბაზრო ღირებულების ზრდას. ეს ამოცანა მოითხოვს ეკონომიკური წარმატებულობის მიღწევას ყველა ფუნქციონალური შემადგენლის მიხედვით სანაცირებელი საწარმოს ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარების საფუძველზე.

საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების შემუშავებულმა სტრატეგიამ

არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს მისი გადარჩენისათვის საჭირო საწარმოო განვითარების ტემპები მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხის შემცირების ფონზე. საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების ყოველ ეტაპს შეესაბამება განსაზღვრული მექანიზმები, რომლებიც ანტიკრიზისული მართვის პრაქტიკაში მიღებულია დაიყოს ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მექანიზმებად. ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში ფინანსური სტაბილიზაციის ზემოთჩამოთვლილი მექანიზმები იყოფა "დამცავი" და "შეტევით" მექანიზმებად.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ყოველი იმ მექანიზმის შინაარსი, რომლებიც გამოიყენებიან საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების ცალკეულ ეტაპებზე. (ცხრილი 23) ეკონომიკური გაჯანსაღების ოპერატიული მექანიზმი წარმოადგენს საწარმოს დამცავ რეაქციას არახელსაყრელ ფინანსურ განვითარებაზე და, მოკლებულია რომელიმე საწყის მმართველობით გადაწყვეტილებას. იგი მიმართულია, ერთის მხრივ, საწარმოს შიდა და გარე მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შემცირებაზე და მეორეს მხრივ, ფულადი აქტივების გადიდებაზე, რაც უზრუნველყოფს ამ ვალდებულებების შესრულებას. "ზედმეტის მოკვეთის" პრინციპი, რომელიც ამ მექანიზმის საფუძველს წარმოადგენს, განსაზღვრავს როგორც მიმდინარე მოთხოვნების შეზღუდვის აუცილებლობას (რაც გამოწვეულია შესაბამისი ფინანსური ვალდებულებებით), ასევე ცალკეული ლიკვიდური აქტივების შეკვეცას. (მათი სასწრაფოდ ფულად ფორმაში გადაყვანის მიზნით). ფულადი აქტივების თანხის გადიდება მიმდინარე პერიოდში მიიღწევა შემდეგი ძირითადი ღონისძიებების შესრულებით:

- მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებაების პორტფელის ლიკვიდაცია.
- გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების პორტფელის ცალკეული მაღალლიკვიდური ფინანსური და საფონდო ინსტრუმენტების რეალიზაცია.
- დებიტორული დავალიანების რეფინანსირება (ამ რეფინანსირების ყველა ფორმის გამოყენებით) მისი საერთო სიდიდის შემცირების მიზნით.
- დებიტორული დავალიანების ბრუნვის დაჩქარება, განსაკუთრებით

სასაქონლო ოპერაციების მიხედვით აღებული კომერციული და სამომხმარებლო კრედიტის ვადების შემცირების ხარჯზე.

- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მიმდინარე მარაგების სიდიდის ნორმალიზაცია.

- სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და სხვათა სადაზღვევო და სეზონური მარაგების შემცირება.

ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ითვლება მიღწეულად, თუ აღმოფხვრილია მიმდინარე გადახდისუნარობა ე.ი. აბსოლუტური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხე არ არსებობს. ტაქტიკური მექანიზმი, რომელიც იყენებს ცალკეულ დამცავ ღონისძიებებს, მთლიანად არის საწყისი ტაქტიკა მიმართული ფინანსური განვითარების არახელსაყრელი ტენდენციების აღმოფხვრაზე. ეკონომიკური სტაბილიზაციის ტაქტიკური მექანიზმი ითვალისწინებს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ემყარება ფინანსური წონასწორობის მოდელის გამოყენებას გრძელვადიან პერიოდში. საწარმოს ფინანსური წონასწორობა მიიღწევა იმ პირობით, როცა დადებითი ფულადი ნაკადის სიდიდე სამეურნეო საქმიანობის ყველა სახის მიხედვით (საწარმოო, საბაზრო, ფინანსური) განსაზღვრულ პერიოდში ტოლი იქნება უარყოფითი ფულადი ნაკადის საგეგმო სიდიდისა.

დადებითი ფინანსური ნაკადების მოცულობის გადიდება მომავალ პერიოდში მიიღწევა შემდეგი ძირითადი ღონისძიებების გატარების შედეგად:

- საწარმოს წმინდა შემოსავლის თანხის ზრდა ეფექტიანი ფასისმიერი პოლიტიკის გატარების შედეგად;

- ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართულია საწარმოს წმინდა მოგების სიდიდის ზრდაზე.

- წმინდა მოგების გადიდების მიზნით საწარმოს კრიზისული განვითარების ადექვატური დივიდენდური პოლიტიკის განხორციელება, მიმართული საწარმოო განვითარებაზე;

- საამორტიზაციო ფონდის გადიდების მიზნით ძირითადი საწარმოო ფონდების აქტიური ნაწილის დაჩქარებული ამორტიზაციის განხორციელება;

- ცვეთის ანდა გამოუყენებლობის გამო მწყობრიდან გამოსული ქონების თავისდროული რეალიზაცია;

- ეფექტიანი საემისიო პოლიტიკის განხორციელება საკუთარი კაპიტალის სიდიდის გადიდებით აქციების დამატებითი გამოშვების და სხვა გზით.

საინვესტიციო რესურსების მოხმარების სიდიდის შემცირება მომავალ პერიოდში მიიღწევა შემდეგი ძირითადი ღონისძიებების ხარჯზე:

- იმ საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დაწყებაზე უარის თქმა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი წმინდა ფულადი ნაკადების სწრაფი ზრდით, (ე.ი. რეალიზაციის და გამოსყიდვის მაღალი პერიოდით);

- ძირითადი საწარმოო ფონდების აუცილებელი სახეების და არამატერიალური აქტივების გამოყენებისათვის მოზიდვა ლიზინგის პირობებში;

- გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების ფორტფელის ფორმირების დროებითი შეწყვეტა ახალი ფონდებისა და ფულადი ინსტრუმენტების შეძენის ხარჯზე;

- საბრუნავი აქტივების ნორმატივის შემცირება მათი ბრუნვის დაჩქარების და სხვათა ხარჯზე.

დასკვნა

საწარმოთა ეკონომიკური მდგრადობის შეფასების პრობლემის კვლევის შედეგად მიღებულია დასკვნები და დებულებები, რომელთაც მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია:

1. მიუხედავად დამახასიათებელი კანონზომიერებების ობიექტურობისა, საწარმოს გაკოტრება ექცევა ანტიკრიზისული მართვის პროცესის და საწარმოს საქმიანობის რეგულირების გავლენის ქვეშ. ამ გავლენის არსი მდგომარეობს ნეგატიური ტენდენციების თავისდროულ გამოვლენაში და პროფილაქტიური ღონისძიებების გატარებაში მათ გადასალახავად, ან გავლენის შესასუსტებლად შესაბამისად მიკრო და მაკრო დონეზე.

2. საწარმოს წარუმატებლობის გადალახვა შესაძლებელია იმ პრობლემის გადალახვის შედეგად, რომლებიც აღმოცენდა ანტიკრიზისული მართვის პროცესში. კერძოდ, ანტიკრიზისული რეგულირების სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება; სანაციის პროცესის ინვესტირება, წარუმატებელი საწარმოების რეფორმირება და რესტრუქტურირება. საწარმო და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკა, შეიძლება განვითარდეს არაკრიზისულ გარემოში მხოლოდ რიგი ღონისძიებების განხორციელების პირობებში, კერძოდ: საწარმოს მდგომარეობის სწორი დიაგნოზის დასმა, ფინანსური გაჯანსაღების სწორი რეცეპტის გამოწერა და ეფექტიანი მკურნალობა რისკიანი ბიზნესის პირობებში.

3. ანტიკრიზისული რეგულაციების სისტემა მოიცავს მთელ რიგ ელემენტებს, კერძოდ: ანტიკრიზისული პროცესის ნორმატიულ-სამართლებრივს, მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის, საწარმოს მდგომარეობის მონიტორინგს, მმართველობითი გადაწყვეტილებების და განკარგულებების მიღებას, მათი შესრულების კოორდინირებას და ორგანიზაციას, სტიმულების სისტემას და სხვა, რომლებიც ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებიან, ყოველი ელემენტის ფუნქციონირება მოითხოვს შემდგომ გააზრებასა და დამუშავებას.

4. კანონი წარუმატებლობის (გაკოტრების) შესახებ დადებითი

ელემენტებისა და ღირსებების მიუხედავად, (ისეთები, როგორცაა გაკოტრების სუბიექტთა წრის გაფართოება, ახალი პროცედურებისა და სხვათა შემოღება) შეიცავს რიგ ცალკეულ ნაკლოვანებებს; კერძოდ: შიდა წინამდებებები, შეუსაბამობა დღევანდელ საქართველოს პირობებთან, ცნებათა ბუნდოვანება და არაერთმნიშვნელობა. დადგენილი პროცედურების რეალიზაციის მექანიზმების არარსებობა და სხვა.

